

პოლიტიკა

ქვემო ქართლში „დემოკრატები“ მთავარ ოპონენტად გახარნატიორს მიიჩნევენ

„გუბერნატორი რუსთაველი და მთელ ქვემო ქართლში არის სახე და იმედი იმ უსახური წარმომავლისა, რასაც ვერცხვად უწოდებდნენ სახელისუფლო ბლოკი ჰქვია.“ - ამბობენ ისინი.

A2

ეკონომიკა

წინასწარჩვენოდ სახელმწიფოს მოსახლეობის 50-მილიონიანი ვალი ექნება

2 მაისისთვის ფინანსთა სამინისტროს ვერ კიდევ არ ჰქონდა გამოქვეყნებული ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ოთხი თვის შესრულების შესახებ. ეს, ბუნებრივია, კარგს არაფერს უნდა ნიშნავდეს.

A4

უცხოეთი

„ომი დამთავრდა, რვეი ბავიშარჰაიტი“

გუშინ პრეზიდენტმა ბუშმა ერაყის ომი დასრულებულად გამოაცხადა. ავიამზიდ „აბრაამ ლინკოლნი“ მეზღვეურებისადმი მიმართვაში ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკამ და მისმა პარტნიორებმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში „კიდევ ერთი გამარჯვება“ მოიპოვეს.

A5

საზოგადოება

რა სარგებლობა მოაქვს ზოდელვასს ჰალსტუხს

ყველაზე უხუცესი ქართველი, 123 წლის ოლია ლუდუმაური უახლოეს ათ დღეში ვანო ზოდელვასს ჰალსტუხის, გიგი წერეთლის ფონენდოს კომისიის და გიორგი კანდელაკის ხელთაშანაგების წყალობით, მცირეოდენ საჩუქარს მიიღებს.

A6

სამართალი

„საქართველოს სატელიტური დაცვის სისტემას“ მსს-მ ვრეაქტივაციის მიუძღვნა

მსს-ს ოპერატიულმა ჯგუფმა, კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, გატაცებული მანქანის მძღობის მარშრუტი დაადგინა, ხოლო საგზაო პოლიციამ, სატელიტური მართვის მონაცემების გამოყენებითა დაკავებულ მოახერხა.

A7

ანიონი

Table with weather forecasts for various cities: თბილისი 25, ქუთაისი 26, ბათუმი 22, სოხუმი 23, ფოთი 23, თელავი 22, ზუგდიდი 26, გორი 22, ახმეტა 22, ჭიათურა 24, ბაგრა 22, სამცხე-ჯავახეთი 25.

Table with economic indicators: უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი, ლარიდან მიმართულებით, აშშ დოლარი 2.1450, ევრო 2.3520, გირვანქა სტერლინგი 3.4112, რუბლი 0.069.

„ნუ ბლატაობთ!“

იგნასიო ირიბარენი აპირებს, საქართველოს მთავრობას გაათმაგებელი წინასაარჩევნო მადა წაუხდინოს



იგნასიო ირიბარენის მეტყველი შესტ.

„ეი-ი-ეს თელასის“ გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი საბიუჯეტო ორგანიზაციების დაგვიანების დასაფარად მთავრობას ორი დღის ვადას აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორშაბათიდან „ეი-ი-ესი“ ელექტროენერჯის მიწოდებას შეუწყვეტს თბილისის მეტროპოლიტენს, „თბილქალკანალს“, „თბილტრანსს“, სკოლებს, საავადმყოფოებს - სასიცოცხლო ობიექტებს დედაქალაქში, რომელთა დაგვიანება თელასისადმი 13 მილიონ ლარს შეადგენს. ამავე დროს, „ეი-ი-ესის“ საბანკო ანგარიშებს „თი-ბი-სი ბანკში“ საგზაო ფონდის ყადაღა ადევს.

სოფო კინცრაძე

იგნასიო ირიბარენი დიდი სიხარულით შეუწყვეტდა ელექტროენერჯის მიწოდებას სახელმწიფო კანცელარიაში და პარლამენტსაც, თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, სა-

მწუხაროდ, ამ ორგანიზაციებს „თელასის“ დაგვიანება არა აქვთ. გუშინ კომპანიის სახელით ოფიციალური წერილები საქართველოს პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, ფინანსთა მინისტრსა და დედაქალაქის ბაზრძალბა A4 გვირგვინი

აშშ-ევროპის პარტნიორობის საფრთხე დაბნედა

29 აპრილის ბრიუსელის სამიტზე საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნა გადაწყვიტეს, რის გამოც აშშ და ევროპა სტრატეგიული თვალსაზრისით ერთმანეთისაგან კიდევ უფრო გაუცხოვდნენ.

რეპაზ ბახხაძე

ამ კვირაში ტრანსატლანტიკური დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგან ბრიუსელში გამართულ თავდაცვის სამიტზე გერმანია, საფრანგეთი, ბელგია და ლუქსემბურგი შეთანხმდნენ გენერალური შტაბის ჩამოყალიბებაზე. ლიდერებმა შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ

მრავალეროვანი შტაბ-ბინა მომავალი წლის ბოლოს შეიქმნება, რომელსაც შეეძლება შეიარაღებული ძალების გაგზავნა საერთო სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. ლიდერებმა დეტალურად საუბრის განხილვა შეიქმნა, მაგრამ აღნიშნეს, რომ ისინი ნატო-სა და ევროკავშირის მისიებს დაეხმარებიან.

ბაზრძალბა A5 გვირგვინი

შეწყდას სამართალდამცველთა თარეში - ითხოვნა მოვიხილოთ პატიმრები

ხათუნა ჯანგირაშვილი

პროტესტის უკიდურესი ფორმა - შიმშილობა - საქართველოს თითქმის ყველა ციხე-კოლონიას მოეწია. შიმშილი განსასჯელთა და მსჯავრდებულთა რიცხვი უკვე 4 ათას 700-მდე გაიზარდა. აქციის მონაწილეთა მოთხოვნა - გადაიხედოს მათი საქმეები, სამართალდამცველთა ორგანიზებმა კანონი დაიცვან და შეწყვიტონ მოქალაქეების უსამართლო დევნა - უცვლელი რჩება. შიმშილობის გამო

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე მომზადდებიან აქციის შეწყვეტას არ აპირებენ. „პატიმართა საქმეების გადახედვა იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის. ვერც ერთი პატიმრის და ვერც ათასის საქმეს იუსტიციის სამინისტრო ვერ გადახედავს, კანონი ამას არ ითვალისწინებს. სათანადო უწყებები, კომპეტენტური ორგანოები პატიმართა პრეტენზიებით სერიოზულად

ბაზრძალბა A7 გვირგვინი

ჭარბამოუვლელადი სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებს ვერ ეძირსებიან

ვირიკო თავზაძე

„ქართულ ჯარში ყოველწლიურად ოცეული იღუპება. ამერიკამ ერაყთან ომის წარმოებისას ორჯერ უფრო ნაკლები ცოცხალი ძალა დაკარგა, ვიდრე ჩვენ მშვიდობიანობის პერიოდში ვკარგავთ,“ - ეს სტატისტიკური მონაცემები საზოგადოებას გააცნო სამხედრო ექსპერტმა სოსო ბარნაბიშვილმა. ბარნაბიშვილი არ ეთანხმება ცვლილებათა კანონპროექტს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს სამხედრო ბეგარის 600 ლარამდე გაზრდას. მისი აზრით, ეს „კიდევ უფრო გააძლიერებს კორუფციას პრუსიული სისტემით დაკომპლექტებულ ჩვენს ჯარში. არადა, დღეს საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, შექმნას პროფესიული არმია, რომელსაც შეეძლება, ნატო-ს სტანდარტებს მიაღწიოს.“

- მე თანხების ამოღება მაინტერესებს. 200-ლარიანი ბეგარის პირობებში, ბიუჯეტში გაცილებით მეტი თანხა შევა, ვიდრე მისი 600 ლარამდე გაზრდის შემთხვევაში. - ჩვენ გვინტერესებს არა თანხა, არამედ ის, რომ რაც შეიძლება მეტი ფარისკაცი წავიდეს ჯარში. - მაშინ გააუქმეთ სამხედრო ბეგარა და საყოველთაო-სახალხო განვევა გამოაცხადეთ... კანცელარიის რეგიონული სამსახურის უფროსის ირაკლი ბოჭორიძის და ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის დაილოგს აუდიტორიაში მყოფთა რეპლიკებიც ერთვოდა. „მე კომიტეტის თავმჯდომარე ვარ თუ არა?“ - რამდენჯერმე იკითხა ხმაურით გაბეზრებულმა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა. კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე განხილულ ირაკლი ბოჭორიძის მიერ წარდგენილი „სამხედრო ვალდებულების შესახებ“ კანონი ცვლილების

ბაზრძალბა A2 გვირგვინი

კომპრომისი - მოკრული ოცნება

დღეს „მრეწველთა“ ოფისში სახელისუფლებო და ოპოზიციური ფრაქციები დახურულ კარს მიღმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესზე იმსჯელებენ. დეპუტატები კვლავ და კვლავ პოზიციების შეჯერებას და კომპრომისის მიღწევას შეეცდებიან, თუმცა პროგნოზი არადადამიმედებელია: პარლამენტართა უმრავლესობა აცხადებს, რომ ამ შეხვედრისაგან განსაკუთრებულ შედეგს არავინ ელის. ამასობაში, პარლამენტის შემთა-

იდეარდ შევარდნაძე - მძიმე ბავშვობის შედეგი

რეპაზ საყვარელილი სავიწარმოო .24 საათისთვის.

საქართველოს პრეზიდენტზე, მისი ხანგრძლივი და მრავალჭირნახული ცხოვრების მანძილზე, არაერთი ნიგანი დაწერილა. თუმცა, ამ მხრივ ყველაფერი ვერ კიდევ წინაა: შევარდნაძეზე გაცემული მემორიალი დაინერგა და გამოქვეყნდება, როცა ის ქვეყნის საჭიროებების არ იქნება (ალბათ, ოდესმე ეს დროც დადგება). თუმცა, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ მრავლისმომსწრე ქართველი მკითხველის მხრიდან უკვე გამოხატული ნიგნებიც არ არის ჯეროვნად შეფასებული და დაფასებული. ამაში კიდევ ერთხელ დაგვრწმუნდით, როდესაც ჩვენი უაღრესად პატივსაცემი კოლეგის, ქალბატონ მაყვალა ბერიანიძის ნიგნი - „ედუარდ შევარდნაძე - რისკის მეფე“ ვიხილავ. საკმაოდ სქელტანიან და უხვად ილუსტრირებულ ნიგნში ედუარდ შევარდნაძეს და მისი ცხოვრების ურთულეს ეტაპებს არაერთი ადამიანი

იხსენებს. აქედან, ზოგი მისი თანამებრძოლია (ყოფილი თუ ამჟამინდელი), ზოგი - კოლეგა-პრეზიდენტი, ზოგიც - უბრალოდ, ნაცნობი...

ყველას მოგონება თავისებურია და თავისებური პენი აქვს, მაგრამ ყველაზე თბილი და გულში ჩამწვდომი, პრეზიდენტის დის, ან ვარდაცე-ლილი ქალბატონ ვენერა შევარდნაძის მოგონებებია, რომელიც პრეზიდენტ შევარდნაძეს დღემდე უცნობი კუთხით გვაცნობს.

ედიკო

საქართველოს პრეზიდენტზე ვერაფერი იტყვის, ია-ვარდით მოფენილი გზა ჰქონდაო. განვლილი 75 წლის მანძილზე შევარდნაძეს არაერთი ქართველი დაატყდა თავს, თუმცა ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ პირველი უდიდესი საფრთხე პრეზიდენტ შევარდნაძეს ვერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში დამუქრებია. ამ ამბავს პრეზიდენტის და, ქალბატონი ვენერა შევარდნაძე ასე იხსენებს:

ბაზრძალბა A3 გვირგვინი



ედუარდ შვეარდნაძე - მძიმე ბავშვობის შდეები

პირველი გავრცელება

„უფროსი შვილი ვეგრაფი იყო, 1914 წელს დაბადებული, შემდეგ იპოკრატე (1917), მე (1918), აკაკი (1919)..."

წლები გავიდა... დედა დაფხვნილია. სიგეჟმდე იყო მისული, ამხელა შვილები მყავს და რაღა დროს ჩემი პატარააო. მამამ რამოდენიმეჯერ ჩაიყვანა ექიმთან, მაგრამ სულ უკან აბრუნებდნენ. არც ერთმა ექიმმა ხელი არ მოჰკიდა. ვერ მოგაცილებო(!). დედა ცუდად იყო და მაინც დაჟინებით ითხოვდა ექიმების ჩარევას. ერთხელ უკან მობრუნებულმა თქვა, არც ერთმა ექიმმა ხელი არ მოკიდა ოპერაციას, ერთმა ისიც კი თქვა, გული არ შემორჩილება, ხელს ვერ აღვმართავ ამ პანაის სიცოცხლეზე, მგონი დემონს არ სურს მის საქმეში ჩვენი ჩარევა, ეს პატარა ყველას აჯობებსო..."

სამწუხაროდ, ისტორიას ჩვენთვის არ შემოუნახავს ამ წინასწარმეტყველი ექიმის ვინაობა. თუმცა, ეს მის მორსმ-ჭერეტელობას იოტისოდენა ჩრდილსაც ვერ აყენებს. რაც შეეხება პრეზიდენტის დას, ამ ისტორიიდან ქალბატონი ვენერა ასკენის, რომ „მგონი, ღვთის ხელი ერა იდიკოს (ასე ვეძახდით მერე) მოვლენაში. სასწაული ამ ბები გადახდა დედას. ვერ მოიშორა... მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მიმართა ექიმებს.“

იოლი ცხოვრება არც ქვეყნად მოვლინების მერე ჰქონია საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს. დედის ავადმყოფობის გამო, მისი მოვლა სწორედ უფროს დას დაეკისრა. როგორც ქალბატონი ვენერა იხსენებს, „ედიკოს ყველგან დაგვართევდა, ზურგჩანთასავით მეკიდა. მაგის გარეშე ერთი წუთიც არ შემეძლო. შეიძლება ითქვას, დედას არ აუყვანია ხელში. ჩაის საკრეფად რომ მივდიოდი, იქაც კი მიმეყვანა.“

ასეთი მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი შვეარდნაძე, როგორც მისი და ახასიათებს, მწელად აღსაზრდელი ბავშვი არ ყოფილა - „ნაზი მოთამაშე ბიჭი იყო.“ თუმცა, ზოგჯერ „შეიძლება შემოვარტყამდი კიდევ.“ მართალია, ცელქი არ ეთქმოდა, მაგრამ ეს მშვიდი ბავშვი ზოგჯერ უსიამო სოურპრიზების შემოქმედიც ყოფილა. ერთ ასეთ ეპიზოდს მისი და ასე იხსენებს: „ისე, ერთხელ გული გაგვიხეთქა. მე და დედა ჩაის ვკრეფდით. უცებ გავარდა თოფი. დედამ იკვირა, ვაიმე, ედუარდ ორივე გავარდით. კედელთან ატუხული შემინებული იდგა. თოფი გავარდნია. კედელში გაუტარებდა ტყვია. დედას გული წაუვიდა... წამლები მივაყარე, აღარ ვიკოდი, რას ვაკეთებდი. საერთოდ, იარაღი არ გვიკვირდა.“



ედუარდ



ვენერა შვეარდნაძე



ედუარდი დიშვილთან ერთად

მამა მონადირე იყო და ჰქონდა მისი ფლობის უფლება, მაგრამ ამან როგორ გაბედა იქ შესვლა?“

იარაღის უნებლიე სროლისგან განსხვავებით, რითაც ყველა ბავშვი ვერ დაიკვებინს, ნორჩი შვეარდნაძისთვის არც ყველა პატარისთვის დამახასიათებელი მოვლენები ყოფილა უცხო. როგორც ბავშვების უმეტესობა, ისიც ხალისით ეხმარებოდა უფროსებს საქმეში და, რაც საეგზეთი ბუნებრივია, ამ პროცესში ბავშვებისათვის ჩვეული ამბებიც ემართებოდა. ამ სიტუაციებს მისი და ასე იხსენებს:

„ერთხელ ყურძენს ვკრეფდით. მე ხეზე ავიდი და გიდელი ავიტანე. ვუხარხარე, ედიკო, გიდელს ჩამოვუშვებ და შენ ჩაცალე გოდორში-მეთქი. ისიც პატარა ხელებით რაღაცას ახერხებდა. ერთხელ ცოტა მეტი ჩავყარე და... ჩამოვუშვი გიდელი. მანამდე მეძახდა, ფიში მინდაო. არ მივაქციე ყურადღება, მეგონა, მუშაობა მოხერხდა და... იძულებული გავხდი, ხიდან ჩამოვსულიყავი. გამოვუცვალე, დავბანე. რატომ გააკეთე ეს-მეთქი? ააფახულა თვალეები. როცა გაჭირვებულ კაცს არ მოუსმენ და არ დაუჯერებ, ასე იქნებაო.“

ასეთი ყოფილა პრეზიდენტ შვეარდნაძის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ბავშვობისდროინდელი კრედი. თუმცა, აზრის გამოთქმა, თურმე, არც სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში უჭირდა. რო-

გორც ვენერა შვეარდნაძე იხსენებს, „ხანდახან რაღაცას თუ ვიტყვოდი და არ მოეწონებოდა, გვისწორებდა. ჩვენ მაშინ გვეცინებოდა.“ მაგრამ გამოხდა ხანი და პატარა ედიკომ ყველას დაანახა, რომ სხვათა დასაცინი მას ნამდვილად არაფერი სჭირდა.

ედუარდი

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ თავისი ცხოვრების ერთ ეტაპზე ედუარდ შვეარდნაძე ექიმობას აპირებდა. თუმცა, ეს ისტორია, ძირითადად, მაინც ბურჟუაზიაში მოცულია. პრეზიდენტის და ამ საქმესაც მეტ-ნაკლებად ნათელს ჰყენს. შეიძლება დამთავრების შემდეგ, მოხარდი ედუარდი თბილისში სწორედ მას წამოუყვანია და სამედიცინო ტექნიკუმში მიბარებას უპირებდა:

„მამას და დედას ძალიან უნდოდათ, ექიმი გამოსულიყო. ტექნიკუმის დირექტორი გორდენიანი იყო. ახელდახელდა... გაესაუბრა, მოეწონა. ამას აქედან არსად არ გავუშვებ, ძალიან საინტერესო ბიჭიაო(!)“

თუმცა, ამხანაგ გორდენიანის იმედები საინტერესო შვეარდნაძე მალე გააცრუა. სამედიცინო სფეროში მომავალი პრეზიდენტი ვერც იმან „დაამაგრა“, რომ „სულ ხუთოსანი იყო“ და ვერც იმან, რომ „კომკავშირის მდივანად აირჩიეს.“ საბედისწერო ის დღე

აღმოჩნდა, როცა მომავალი ექიმი შვეარდნაძე პრაქტიკაზე წაიყვანეს:

„გულამოვარდნილი მოვარდა სახლში და თქვა, გინდა მომკალით, ექიმი მაინც ვერ გავხდები, ინსტიტუტში არ ჩავაბარებო... მაინტერესებდა, რატომ აიცრუა გული. გავიგე პრაქტიკაზე ყოფნისას ქირურგიულში შეხვევაზე უნდა შეეყვანათ. შემლით და ბლოკში იმ დროს შეუყვანათ, როცა ქალი მშობიარობდა. გამოვარდნილა იქიდან. იმ დღეს მართლა არ უჭამია საქმელი და ექიმობაზეც ხელი აიღო. რაც გინდათ, ის მიქვნიო, არ მინდა ექიმობაო!“

ასეთი ავბედითი შემთხვევითობის წყალობით დამშვიდობებია იმ დროს შესაშურად გულჭვილი შვეარდნაძე ექიმად ქცევის პერსპექტივას. მისი გული იმდენად მგრძობიარე აღმოჩნდა, რომ ახალი სიცოცხლის შობის ამაღლებული პროცესის ხილვასაც კი ვერ გაუძლო. არადა, მისგან, ალბათ, კარგი ექიმი დადგებოდა. პროცესების დასარეგულირებლად სამედიცინო ტიპის ჩარევები რომ კარგად ეხერხებოდა, ეს მან მომდევნო პერიოდებში ხომ არაერთხელ დაადასტურა!

ამბროსის ძე

ექიმობაზე უარის თქმის მერე, ედუარდს მალევე უპოვნია თავისი მოწოდების სფერო. მისი და იხსენებს,

რომ „ერთ დღეს ედუარდი მოვიდა, მომეფერა და ჩამაცვიდა, რაიკომში გადამეყვი, მეტს არაფერს გთხოვ ქვეყანაზეო(!). გავყვი რაიკომში. მაშინ პირველი მდივანი გუგული დანეგული დარჩა. „საჩვენო კაციაო... შტატგარეშედ მუშაობდა ჯერ. მერე მთელი რაიონი გაიცნო. აშკარად გამოიკვეთა, ლიდერს ეძახდნენ.“

ამკარად გამოკვეთილ ლიდერს მომავალი ცხოვრების მეგზურიც სწორედ მისი დის, უფრო სწორად, სიძის (დის მეუღლის) მეოხებით უპოვნია:

„ნაწული ჩემმა მეუღლემ, ირაკლიმ აღმოაჩინა... ჩვენ ხშირად დავდიოდით ბანაკებში. ერთხელ ირაკლი ჩამოვიდა და თქვა, ერთი სტუდენტი გოგონა მომეწონა, ობოლია, ბანაკში პირინთხელმძღვანელად მუშაობს. მგონი ედუარდისთვისაა დაბადებული. ეუთხარით...“

ჩვენ ჩავედით. ბანაკის ზემოთ გვექონდა ბინა. ედუარდი იქიდან უთვალთვალდა. მოეწონა... მერე თვითონ მოაკვარაჩინეს საქმე. - ასეთი აღმოჩნდა შვეარდნაძისთვის დისა და სიძის ხელშეწყობით ინიცირებული ოჯახური ურთიერთობების სტარტი. ოჯახისა, რომელიც საქართველოში, ალბათ, ყველაზე ძლიერ და წელმაგარ საზოგადოებრივ უჯრედად უნდა მივიჩნიოთ.

შვეარდნაძე

მთელი ეს ისტორიები შვეარდნაძის ცხოვრების ადრეულ ეტაპს ასახავს და, ალბათ, მკითხველთა ფართო წრისთვის სახალისოა და შეიძლება. რაც შეეხება შვეარდნაძის ამჟამინდელ მოღვაწეობას, ქალბატონი ვენერა მისი საქმიანობას აქაც საკმაოდ საინტერესოდ აფასებს. ცხადია, ზოგიერთი შეფასება შეიძლება მცდარად ან ძალიან თამამად მოგვეჩვენოს, მაგრამ მათ, ისევე როგორც ყველა სხვას, ნამდვილად აქვთ არსებობის უფლება.

ასე, მაგალითად, ძალიან საინტერესო ჩანს ვენერა შვეარდნაძის თვლით დანახული საკუთარი ძმების მოღვაწეობა: იპოკრატე „ცოტა სხვა იყო. პატრიარქის კომუნისტი“, ედუარდი კი „დემოკრატიის მოყვარეა და დაგვახალა კიდევ...“

ამასთან, ჩვენი პრეზიდენტი „ძალიან დამთმობია და ეს არ მომწონს. თუმცა, ხალხი უყვარს, მე ხომ ვიცი.“ სწორედ აქედან მომდინარეობს, რომ „ბევრი კმაყოფილი ჰყავს.“

რაც შეეხება შვეარდნაძის პიროვნების საკმაოდ მწელად ასახსნელ ფენომენს, მისი ლეილა და ამ საკითხზე გაუთავებელ მსჯელობებს, ცოტა არ იყოს, გაკვირვებითაც ხვდება: „რა გითხრა, შვილო, დრო აღარ არის დასვენონ? ამდენი ხნის მანძილზე როგორ ვერ გაიგეს ვინ არის, საიდან მოდის, ბოლოს და ბოლოს, სად მიდის?“

საბოლოო დასკვნა კი, რომლითაც შვეარდნაძის და მის მოღვაწეობას აფასებს, საოცრად ლაკონური და მეტყვევლია: „ედუარდი, მგონი, თვითონაც წვალობს და სხვებსაც აწვალბს.“

ედუარდ ამბროსის ძე შვეარდნაძე

ბანალური ქმედობებია, რომ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად კვალიფიციური ფსიქოლოგი და გადასტურებო, რომ ადამიანზე ბავშვობის პერიოდში თავს გადახდენილი ისტორია შეიძლება გაცილებით მეტი გავლენის მომხდენი იყოს, ვიდრე შემდგომი წლებშია თუ ათწლეულების დახუნძული ცხოვრება. წინამდებარე წერილით თქვენს წინაშე პრეზიდენტ შვეარდნაძის ცხოვრების ერთი ნაწილი გადაიშალა. ნაწილი, რომლის შემატყობაც პირუთენელი მთხრობელი - პრეზიდენტის ლეილა და გახლდათ, რომლისგანაც ტყუილი ან გაბუქება ნამდვილად გამოირცხვლია. თუ არ დაგვხარებთ, კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ეს ისტორიები და დაფიქრდით, ხომ არ იკითხება მათში საქართველოს პრეზიდენტის მოღვაწეობაზე დამჩნეული სერიოზული კვალი?

ფოქს კილსის თასზე მსოფლიო ჩივპონატზე შესარჩევი ტურნირები საქართველოში!

საქართველოში!

და

იტალია, გრაზილია, არგენტინა, საქართველო, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი... ფოქს კილსის თასზე მსოფლიო ჩივპონატში მონაწილეობს მსოფლიოს 20 ქვეყანა. გოგონებისა და გოგონების გააგრძელებული ბუნდები გააგრძელებიან ჰოლანდიაში.

AIRZENA GEORGIAN AIRLINES

საქართველოს ეროვნული ზარაზხანა

Coca-Cola ჰეპბლი

kent ანბტი

გეოჯელი GEORGEL

„ნუ ბლატაობთ!“

პირველი გვირგვინი

მერს დაეგზავნათ. იგნასიო ირიბარენი ქართულ მხარეს კიდევ ერთხელ...

ლი ოქრუაშვილი, რომელიც თავის დროზე „ეი-ი-ესსა“ და საქართველოს მთავრობას შორის ვაჭორმებულ...

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ რამდენიმე კვირის წინ საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა...

თელასის გენერალური მენეჯერის ინფორმაციით, როდესაც საგზაო ფონდმა კომპანიის ანგარიში დააყარა...

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მთავრობის მხრიდან კომპანიის ოფიციალურ წერილს უკვე მოჰყვა პირველი რეაქციები...

მოხიბორიები

წინასაარჩევნოდ სახელმწიფოს

მოსახლეობის 50-მილიონიანი ვალი ექნება

2 მაისისთვის ფინანსთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოქვეყნებული ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის ოთხი თვის შესრულების შესახებ.



რა პასუხს გასცემს ფინანსთა მინისტრი პარლამენტს ოქტომბერში?

ბის გახმაურებულ საიას. უფრო დეტალურ ანალიზს ჩვენ, ტრადიციულად, საბოლოო მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ შემოგვთავაზებთ, მაგრამ დღესაც ნათელია, რომ ექვსი თვის პროგნოზი ვერ შესრულდება და იენისის ბოლოსათვის დაგროვდება საკმაოდ დიდი...

დავალიანება დაცულ მუხლებში: ხელფასებსა და სოციალურ ხარჯებში. არჩევნების წინ დავალიანება მიაღწევს 50 მილიონ ლარს.

მანამდე კი სოციალური ფონდის ხარჯების შესახებ. 2 მაისისთვის დასრულდა იანვრის პენსიების დაფინანსება, ხოლო თებერვლისა და მარტის პენსიები დაფინანსებულია შესაბამისად 8.89 მილიონი და 7.08 მილიონი ლარით.

წლის ბოლოსთვის საქართველოს ემუქრება სიღარიბის შემდგომი გაღრმავება და ამის ფონზე სერიოზული სოციალური პრობლემები.

საკონსულტაციო ფორმა „მდებარე ვარშალოშიე, როლიანელი და ქაჯთარაძე

სამინისტრო თუ დეპარტამენტი - რას შეცვლის სახელწოდება

წინი ნარჩევაპილი

შემწებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო, რომლის ფუნქციონირებას მშენებლობისა და პროექტირების სფეროში კანონმდებლობის შემოღება...

მიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში უნდა გადასულიყო. თუმცა, მოვლენები სხვა მიმართულებით ნარინდება.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, პარლამენტს განსახილველად წარედგინა კანონპროექტი მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს დეპარტამენტად ჩამოყალიბების შესახებ, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში მისი განხილვა არ შემდგარა.

ტამენტი, ან სხვა უწყებებში მოხდება თუ არა ფუნქციონის გადახანალება. მთავარია სწორად იმართოღებს დარგი. აღმასრულებელი ხელისუფლების სრული რეორგანიზაცია კი გარდაუვალი პროცესია და მას წინ ვერაფერი დაუდგება.

რებით ყველაზე მნიშვნელოვანია სამშენებლო კომპანიების წარმომადგენელთა აზრი. შპს საპროექტო-სამშენებლო კომპანია „აქსისის“ მენეჯერი გოგა კაპანაძე მიიჩნევს, რომ არსებითი განსხვავება არ არის, თუ რა ფორმით და სახელწოდებით იარსებებს მშენებლობისა და ურბანიზაციის უწყება.

უნდა ითქვას, რომ სახელწოდების შეცვლა სრულიადაც არ ნიშნავს რეორგანიზაციას და ყველაზე კარგად ეს იცანს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებამ.

ხუთი მილიონი დოლარი მიწისძვრით დაზარალებულ სკოლებს

წინი ნარჩევაპილი

მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ გაითვალისწინა საქართველოს მთავრობის თხოვნა და თბილისში მოხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული სკოლების რეაბილიტაციისათვის დაახლოებით ხუთი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დამატებითი კრედიტი გამოყო. ეს გადაწყვეტილება მსოფლიო ბანკმა 31 მარტს მიიღო.

გუშინ კი, ფინანსთა სამინისტროში, საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტეფეკ იაფრაკამა და ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა აღნიშნული კრედიტის გამოყოფის დოკუმენტებს ოფიციალურად მოაწერეს ხელი.

მსოფლიო ბანკში აღნიშნავენ, რომ ის სასკოლო დაწესებულებებში, რომლებსაც სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება, საქართველოს მთავრობისათვის შეთანხმებული კრი-

ტერიუმების საფუძველზე შეირჩა. შეზღუდული რესურსების გამო პრიორიტეტულად ჩაითვადა სკოლები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმედ დაზარალდა და დიდი დატვირთვით მუშაობდა.

რაც შეეხება კრედიტის პირობებს, იგი საერთაშორისო განვითარების ასოციაციის სტანდარტით არის გამოყოფილი და მისი დაბრუნება 40

წლის განმავლობაში 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდითა და მომსახურების 0,75-პროცენტითან საფასურით მოხდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამჟამად მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 18 პროგრამა ხორციელდება, რომლებიც, საერთო ჯამში, 293 მილიონ აშშ დოლარია გამოყოფილი.

სსს „აზინია, მარჯალოშიმი, ნოლიანელი და სამხარაბე“ საბარათებარკნი, საწინანსო და მართვის კონსულტაციები. Includes website www.dvnlk.ge.

მოკლე

თბილისი. საქართველოს მთავრობასა და „გაზპრომს“ შორის გასაფორმებულ ხელშეკრულებაზე მუშაობა უახლოეს ხანში დაიწყება.

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენილია „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ვეროკომისიას შორის „ენგურჰესის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით ევროკომისიის მიერ გამოყოფილი თანხების დაბეგრვის შესახებ წერილების გაცვლის გზით დადებული შეთანხმება“.

თბილისი. ამერიკის სახელმწიფო მდივნის მიერ მოადგილემ მენეჯმენტის საკითხებში გრანტ გრინმა გუშინ თბილისში, დიდ დილოში დაათვალისწინა მ პექტორი ფართის ტერიტორია, სადაც ამერიკის საელჩოს ახალი კომპლექსის მშენებლობა უნდა დაიწყო.

თბილისი. ვაშინგტონში მიმდინარე მსოფლიო ბანკის (მმ) კონფერენციის თემაზე „ფინანსური რისკების მართვა, შეფასება და მონიტორინგი“, რომელიც 27 აპრილს დაიწყო და დღეს დასრულდება, 67 ქვეყნის 150-მდე მონაწილე ესწრება.

თბილისი. ტრასკას პროექტის ფარგლებში ავღანეთის მიმართულებით პუშანბატოლი დერეფანი უახლოეს დღეებში ამოქმედდება. 4 მაისს ფოთის ნავსადგურში შემოდის პირველი გემი იტალიიდან, რომელიც ავღანეთისთვის განკუთვნილ ათას ტონა მუშანბატორულ სასურსათო პროდუქტს ჩამოიტანს.

Advertisement for MBG Microfinance Bank of Georgia. Features a hand holding a coin and lists interest rates for various loan types: 29% IMI, 20% KFW, 16% IFC, 15% COMMERZBANK, 10% FMO, 10% EBRD.

რა სარგებლობა მოაქვს ზოდელავას ჰალსტუსს

ყურნალისტიკებმა მიხეცეს ფული "ამოვინეს"

ითარ მამულაპვილი

ყველაზე უზუცესი ქართველი, 123 წლის ილია დუღუშაური უახლოეს ათ დღეში ვანო ზოდელავას ჰალსტუსის, გიგი წერეთლის ფონენდოს კოხის და გიორგი კანდელაკის ხელთათმანების წყალობით, მცირეოდენ ხაზუქარს მიიღებს.

დედოფლისწუარში მცხოვრები ქალბატონი ილიას გარდა, მომავალ კვირას მოკრძალებულ ძღვენს მიიღებს კიდევ 64 ას წელს გადაცილებული მოხუცი.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემებით, დღეისათვის საქართველოს 65 რაიონში ას წელს გადაცილებული 1054 პენსიონერი ცხოვრობს, რომელთა უმრავლესობა მეცხრამეტე საუკუნეშია დაბადებული.

ბაზარზე ახლად გამოჩენილმა ჟურნალმა "სახე(ლ)ებმა" თილისხა და არა მარტო დედაქალაქის, ხსენებული კატეგორიის მოხუცებზე ზრუნვა ითავა, მოხუცებისათვის ჟურნალის მიერ სპეციალურად ამცობა ხნის წინათ სასტუმრო "შერიტში" საქველმოქმედო აუქციონიც კი ჩატარდა, სადაც ქართველმა ჩინურელებმა და მოუბინესის წარმომადგენლებმა კუთვნილი საყვარელი ნივთები გასაყიდად გაიღეს.

პირველი ნახიჩი - აკეთისის მოლოდინი

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 მაისის N240 ბრძანებულებით მიღებული დავლება იუსტიციის სამინისტრომ 2003 წლის მაისისთვის შეასრულა და პარლამენტს სისტემის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარუდგინა.

მამა ჭიანი

პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში შეკრებულმა არასამთავრობოთა წარმომადგენლებმა გუშინვე განაცხადეს, რომ არსებულ პრობლემებს, განსაკუთრებით ტრეფიკის თვალსაზრისით, უფრო ეფექტური პოლიტიკური რეაქცია უნდა მიიღებოდა.

ბადის დირექტორი თანამდებობას ენახვარვლა

სახალხო დამცველის ადმინისტრაციული დეპარტამენტი, შს სამინისტროს, საბავშვო ბაღის, "იმედი" ყოფილი გამგის, ქეთევან სეფაშვილის სიკვდილში ადანაშაულებს.

ნანა კაპანიანი

საბავშვო ბაღი "იმედი" შს-ს დაქვემდებარებაშია. 1999 წლის 14 დეკემბერს, სამედიცინო საკმინისის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სამინისტრომ ბაღის 28 სამტატო ერთეული (მათ შორის - დირექტორისაც) გააუქმა. სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო განმარტებით, კანონში შეტანილი ცვლილება ბაღის შს-ს გადასაცემისას გულისხმობდა. მაგრამ, განათლების სამინისტროს "იმედის" შს-ს გადასაცემისათვის უარი უთქვამს და ბაღი ძველ მდგომარეობაში დარჩენილა; ქეთევან სეფაშვილი თანამდებობაზე აღარ დაუბრუნებია, რადგან 1999 წლის 1 სექტემბრიდან შს-მ ბაღის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რეგიაზა ჩაატარა, დარღვევები აღმოაჩინა და მასალები საბურთალოს რაიონის პროკურატურას გადაუბუნა. 2000 წლის 1 სექტემბერს კი ახალი დირექტორი დაინიშნა.

2000 წლის 26 ოქტომბერს მიანმინ-და-კრანის რაიონულმა სასამართლომ, საკუთარი განცხადების საფუძველზე, ქეთევან სეფაშვილი თანამდებობაზე აღადგინა, მაგრამ როგორც სახალხო დამცველის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, გრიგოლ შალამაგრიძე ამბობს, შს-ს სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეუძლებელია. "ქეთევან სე-

მოკლედ

თბილისი. თბილისის კრანისი-მიანმინდის რაიონულმა სასამართლომ თბილისის მერის განკარგულება მრავალსართულიან სახლებში მამასახლისის ინსტიტუტის შემოღების შესახებ დროებით შეაჩერა. "ნაციონალური მოძრაობა" იმედოვნებს, რომ სასამართლო ობიექტურ განდევნილებას მიიღებს. გასულ კვირას ზოდელავას განკარგულების წინააღმდეგ საჩივარი ფრაქცია "ლეიბორისტული" შეიტანა კრანისი-მიანმინდის სასამართლოში; თავად ზოდელავამ კი საკრებულოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გასაჩივრა. **მედია-ნიუსი**

თბილისი. "თბილწყალკანალს" განცხადებით, თბილისში სასმელი წყლის გადასახადის ამოღების პროცესი, გასულ თვეებთან შედარებით, აპრილში გაუმჯობესდა, თუმცა სრულად თანხის ამოღება ვერ ხერხდება. მოსახლეობისგან წყლის საფასურის გადახდა 30 პროცენტს შეადგენს, მაგრამ ამის მიუხედავად, "თბილწყალკანალი" სადამკველო ღირსებითების გატარებას ვერეწერობით, არ აპირებს. **მედია-ნიუსი**

თბილისი. მერის დაპირებების მიუხედავად, თბილისის ვაგზლის მოედანზე არაფერი შეცვლილა და ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის, მათ შორის, მელდოვების პროდუქტებით მანქანებითაა ისევ გაჭრიბენ. როგორც ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის მოვლემის შემსრულებელი ვლადიმერ ახვლედიანი აცხადებს, მან სანიტარული ზედამხედველობის მასშაბურის ყველა თანამშრომელს ათი დღის ვადა მისცა, რათა თვეში გარეეჭვრობა მაქსიმალურად შემცირონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ თანამდებობის დატოვება მოუწევთ. **მედია-ნიუსი**

კანონის თანახმად...

კოლხეთში მცხოვრები თითოეული მოქალაქე კანონს არღვევს

თამარ დავლი

"დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ კანონი" პარლამენტმა 1998 წელს მიიღო. კანონის თანახმად, ამ ტერიტორიაზე თევზჭერა, საქონლის ძოვება და ხე-ტყით სარგებლობა აკრძალულია. აქედან გამომდინარე, კოლხეთში მცხოვრები თითოეული მოქალაქე არღვევს კანონს. გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ფრაქციის სხდომაზე კანონში იმ ცვლილებების შეტანაზე ინიციატივა, რომელმაც კოლხეთის პრობლემას უნდა მოგვეკაროს.

"ბევრი კანონი, რომელიც საქართველოში მოქმედებს, ნაწილობრივად ამოქმედებული. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შესვლა კანონით იკრძალება, არადა ყველამ იცის, რომ ეს ადგილი მოსახლეობისთვის საარსებო საშუალებაა. კანონპროექტი ცვლილებების შეტანისას, პირველი რიგში, მოსახლეობის ინტერესები გათვალისწინდა. მე-14 მუხლის შესამე პუნქტში ის ცვლილება შევიტანეთ, რომლის თანახმადაც,



დავით საკანდელიძე და ნინო ჩხობაძე

მოსახლეობას ტყით სარგებლობის, თევზჭერის, მწყემსეის საშუალება მიეცება. ასევე, ყურადღება გვაქმავს კულეით იმ პრობლემებზე, რომელიც მსოფლიო ბანკის და გარემოს გლობალური ფონდის ექსპერტებმა დაინახეს. მართალია, დაცულ ტერიტო-

რიაზე გარკვეული საქმიანობის განხორციელება არ შეიძლება, მაგრამ გარდამავალი ეტაპზე, დროებით ამის დაშვება აუცილებლობას წარმოადგენს", - განაცხადა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, ნინო ჩხობაძემ.

„მისი უდიდებულესობა კარდელავას კონკრეტული მოდგმის“ 5 ათასმდე წარმომადგენელი სპორტის სახალხო გამართულ ექიმთა პირველი კონგრესის გახსნას დაესწრო.

„მისი უდიდებულესობა კარდელავას კონკრეტული მოდგმის“ 5 ათასმდე წარმომადგენელი სპორტის სახალხო გამართულ ექიმთა პირველი კონგრესის გახსნას დაესწრო.

ყოფილ ნახევრად კოლხეებსა და კოლხეებს ჩვეული პატივი მიაგეს, შესაბამისად, ქვეყნის პრეზიდენტმა და სახელმწიფო მინისტრმა. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე, დედაქალაქის მერი და დარგის კორიფეები.

კონგრესი ემსახურება საქართველოში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის დაწარმებას, რისაც მალალი შეფასება მისცა ყველა გამომსვლელმა.

ზაზა ფარაშვილი

რეგისტრირებული კარდელავის მობრძანებულ ერთი საათით ადრე დაიწყო, მაგრამ ცივ დარბაზში - ჯანდაცვის მინისტრის ხელმძღვანელ მარკ ჰოლი, ხელისუფლებისგან, რატიშვილ, თარიღზე შემოდგულ, შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტსაც იხსენებს და აცხადებს, რომ ტრეფიკინგის პრევენციისთვის ეს მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნებოდა. რამდენად მტკიცებულა თავად ტრეფიკი, როგორც პრობლემა, ნათლად ჩანს იმ 3100 ზარმადსაც, რომელიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გასული წლის ზაფხულში გახსნილი "ცხელ ხაზზე" გაიხსნა. ასეთი ზარები ამ თემაზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების მსგავს "ხაზზე"ც მრავლად ფიქსირდება.

დეს. მანამდე კი, მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით, ჩახსრიდეს. მინისტრის თქმით, კონგრესზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ვირუსულ პნევმონიას, რომლის შესახებ სემინარები ინფექციური მედიცინის განყოფილებაში მიმდინარეობს.

ჩატარდება ვიდეოკონფერენცია. მინისტრის მისალმების შემდეგ დაიწყო 70-წუთიანი ვიდეომოსხენება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, ჯერ კიდევ მედემადლი პერიოდიდან და შემდეგ. პროფესიონალი მონაწილე და ჯონი ჯანაშიას შესაბამისი განმარტების მიუხედავად, ფილმის დამთავრებას ყველა ვერ დელოდა. შუა მოხსენებიდან დაიწყო და შეუტის ანთებამდე არ შეწყვეტილა მზის გულზე გამავალ ექიმთა ნაკადი. ავთანდილ ჯორბენაძეს, ნინო ბურჯანაძესა და ედუარდ შვეარდნაძეს დარჩენილმა ექიმებმა მოუსმინეს. ყველაზე ხანგრძლივად შვეარდნაძემ ისაუბრა.

ტრეფიკი არ გულსნიშობს მხოლოდ სექს-ვაჭრობას. შესაბამისად, საზღვარგარეთ დასაქმება პრობლემად არჩება.

კონგრესი გახსნა და მისასაღებელი სიტყვა წარმოთქვა მასპინძელმა - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ამირან გამყრელიძემ. მან საზოგადოებას კონგრესის პროგრამა გააცნო და სიხარული გამოხატა. მან საზოგადოებას კონგრესის პროგრამა გააცნო და სიხარული გამოხატა.

გამოფენაზე დამხმარე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების ნიმუშთა განსათავსებლად

საქართველოს განათლების სამინისტროს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი იქვეეს შესაბამისი კვალიფიკაციის გამომცემლებს და დამხმარე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების მოწოდებულ ფორმებს საქართველოს ქართული და არასპორტული სკოლების I-XI კლასებისათვის დამხმარე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების გამოფენაზე მონაწილეობის მისაძებნად. ცენტრის მიერ მოხდება მასალების საგანმანათლებლო და ფინანსური დირექტორების შემოსწავლა. გამოფენა გაიმართება თბილისში 2003 წლის სექტემბერ - ოქტომბერში.

საქართველოს ყველა სახელმწიფო სკოლა მოწვეული იქნება გამოფენაზე მასალებისა და თვალსაჩინოებების (2 მლნ. აშშ დოლარის ფარგლებში) შესარჩევად. სკოლების მიერ მოთხოვნილი რაოდენობის სასწავლო სახელწიფო განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი გააოფენას კონტრაქტებს მოწოდებულთან დამხმარე სასწავლო მასალების მიწოდებაზე. მოწოდებულს შეუძლიათ გამოფენაზე დასწრება სკოლებისათვის მასალების გამოყენების შესახებ განმარტებების მისაცემად. ამასთანავე, მოწოდებულს ენიჭება უფლება კარგადების საშუალებით მოახდინონ საკუთარი პროდუქტის რეკლამირება. გამოფენის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გამოფენის საორგანიზაციო ფორმას.

გამოფენაზე მონაწილეობის შესახებ განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 1 ივლისი.

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ მოწავდა საინფორმაციო პაკეტი გამოყენებისათვის. საინფორმაციო პაკეტი შეიცავს გამოფენაზე განსათავსებლად დამხმარე სასწავლო მასალებს და თვალსაჩინოებებსა ნუსხას, მოწოდებულთათვის გამოფენაზე ნიმუშების წარდგენის წესებს, მოწოდებულს ფინანსური შემოთავაზებების ფორმებსა და სხვა საჭირო ინფორმაციას. დაინტერესებული მოწოდებულნი, გამოფენაზე მონაწილეობის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში (ფოსტის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით) ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე, განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრიდან უნდა შეიღწიონ. უნდა შეიღწიონ საინფორმაციო პაკეტს (ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით).

ფინანსური შემოთავაზებებისა და ნიმუშების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 15 ივლისი.

შემოთავაზებები უნდა გამოფენის საკოორდინაციო ცენტრის საკოორდინაციო ცენტრის (ქვემოთ მითითებულ მისამართზე), ხოლო დამხმარე სასწავლო მასალების ნიმუშები გამოფენის საორგანიზაციო ფორმის მისამართზე (გამოქვეყნებული მოვლიანებით). განათლების სამინისტრო შეაფასებს წარმოდგენილ სასწავლო მასალების ნიმუშებს საგანმანათლებლო დირექტორების, ხარისხისა და გამომცემლების მიხედვით. შენიშვნა: ყველა ნიმუშის მიწოდება უნდა განხორციელდეს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ ხარჯების გაუქვეყნად. ყველა გადასახადი, ნაბიჯი და სხვა მისატრებელი საქართველოს ტერიტორიაზე უნდა დაიფაროს მოწოდებულს მიერ. განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი და გამოფენის საორგანიზაციო ფორმა არ შეიძლება მიწოდებულ ნიმუშებს ამ გადასახადების გადაუხდელი მომსახურება.

საკონტაქტო პირები: კოტე ჯანდიერი, ეკა ხუდაბერძენიანი
საქართველოს განათლების სამინისტრო
საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
დ. უსტინის ქ. N-52; 380002 თბილისი
I-ლი სართული, ოთახი N-102

ტელ: 43-34-02
ელ-ფოსტა: ekas@wanex.net
bao@wanex.net
გვა შეუხატეთ
ტელ: 95-98-37; ტელ/ფაქსი: 95-83-13
ელ. ფოსტა: gep@wanex.net

შენყდას სამართალდაცველთა თარეში! - ითხოვენ მოზიხილი პატიმრები

პირველი გვარდია

უნდა დაინტერესდნენ და სასწრაფოდ დაიწყონ საკითხის შესწავლა, რათა მოშიშვლილებების ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუარესდეს”, - აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

“შიშვლილობას არავითარ შემთხვევაში არ შევწყვეტთ მანამ, სანამ მცირედდნენ შედეგს მაინც არ დავინახავთ. ბოლოს და ბოლოს, იქნებ იმას მაინც მივალნით, რომ უდანაშაულო ადამიანებს, რომლებიც სამართალდამცველების უზუნეობის მსხვერპლი გახდნენ და, დღეებს კი არა, წლებს ატარებენ ციხის კედლებში, გარეთ გასვლის შემდეგ შიში აღარ ჰქონდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, გასწვრივ საქმეების სტატისტიკის გაზრდისთვის, სამართალდამცველები მიაღებებინან, ანამებენ, ანვალებენ, და ისევ უკან მიაბრუნებენ”, - პოზიციას არ თმობენ მოშიშვლილ განსასჯელები და მსჯავრდებულები, რომელთაც, სოლიდარობის ნიშნად, ქსნის ტუბზონის პატიმრებიც შეუერთდნენ. ტუბერკულოზით დაავადებული 286 მსჯავრდებული, უკვე მესამე დღეა, მედიკამენტებსა და საკვებზე უარს აცხადებს. ბოლო დღეების განმავლობაში ციხე-ციხე მოსიარულე, სასჯელდასრულების დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარეს გიგლა აგულაშვილს ქსნის დანესებულიების პატიმრებმა გუშინ განცხადება გადასცეს. “შენყდას ჩვენი ახლობლებისა და მეგობრების მიმართ პოლიციის მხრიდან განხორციელებული სასტიკი დევნა-შევიწროება”, - ასეთია ქსნის კოლონიის ბინადართა მოთხოვნა. ამ კოლონიის პატიმრები არც სოციალურ პირობებს უჩივიან და არც კოლონიის ადმინისტრაციას. პირიქით, მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და კეთილგანწყობის გამო მადლობას იხდებიან და იმ პირობებზე საუბრობენ, რომელიც მათ კოლონიაშია. “ჩვენ აქაურ მდგომარებაზე არაფერი სასწუნო არ გვაქვს - პირიქით, ასეთ სიტუბის, ყურადღებასა და მოვლას ზოგიერთი ჩვენგანი იჯახშიც კი მოკლებულია. ჩვენი



კოლონიებში საუბრების მთავარი თემა ახლა შიშვლილობაა

აქცია - თანადგომა და სოლიდარობა იმ განსასჯელების მიმართ, რომლებიც, ბევრი ჩვენგანის მსგავსად, ტყუილად ანამეს და ციხეში გაამწყესეს,” - განაცხადებს ჩვენთან საუბრისას ტუბზონის პატიმრებმა. სასჯელდასრულების 11 დანესებულიებში მოშიშვლილ პატიმრები იმ ცემა-ნამების მეთოდებზე საუბრობენ, რომელიც საკუთარ თავზე გამოცადეს. მოშიშვლილთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ტყუილად ზის ციხეში. ზოგიერთი პატიმარი კი არ ძალავს, რომ დანაშაული ჩაიდინა და

იმიტომ მოხვდა კოლონიაში. თუმცა, მსჯავრდებულთა უმრავლესობას სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ ციხეში მოხვედრის შიში აქვს, რადგან ამ მათი თქმით, “ნასამართლეებსა და ნაციხარს უფრო ადვილად უყენებენ ბრალდებას. სცემენ, ციხეში ატარებენ პარკს ჩამოაცვამენ თავზე, დენზე შეაერთებენ, ფრჩხილებს დააჯიხან და იტყვიან - თუ არ აღიარებ, რომ მოიპარე, დააყაჩაღე, მოკალი - დიდ სროკზე გაიშვებთ. თუ იტყვი, რომ ეს ყველაფერი შენ ჩაიდინე, ცოტა ხნით მიგინიშნებენ”.

სურათი: ანატოლი შიშინი

„საქართველოს სატელიტური დასვის სისტემას“, შსს-მ პრაზენციას მიაძვინა

შსს-ს ოპერატიულია ჯგუფმა, კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, გატაცებული მანქანის მოძრაობის მარშრუტი დაადგინა, ხოლო საგზაო პოლიციამ, სატელიტური მართვის მოწყობილობით გამტაცებულთა დაკავებაც მოახერხა.

ინტა ალაშვიძე

გუშინ, შსს-მ სატელიტური დაცვის სისტემის პრეზენტაცია, სხედებული ექსპერიმენტის ჩვენებათა მიანყო. შს სამინისტრო აცხადებს, რომ მანქანას, რომელიც სატელიტურ სისტემასთან იქნება დაკავშირებული, მოტაცების შემთხვევაში ვეღარ დაძალავებ, შესაბამისად, გამტაცებულთა დაკავებაც დიდი სირთულე არ იქნება. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას პოლიცია ახლად დაფუძნებულ შსს „საქართველოს სატელიტური დაცვის სისტემის“ დახმარებით შეძლებს. შსს-ს გენერალური დირექტორის ვასილ მღებრიშვილის განცხადებით, კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, თავისუფლად დგინდება ყველა მათი აბონენტის ავტომანქანის ადგილმდებარეობა, გადაადგილება და მოძრაობის სიჩქარე. ვირტუალური კავშირი ავტომანქანის მოძრაობას გააკონტროლებს, როგორც საქართველოს, ასევე ევ-

როპა-აზიის ტერიტორიებზე. ავტომანქანის გატაცებისა თუ წართმევის შემთხვევაში მოდის “უბედურების სიგნალი”, რის შემდეგ შს სამინისტროს შესაბამის სამსახურებში შეტყობინება ოპერატიულად იგზავნება. სიგნალის მიღება ავტომობილში ფარულად ჩამოტყუებული “ჩიპის” მეშვეობით ხორციელდება, რომლის ადგილმდებარეობა მხოლოდ მძღოლისთვისაა ცნობილი. “ჩიპი” ყველა გაუფრთხილებელ შემთხვევაზე იძლევა სიგნალს და ამისთვის საჭირო არ არის, მძღოლმა სპეციალურ ლიაკით გადასცეს სიგნალი. “უბედურების სიგნალი” მანქანის გატაცების შემთხვევაში იქნება, “ჩიპის” დამონტაჟება საცხოვრებელ ბინებში და სატვირთო მანქანებშიცაა შესაძლებელი. სპეციალურ ტრიალურებზე დამონტაჟებული მქანისში მისაშუალებით მასში მოთავსებული ტვირთის სახეობა მონიტორზე დაფიქსირდება. ვირტუალური მომსახურების პაკეტი, ანუ ავტომობილზე სატელიტური დაცვის სისტემის დამონტაჟე-

ბა, სერვისის სხვადასხვა ფორმების მიხედვით, 499 დოლარიდან ათას 500 დოლარამდე ღირს. გარდა ამისა, აბონენტს ყოველთვიურად 50 ლარის გადახდა მოუწევს. მომსახურების სრულ პაკეტში, გარდა დაცვის სისტემის დამონტაჟებისა, შედის ავტოავარიების დროს შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების გამოძახება და სხვა ტექნიკური მომსახურების სერვისი, რასაც ფირმა საკუთარი ხარჯებით ახორციელებს. ფირმის გენერალური დირექტორის ინფორმაციით, სატელიტური დაცვით ამჟამად, 100 აბონენტი სარგებლობს, მათგან 30 “ძალიან ცნობილი პიროვნებაა”, - განაცხადა ვასილ მღებრიშვილმა. მისი თქმით, შსს “საქართველოს სატელიტური დაცვის სისტემა” მთლიანად ქართველების მიერაა დაფუძნებული და მას უცხოურ ფირმებთან არააირი კავშირი არ აქვს, გარდა იმისა, რომ იაპონური და ამერიკული ტექნიკით სარგებლობენ. შს მინისტრის მოადგილის დავით თოდუას განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ფირმასთან უფასო ხელშეწყობების საფუძველზე შეშობს. შს მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის განცხადებით კი, შსს-სა და სატელიტური სისტემის

სამსახურის ურთიერთთანამშრომლობა ქვეყანაში კრიზისალური შემთხვევების რაოდენობის შემცირებას შეუწყობს ხელს. სამართალდამცველთა განცხადებით, სატელიტური დაცვის სისტემის გამოყენება პრაქტიკაში რამდენიმე დღის წინ მოხდა, როცა ნატა-სტარის საგუშაგოსთან გატაცებული ავტომანქანის მოძრაობის მიმართულების დადგენა და ბლოკირება სწორედ აღნიშნული ფირმის ვირტუალური დაცვის სისტემის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. ერთი სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული პრეზენტაცია, შსს “საქართველოს სატელიტური დაცვის სისტემა” მიეძღვნა. სხვათა შორის, გაეროცხადებული ინფორმაციით, შს მინისტრი კობა ნარჩქაშვილი ფირმის ერთ-ერთი პირველი აბონენტი იყო, რომელმაც საკუთარი მანქანა ვირტუალური დაცვის სისტემით აღჭურვა. თუმცა, ამ ინფორმაციას სამინისტროში უარყოფენ და აცხადებენ, დამნაშაევობის წინააღმდეგ მებრძოლი შს მინისტრი სხვებს იცავს და მის მანქანას სატელიტური დაცვა ნამდვილად არ სჭირდება.

უპრეცედენტო ნიშნი ქართულ იარსპრუდენციაში

ქართველმა იურისტებმა ევროკომისიის დაფინანსებით სახელმძღვანელოს სახით გამოიცეს წიგნი, რომლის სახელწოდებაცაა - “სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარები-ეკონომიკური დანაშაული”. მსგავსი კრებული საქართველოში აქამდე არასოდეს გამოცემულა.

თეა ხოჯარია

გუშინ ახალგაშობილი ნიგნის პრეზენტაცია მოეწყო. პრეზენტაციაზე მყოფი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურას თქმით, გამოცემაში შეყვრებულია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მასალა. “ქართულ სამართლებრივ სივრცეში ეს ნიშნი ნამდვილად წინ გადადგმაა”.

დადგმული ნაბიჯია. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის სფეროში ბევრი რამ გაკეთდა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი იურიდიული მეტოდოლოგიის მხრივ”, - განაცხადა ლადო ჭანტურამ. სახელმძღვანელოს რედაქტორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ხუბუას განმარტებით, ამ ნიგნით მკითხველს შეუძლია გაეცნოს სასამართლო პრაქტიკის კომენტარებს. ეს კომენტარები საქა-

რთველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებაში მომზადდა. “ნიგნი ხელს შეუწყობს ჩვენი სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას და დაეხმარება პრაქტიკის სპეციალისტებს ყოველდღიურ საქმიანობაში”, -აცხადებს გიორგი ხუბუა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მერაბ ტურავას აზრით, კომენტარები, რომელიც ამ ნიგნში მოცემული, საფუძველს ქმნის არანაკლებ მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოს შექმნისათვის. გუშინ გამართულ პრეზენტაცია-

ზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ევროკომისიის ელჩს საქართველოში ტორბენ პოლცეს შესთავაზა უახლოეს მომავალში სამუშაო სემინარის მოწყობა, რომელსაც მოსამართლეები, ადვოკატები და პროკურორები დაესწრებიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აზრით, სამუშაო პროცესში ჩამოყალიბდება ერთიანი შეხედულება, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტას. ევროკომისიის ელჩმა უპირიანად ჩათვალა ასეთი სემინარების ჩატარება და განაცხადა, რომ აუცილებლად შეეცდება ამ მიზნის განხორციელებაში დახმარების განწევას.

მკვლელობათა ტალღა ბიქსიკაში

მექსიკის გენერალური პროკურატურა ასობით ქალის მკვლელობის საქმეს იძიებს. მკვლელობები მოხდა ჩრდილოეთის სასახლერო ქალაქ სიუდად ხუარესში. სამართალდამცველები არ გამოორცხავენ, რომ მკვლელობები ჩადენილია მსხვერპლთა ორგანოების შემდგომი გაყიდვის მიზნით. ბოლო 10 წლის მანძილზე ამ ქალაქში 300-ზე მეტი ადამიანი მოკლეს, რამდენიმე ასეული კი უგზო-უკ-

ვლოდ დაიკარგა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ექვმიტანილი დააპატიმრეს, მკვლელობათა სერია არ შემწყდარა. ფედერალურმა პროკურორმა კარლოს ვეგამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ “მართალია, ორგანოებით ვაჭრობა გამოიძიების ერთადერთი ვერსია არ არის, მაგრამ ზოგიერთ დეტალს მიანიშნებს იმაზე, რომ ქალები სწორედ მათი ორგანოების გაყიდვის მიზნით დახუცეს”.

აქამდე მკვლელობების საქმეს ადგილობრივი პროკურატურა იძიებდა, მაგრამ ორგანოებით ვაჭრობაზე ეჭვის აღების შემდეგ საქმე გადაიგზავნა ფედერალურ ორგანოებში. მკვლელობათა ტალღამ და გამოიძიების პროცესში წინსვლის არარსებობამ მექსიკელთა უკმაყოფილება და საერთაშორისო ორგანიზაციათა კრიტიკა დაიმსახურა. მართალია, ბოლო წლებში რამდენიმე ადამიანი დააკავეს, მაგრამ მხოლოდ

ხუთ მათგანს წარედგინა ბრალი მკვლელობაში. 80-ზე მეტი მკვლელობა, ფაქტობრივად, ერთი მკვლერთაა შესრულებული: თითქმის ყველა მსხვერპლი ახალგაზრდა ქალი იყო, ყველა მათგანი მუშაობდა ფაბრიკაში და გაგუდვით მოკლეს. გამოძიებები დარწმუნებული არიან - საერთო ხელნერა მეტყველებს იმაზე, რომ მკვლელობები სერიულ მკვლელობის ან მკვლელების მიერაა ჩადენილი.

მოკლულ

თბილისი. იუსტიციის მინისტრის მოადგილე კახა კობერიძე უარყოფს რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს იუსტიციის სამინისტრო მოშიშვლილ პატიმრების საქმეების შესწავლას არ აპირებს. რუსული საინფორმაციო საშუალებები მითითებენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია მათ იუსტიციის სამინისტროსგან მიიღეს. “იუსტიციის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი პირი, შეისწავლოს პატიმართა საქმეები, შესაბამისად, სამინისტროში ასეთი განცხადება ვერ გაკეთდებოდა. საქმეები შესაძლოა, შესაბამისმა უწყებებმა შეისწავლონ”, - აცხადებს კობერიძე. კახა კობერიძის თქმით, ასევე აბსურდია გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს პატიმართა აქცია პოლიტიკური პარტიების მიერ იმართება და წინასწარცხვნი პერიოდში ქვეყანაში დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად. “არ გამოვირცხვავ, რომ აქცია გარედან არის მართული, თუმცა მასში რომ პოლიტიკური ძალები არ მონაწილეობენ, ეს კატეგორიულად შემიძლია ვთქვა”, - აღნიშნა კობერიძემ. მედია-ნიუსი

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროში თანამშრომელთა ატესტაცია დაიწყო. შს მინისტრის პირველი მოადგილის შოთა ასათიანის განცხადებით, ატესტაცია მისი უნდა დაწყებულიყო, თუმცა ვადებზე ერთი თვით გადაინია, რადგან საატესტაციო ტესტებში შეტანილი დამატებითი საკითხების გამო, თანამშრომლებს მომზადებისათვის კიდევ ერთი თვის ვადა მიეცათ. უკვე დარეგებულია პროგრამა, რომლის შესაბამისადაც შს სისტემის თანამშრომლებს შეამოწმებენ. შოთა ასათიანის თქმით, ატესტაციას პოლიციელები შს სამინისტროში სპეციალურად შექმნილ კომისიაში გაივლიან, რომელიც მინისტრის მოადგილეებსა და სამმართველოს ატესტაციავალდებული უფროსების დონეზე დაკომპლექტდება. პრაიმ-ნიუსი

თბილისი. პატიმართა შიშვლილობის საკითხი იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მონიტორინგის საბჭოს სხდომაზე განიხილეს. არასამთავრობო ორგანიზაციის “ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის” წარმომადგენლის გელა ნიკოლიშვილის განცხადებით, პატიმართა მოთხოვნა, ყველა საქმის ერთდროულად გადასინჯვასთან დაკავშირებით, არაეფექტურია. “ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ იმ კონკრეტული საგამომიბეო საქმეების გადახედვა, რომლებიც ამკარა უხეში დარღვევებით არის შედგენილი”, - განაცხადა ნიკოლიშვილმა. ინტერ-პრესი

კასპი. კასპის რაიონის ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომლებმა თბილისიდან გატაცებული “ბმე“-ს მარკის ავტომანქანა და გამტაცებელი ვეგუფის ნევერები დააკავეს. ამოღებულია ორლეონიანი გადაჭრილი სანაღირი თოფი და ვაზნები. თბილისიდან გაიბერუსილის კუთვნილი ავტომანქანის გატაცება წუხელ, გვიან ღამით მოხდა. მანქანა ანალოგიური დანაშაულისთვის უკვე წასამართლევ, გორში მცხოვრებ გიორგი წკრილაშვილს და თბილისელ ონისე იარაჯულს ციხეშია დაკავშირებული. ინტერ-პრესი

თბილისი. კოსტავას N47-ში მდებარე ტექნიკური ბიბლიოთეკის შენობის მეორე სართულიდან 20 წლის აღექსადრე გოჯაშვილი გამოიყვანა და 15 წუთის შემდეგ ადგილზევე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე მყოფთა განცხადებით, გოჯაშვილი აღნიშნულ შენობაში ნაცნობ გოგონას ელოდებოდა. იგი ახლად მდგომარეობაში იმყოფებოდა აივნის მოაჯირზე დაჯდა. თვითმხილველთა თქმით, გოჯაშვილი მოულოდნელად, ინერციით ქვემოთ გადავიდა და ბეტონის საფარს დაარტყა თავი. სასწრაფო დახმარება აღექსადრე გოჯაშვილს ცოცხალს ვეღარ მოუხსრო. ინტერ-პრესი

თბილისი. 11 წლის ირაკლი ჭყვანის მკვლელობის მცდელობის საქმე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ გახსნა. სამართალდამცველები გამოძიების დეტალებზე საუბრისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებენ, რადგან მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირის ვინაობის განმარტება გამოძიების ხელს არ აძლევს. არსებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილი საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფება და მასზე ძებნაა გამოცხადებული. მედია-ნიუსი

თბილისი. ქობულეთის რაიონის ნარკობანისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სოფელ ზუგდიდში მცხოვრები, 42 წლის იმარ ბედალაძე, რომლის სახლიდანაც 0,235 გრამი შერონი ამოიღეს. მედია-ნიუსი

თბილისი. თბილისის მთაწმინდა-კრანის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, 65 წლის გიორგი ნავროზაშვილი, რომელმაც ურთიერთშლაპარაკებისას, დანის გულმკერდში დარტყმით მოკლა შვილი, 27 წლის კახაბერ ნავროზაშვილი. მედია-ნიუსი

ქუთაისი. ქუთაისელი ნოდარ აფთხიშვილი, რომელიც 15 წლის თეონა ლორთქიფანიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ქუთაისის ციხიდან, შესაძლოა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანონ. მისი განმარტობის მდგომარეობის შესამოწმებლად გასულ კვირას ფსიქიატრიული ექსპერტოზა დაინიშნა. ჯერჯერობით, ექსპერტოზის დასკვნა უცნობია, მაგრამ იზოლაციის უფროსის მაღალ სინაურის თქმით, აფთხიშვილი ცალკე საკანში ჰყავთ და განსაკუთრებული მეთვალყურის ქვეშ იმყოფება, რადგან რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა - ერთხელ ვენები გადაიჭრა, მეორედ კი, დენით სცადა თავის მოკლა. ინტერ-პრესი

ნომრის სტუმარი

ის თეატრი მაინტარისაზს, როგილზაც რეალობა დიდ გავლენას ახდენს

მიხაილ მარმარინოსი: პირველად ბიოლოგის დიპლომი აიღო. ძირითადი თეატრალური განათლება საბერძნეთში მიიღო, მერე კი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კურსი გაიარა. ძირითადად - გერმანიაში. უკვე დიდი ხანია, თეატრში მოღვაწეობს. არის ათენის თეატრალური ასამბლეის „დიპლოს ეროს“ მთავარი რეჟისორი, თუმცა, მისი კარიერა მსახიობობით დაიწყო. უკვე 20 წელიწადია, ამ თეატრს ეს სახელი ჰქვია. მაისიდან კი „ტეატრუმ ანსამბლემ-02“ ეროვნულად

მაია ჭალაბანიძე

როცა მიხაილ მარმარინოსის სპექტაკლს უყურებ (მიუხედავად იმისა, რომ ბერძენია), ხვდები, რომ რიტორიკული ეპოქა მოკვდა. თეატრი ცხოვრებისა და თეატრის ერთმანეთთან კავშირითაა. თეატრალური კულტურის და თეატრალური კულტურები ამ ლაბორატორიის ტერიტორიაზე იკეთებიან. ეს ლაბორატორია ყველას უნდა ჰქონდეს, მით უფრო, ჩვენსადაც ვართ. ვინაობა... ახლა ძალზე თეატრალურად ვართ. ზოგჯერ შინაგანი და თეატრალური კულტურები ამ ლაბორატორიის ტერიტორიაზე იკეთებიან. ეს ლაბორატორია ყველას უნდა ჰქონდეს, მით უფრო, ჩვენსადაც ვართ. ვინაობა... ახლა ძალზე თეატრალურად ვართ. ზოგჯერ შინაგანი და თეატრალური კულტურები ამ ლაბორატორიის ტერიტორიაზე იკეთებიან.

დულ სიერცესა და დროში ვილაც შემოდის, გასვლისას განსხვავებული უნდა იყოს. რაღაც ცვლილება აუცილებლად უნდა მოხდეს - ემოციური, სენტიმენტალური, გონებრივი - არა აქვს მნიშვნელობა... ეს ჰგავს ტანგოს, რომლისთვისაც ორი ადამიანია საჭირო... თუ ეს საკვები ხალხზე მუშაობს და შექმნის, რომ მათ ღრმა ემოციებსა და გრძობებს შეეცხოთ, კმაყოფილი ვარ... აი, ამის შემდეგ უკვე შეიძლება, ფორმების შესახებ დიდი ხან ვიკამათო. - როგორ მიიღო პრესამ და საზოგადოებამ თქვენი ექსპერიმენტი „ეროვნული ჰიპნოზი“? - ამ წარმოდგენამ უკვე მიიღო საპირისპირო რეჟისორების, კონცეფციისა და მუსიკოსების, იყო დილონამები. საბერძნეთში კი პრესა და კრიტიკა ძალიან მკაცრია. - ეს წარმოდგენა სამ ქვეყანაში დიდდა. საზოგადოებას ყველგან საკუთარი ტრადიციები შესთავაზო... ყველგან დილონამები იყო? - სხვადასხვა ქვეყნების მაცხოვრებელი შორის მსგავსებაცა და განსხვავებაც. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ბერძენი მაცხოვრებელი მეტივერან განსხვავებული თეატრალური ფორმების არსებობას. ევროპულ ქვეყნებთან მეტი კავშირია. ამიტომაც, ამ წინის განმავლობაში მეტი გამოცდილება მიიღო და შეიცვალა.



მიხაილ მარმარინოსი

საზოგადოებას ახალ ფორმებთან უდიდესი კონფლიქტი ჰქონდა. თითქოს, ადამიანს ფეხქვეშ მიწა გამოაცალეს.

- თეატრი ადამიანური ისტორიების ხელოვნება და მან შინაგანი კონფლიქტები უნდა ასახოს.
- ვიცი, ჩემს სპექტაკლს ბევრი ისეთი ადამიანი ესწრებოდა, ვინც სხვა შემთხვევაში არ მოვიდოდა - მოსვლა მოვალეობა იყო.
- რეჟისორების აზრი მსოფლიო მანდარისა არის საინტერესო. თუ ისინი უბრალო მაცხოვრებლები არიან.
- ქართული ქალები დედამიწასთან და ცასთან კავშირის დამყარებაში გეხმარებიან... ეს აბსოლუტურად მძებრი ქვეყანაა.

რა დრო სჭირდება ექსპერიმენტს, რომ ის აღარ იყოს ექსპერიმენტი და გახდეს ტრადიციული?

- საინტერესო კითხვა და პასუხის გაცემა ძნელია... ეს პროცესი საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად მიმდინარეობს. თეატრმა უნდა ასახოს საზოგადოებაში არსებული ცვლილებები კონფლიქტები და ადრესატი ადამიანთა ემოცია უნდა იყოს. თუ ამ ემოციურ დონეზე შევხვებით და ერთვარ სტიმულირებას გავუწევთ, ეს ადამიანთა მენტალიტეტზე მოახდენს გავლენას. თეატრი ხალხის განათლებისთვის არ არის. რა თქმა უნდა, ხალხს ხელოვნება განათლებას აძლევს, მაგრამ ესეც ერთგვარი შედეგია. საბჭოთა სივრცეში თქვენ კარგად გამოცდილი, თუ რას ნიშნავს თეატრისთვის საგანმანათლებლო ფუნქციის მინიჭება. - როგორც რეჟისორი, რითი იკვებებით? - რას კითხულობთ, რას უსმენთ? - ყველაფერი მიყვარს. ბაზარიც კი. განსაკუთრებით - თბილისში. არ მიყვარს მხოლოდ მნიშვნელოვანი და ცნობილი ადამიანი. პირიქით - ყოველდღიური ცხოვრების სრულიად უმნიშვნელო ნივთებისადმი დიდ ემოციას იწვევს. მაგრამ, ძირითადი გავლენა, რა თქმა უნდა, წინგებს აქვს. გატაცებული ვარ ფოტოგრაფიით, კინოხელოვნებით. ეს არის ის ძირითადი, რითიც განათლებას ვიღებ. მაგრამ არსებობს კიდევ სხვა ბაზა - თბილისი...

- უფრო ზუსტად? - ჩემი გერმანელი მეგობრები ათენზე გაივლიდნენ. სულ მიკვირდა და არ მესმოდა, რატომ. როცა ეს მათ ვეიხებე, დამეხმარნენ, რომ ჩემი ქალაქი სხვა თვალის დამხინჯვას. მათი დამხმარებით აღმოვაჩინე ის სიმდიდრე, რომელიც ჩემს ქალაქში იყო და ვერ ვხედავდი. - იქნებ ჩვენთვისაც იგივე სამსახური გავგნათ? - ინტერვიუსთვის განკუთვნილ დროში ეს ძალიან გამეჩვირდება. თბილისი ჩემთვის არაფერია, არაფერი ქალაქის მაგალითია. ეს კარგიც არის და ცუდიც. ეს ცუდი მხარე მხოლოდ მტკიცა, რადგან ვიცი, რომ ამით ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებსაც ადგებათ ტკივილი. - ამ ქალაქში ისტორიის განვითარების დონეები და შრეები ჩანს. უნდა იყო, რომ ქალაქი განვითარების სხვადასხვა დონეზე დატოვას... ეს გასაკვირია. - მომავლის ქალაქი მოსახერხებელი იქნება, მაგრამ თბილისს ეს უფრო არ ემუქრება. ქართველი ხალხი ღრმად არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხნის ისტორია აქვს. ურთიერთსანივალდევო ისტორიის მატარებელი ხალხია. განვითარების სხვადასხვა დონე ადამიანებშიც ჩანს - შრეებსა და სიღრმეებს შუამნიშნავს. - სხვათა შორის, თქვენი ის ემოციები „ეროვნული ჰიპნოზი“ გამოიწვია... - სპექტაკლი ყველა ქვეყანაში შექანიურად მუშაობს. თეატრიც ერთგვარი მექანიზმია. ეს წარმოდგენა, პირველ რიგში, იმ ხალხს იყენებს, ვინც მასში მონაწილეობს - მსახიობებსა და მაცხოვრებლებს. სპექტაკლი ცხოვრების დოკუმენტური მოვლენების ასახვის საშუალებებია. ეს არ არის ბოლომდე დოკუმენტური თეატრი. წარმოდგენაში მსახიობები მხოლოდ პროფესიონალები არიან, ამ ქალაქში, ამ ეპოქაში მცხოვრები ადამიანები არიან. ისინი, ვისზეც რეალობა გავლენა იქონია. ვცდილობ, მათი ცხოვრებისეული გამოცდილება, ლაქები, ტკივილი - სცენაზე ვაჩვენო. ამ მექანიზმის საშუალებით ვაჩვენებ არა მხოლოდ იმას, რასაც თავად ვხედავ ქალაქში, არამედ ამ ქალაქის სხეულებსაც აღქმასაც. - როგორ მიიღო ქართველმა მაცხოვრებელმა ბერძენი რეჟისორის მიერ სცენაზე გამოცხადებული ლაქები და ტკივილები? - ამის დასადაგენად ოთხი დღე მჭირდება. პრემიერის დღეს ვადაწყვეტად არ მივიჩნევ ხოლმე. იმისთვის, რომ უფრო ობიექტური ვიყო და სპექტაკლისადმი რეალური დამოკიდებულება შევიგრძნო, სწორედ ეს დრო მჭირდება. - აბა ვინ არის ამ წარმოდგენის რეალური მაცხოვრებელი? - გუშინდელი მაცხოვრებელი ნამდვილი მაცხოვრებელი არ ყოფილა. გახსნილ დღეებზე ყოველთვის ასე ხდება. რაც უფრო ოფიციალურია გახსნილი დღე, მით უფრო ნაკლებად საინტერესოა მაცხოვრებელი. ვიცი, ბევრი ისეთი ადამიანი ესწრებოდა, ვინც სხვა შემთხვევაში არ მოვიდოდა - მოსვლა მოვალეობა იყო. - ცნობილი ქართველი რეჟისორების აზრი თუ იცით? ვიცი, რომ ნაწილ-

მა სამსაათიანი სპექტაკლის დასრულებამდე დატოვა დარბაზი. - ამ წარმოდგენაში შესვენება არ არსებობს. ორგანიზაციული ლავსუსები იყო. ამას კი ყოველთვის ტექნიკური სირთულეები მოჰყვება. სკამებიც არ არის გათვლილი ამდენ ადამიანზე და ა.შ. ამის მიუხედავად, ის ადამიანი, ვისაც ეს წარმოდგენა აინტერესებს, დარბაზს არ დატოვებს - ამის დიდი გამოცდილება მაქვს. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ძალიან მოსონით და წარმოდგენას ამიტომ ვერ ტოვებენ. ყოველ შემთხვევაში, რეჟისორების აზრი არ მინტერესებს. მათი აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში საინტერესოა, თუ უბრალო მაცხოვრებლები არიან. ძალიან მინტერესებს ხალხის აზრი - ეს უფრო ნამდვილად არ ვიცი და ვცდილობ, რომ ვიგრძნო. - თავად როგორი მაცხოვრებელი ხართ? - საკმაოდ მკაცრი და გახსნილი. ყველაფერს ვიღებ. საში დღის წინ ვნახე „ეს სკამი და აი, ეს საწოლი...“ - რა ინფორმაცია გაქვთ თბილისში მიმდინარე თეატრალური პროცესების შესახებ? აქაც სიახლეების ძიება... - ყველაფერი წინ უნდა მიიღოდეს. მნიშვნელობა არა აქვს, დიდ თეატრალურ სივრცეში მოხდება ეს თუ პატარაში. ყველაფერი უნდა ცვალებოდეს. მხოლოდ ასე ნაგა წინ ყველაფერი. არ შეიძლება, ერთ დღეს გაიღვიძო და თქვა: დღეს მე ახალ თეატრს დავაარსებ... ისეთივეა, ამას ვერ იტყვი. უნდა გააგრძელო ძიება და რაღაცას მიაგნებ. ვაჩვენებ არ შეიძლება. რაც მეხება სპექტაკლს „ეს სკამი და აი, ეს საწოლი...“ მისი შეფასების ობიექტური ვერ ვიქნები, რადგან ტექსტს ვერ მივხვები, თანაც, წარმოდგენაში ჩემი ახლო მეგობრები მონაწილეობენ... რეჟისორსაც არ ვიცი... კარგად - სულ ორჯერ შევხვდი. მაინტერესებს, რას ცდილობს, რა ინტერესები აქვს. სპექტაკლში ჩემთვის საინტერესო ბევრი რამ აღმოვაჩინე, ცოტა ძველი, მაგრამ... უნდა გავაგრძელო. ეს გადასალახავია. - ქართველთა ხასიათის ასეთი კარგი ცოდნა თქვენი ქართველი მშენებელი დამსახურება ხომ არ არის? - ამას ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს. ყოველთვის ვცდილობ, ახლო ურთიერთობა მქონდეს ქვეყანასთან და ხალხთან. ტურისტად არასდროს ჩავდივარ. როცა მეუბნებიან, სასტუმროში გინდა დაბინავება თუ ოჯახში, ყოველთვის ოჯახს ვირჩევ. საქართველო შევიცანი იმ ოჯახების საშუალებით, ვინც მიიღო და დამეხმარა, რომ მეცინო, რა არის ქართული სული. ამან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. - რა დაინახეთ, რეალურად რა არის ქართული სული? - ქართული ქალების სიღრმე დავინახე... ეს წარმოუდგენელია. ეს აბსოლუტურად მძებრი ქვეყანაა. კაცები მხოლოდ უნდა ეხმარებოდნენ ქალებს. უნდა უყურონ, რას აკეთებენ და როგორ... ქალები გეხმარებიან, ნამდვილი ურთიერთობა დაამყარო დედამიწასთან, ცასთან... ამას გარდა, ქართველებსა და ბერძენებს შორის ნათესაური კავშირი ვიგრძენი. თითქოს ეს წარმოუდგენელია, მაგრამ სასიამოვნოა. დავინახე საღებავი ქალების ნარმოთქმის ქართული უნიკალიობა. ზოგჯერ შეიძლება ეს ძალზე მოსახერხებელი იყოს, მაგრამ, როგორც ვუხექვია, როგორც ლიტურგია, ძალზე ღრმაა. ეს ნამდვილია და კარგი თეატრიული თამაშდება. ზუსტ სახელოვნებას აძლევს მოცემულ კონკრეტულ მომენტს, სულს... საქართველოში ელნიანადი ორჯერ მინც ჩამოვიდვარ... - და შთაბეჭდილება არ შეგცვლიათ? - არა, პირიქით. შთაბეჭდილება უფრო ღრმადდება. უფრო მეტ დეტალს ვხედავ ვარკვევით. ასე რომ, ჩემი პირველი შთაბეჭდილება ღრმადდება და რეალური ხდება. - როგორც ჩანს, თქვენთვის „ეროვნული ჰიპნოზი“ არის თეორიულად ერთობის შესახებ. თეორიულად კი დამტკიცება სჭირდება. როგორ მოახერხებთ? - ეს თეორია, უბრალოდ, არსებობს. დამტკიცების პროცესი კი არ მინტერესებს. მე დავარკვევდი აქსიომას, მაგრამ აქსიომას ძალიან მკაცრი და ზუსტი განაცხადი იქნებოდა...



შეავსეთ ანკედა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ ბარკვებით. გლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაანთავსოს თუ არა მონაცემთა ბაზაში "ხალხის პირისპირ". თქვენი შეტყობინებები, დაგისაზღვრებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკედის შევსებით თქვენ მისამართით შიშის "ხალხის პირისპირ" ნაშაბას და აიროგზავს.

ანკედა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიზორი "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონტრასტანტი ტელევიზორი "ხალხის პირისპირ" შეიქმნა ანკედის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკედა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ძვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გააქვთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:


საშუალო ადგილი

დასმარა კატეგორია: (მრთობითი კატეგორია, რომელიც აკრავს ტრადიციით, შენობით ან სხვა სახის მონაცემთა ბაზაში, სადაც არის "არსებული" ან ვერაირი მონაცემი დასაშვებია, ან ნა-ინი მონაცემი შენობა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააქვთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისათვის თუ არა, ვირადაც, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?



გთხოვთ, დააკრავთ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრავთ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენი ხარის გადამღებელი ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

გიყვარათ თუ არა მოგზაურობა? (თუ გინორგზავრათ საბარტეფოს ბარათი და სად?)

არჩევანი რომ გქონდათ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად ნახვილოდით მასთან ერთად და რატომ?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დსკენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდათ, სად ნახვილოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რაგის შეცვლა საკუთარ ბარგებში ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვისი ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გავიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც აგაყოფთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს უგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტასახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა აგვლავთ?)

გაქვთ თუ არა ურვეულო ნიჭი? (გადალთხალ, შენობით თუ არა სტენით ბოლოვების "მიზანის სწავლა" შესრულება, ან სხვა სახის მონაცემთა ბაზაში მონაცემების გაწევა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაცილოვა ჩვენს თავაში?

ურვეულო ან სინტეზის რამ თუ გადაგდენით თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი საშუალო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

პრეზენტაცია

ფეხბურთი ნახატებსა და შარავები

ქართველი მწერალი, დემიკო ლოლაძე უამრავი საფეხბურთო გამოცემის ავტორია. რამდენიმე წინს წინ ლოლაძემ გამოსცა წიგნები ცნობილი ქართველი ფეხბურთელების, ვიტალი დარასელიასა და ილია დათუნაშვილის შესახებ. გუმინ კი დემიკო ლოლაძის „კოლექციას“ კიდევ ერთი, საკმაოდ საინტერესო გამოცემა შეემატა. „ფეხბურთი ნახატებსა და შარავებში“ ასეთია წიგნის სახელწოდება. პრეზენტაცია სასტუმრო „ივერიას“ ნაციონალურ დარბაზში შედგა და მას ქართული ფეხბურთის ვეტერანები,

ცნობილი ქართველი მსახიობები და უბრალო გულშემატკივარი დაესწრო. ქართველმა მწერალმა ორი ჯილდოც მიიღო. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, როინ მეტრეველმა მწერალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცა. უნივერსიტეტს არც საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაცია ჩამორჩა და ლოლაძე სერგი მესხის სახელობის მედალიც დაჯილდოვდა. „ფეხბურთი ნახატებსა და შარავებში“, რომელიც ზვალიდან გაიყიდა დემიკო ლოლაძის რვათ 22-ე წიგნია.

რამები

თასმა „უსაქმურები“ შეყარა

პაატა თოთაძე

ოთხთვიანი უქმად ყოფნის შემდეგ ქართულ კლუბებს საქმე გამოუჩნდათ - დღეიდან საქართველოს თასის გათამაშება იწყება. წინა წლებთან შედარებით შეჯიბრება სახეცვლილი ფორმატით ჩატარდება. მონაწილე 12 გუნდი ოთხ სამგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება. ჯგუფიდან გასული ორ-ორი გუნდი კი მერვედფინალურ წევლობას შეადგენს. აქედან მოყოლებული, შეჯიბრება პლეი-ოფის სისტემით ჩატარდება. თასის გათამაშება თითქმის ზაფხულის ბოლომდე გასტანს. შემდეგ გუნდები ცოტას დაისვენებენ, შემოდგომიდან კი საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება.

თასის გათამაშების კენჭისყრა კარგა ხნის წინათ მოეწყო და გუნდები ჯგუფებში ასე გადანაწილდნენ:

- A ჯგუფი**
დათევი, აია, ზულიგანა
- B ჯგუფი**
დათევი 2, უნივერსიტეტი, დინამო
- C ჯგუფი**
ლოკომოტივი, იმედი L-აკადემია
- D ჯგუფი**
ყოჩები, ლელო, არმაზი

TV-სპორტი

შაბათი. 3 მაისი

HTB + ФУТБОЛ

- 13:00 თავისუფალი დარტყმა
- 13:15 "პოსტსკრიპტები"
- 13:45 სერია A. 31-ე ტურის წინ.
- 14:00 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "მილანი" - "აიაქსი"
- 15:40 ფეხბურთი. საქართველო - რუსეთი. მიმოხილვა
- 15:55 "ფეხბურთი ანიდან პაემდე".
- 16:25 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ჩარლტონი". პირდაპირი ტრანსლაცია.
- 18:25 გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია.
- 20:25 თავისუფალი დარტყმა.
- 20:45 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ვალენსია" - "ინტერი".
- 22:30 გერმანიის ჩემპიონატი.
- 0:25 ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (1:15) - თავისუფალი დარტყმა.

HTB + СПОРТ

- 5:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პლეი-ოფი. პირდაპირი ტრანსლაცია. ტრანსლაციის დასრულების შემდეგ 11:00 საათამდე პროგრამაში შესვენება.
- 11:00, 14:15, 22:00 "პრეს-ცენტრი".
- 11:15, 22:15 ოლიმპის შეილები".
- 11:20, 14:30 აერობიკა.
- 11:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პლეი-ოფი.
- 14:55 ტანვარჯიში. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. მეოთხედფინალები პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (17:35) - "პრეს-ცენტრი".
- 20:00 თავისუფალი სტილით ჭიდაობა. ლატვიის ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია.
- 22:30 ბოდობილინგი. ევროპის ჩემპიონატი სანკტ-პეტერბურგი.
- 0:00 ჰოკეი. სტენლის თასი. პირდაპირი ტრანსლაცია. მეორე შესვენებისას (1:30) - ახალი ამბები.
- 2:30 ცხენოსნობა. "Kentucky Derby". პირდაპირი ტრანსლაცია.

EUROSPORT

- 11:30 ფეხბურთი. ლიბერთადორგის თასი. 1/8 ფინალი.
- 13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004.
- 14:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. პირდაპირი ტრანსლაცია.
- 16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004.
- 16:30 ჩოგბურთი WTA. ვარშავა. პირდაპირი ტრანსლაცია. ნახევარფინალი.
- 18:00 ველოსპორტი. მეოთხე ეტაპი. პირდაპირი ტრანსლაცია.
- 20:15 ჩოგბურთი ATP. მიუნხენი. ნახევარფინალი.
- 21:15 კიკბოქსინგი.
- 22:15 კიკბოქსინგი.
- 23:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. პირდაპირი ტრანსლაცია.
- 1:30 სპორტის ექსტრემალური სახეობები.
- 2:45 სუპერკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სოლტ ლეიკ სიტი.
- 3:45 კრივი.

FOX KIDS

„ხილიანი“ ვაკის ჩემპიონია!



გუმინ ვაკის ჩემპიონი გაირკვა.

დათ, თავიანთი შვილების საფეხბურთო ოსტატობით კმაყოფილი იყვნენ. "ქართველები, მართლაც, ნიჭიერი ხალხი ვართ", - დაასკვნა ერთ-ერთმა.

ტრანსპარანტებით შეიარაღებული პატარა გულშემატკივრები კი აქტიურად ქომაგობდნენ საყვარელ გუნდს. "გოლ! გოლ! მიდი, დაარტყი", - ისმოდა აქეთ-იქიდან და, ისევე გახელებული პატარები, გაათრთველი ენერგიით უტყვიანდნენ მეტოქის კარს. 5:2 - ასეთია ამ მატჩის საბოლოო შედეგი. ხილიანელებმა თბი-

ლისის ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვეს. იყო დიდი სიხარული, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი იმედგაცრუებაც სუფევდა.

"ფოქს კიდისი" დიდი სიმკაცრით იცავს თავის მიერ დადგენილ წესებს და მისი დარღვევის უფლებას არავის აძლევს. იგივე პრინციპს იზიარებენ ამ ტურნირის ორგანიზატორებიც საქართველოში. შეჯიბრებაში აუცილებლად მოყვარული ფეხბურთელები უნდა მონაწილეობდნენ. მკაცრად უნდა იყოს დაცული ასაკობრივი ცე-

ნზი. შეჯიბრების დროს აკრძალულია სხვა გუნდში ნათამაშები ფეხბურთელების გადაბირება. ეს წესები ყველამ უნდა დაიცვას. სამწუხაროდ, გუნდმა "ვერამ" დაარღვია ამ წესდების რამდენიმე პუნქტი და ტურნირის ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, "ვერა" შეჯიბრებიდან მოეხსნათ.

დღეს ასპარეზობაში საბურთალოს რაიონი ჩაებმება. რეგიონებში კი "ფოქს კიდისის" თამაშებს მარტვილი, სამტრედიო და ბოლნისი უმასპინძლებენ.

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში: სვალ ფინალია

ხვალ, 4 მაისს, თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს ფუტზალის ჩემპიონატის დასკვნითი აკორდი - ფინალი გაიმართება. 16 საათზე ერთმანეთს პირისპირ წაერდებიან ჩვენი ქვეყნის ორი საუკეთესო გუნდი: "იბერია 2000" და თსუ. ორი საათით ადრე კი "ქუთაისისა" და ბათუმის "მარდის" მატჩში ბრინჯაოს პრიზიორი გამოვლინდება.

მინილ აბიჯილი

მომავალ გამამყვეტ შეხვედრებთან დაკავშირებით, გუმინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში ფუტზალის ასოციაციამ გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც ორგანიზატორების - ასოციაციის პრეზიდენტის, გრიგოლ ცაავასა და გენერალური მდინის, დავით გრძელმოვილის გარდა, ფინალში გასული გუნდების მთავარი მწვრთნელები და ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.

"წლეულს საქართველოს ჩემპიონატი 12-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. სასიამოვნოა, რომ სპორტის ამ სახეობამ, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ თბილისში იყო პოპულარული, დღეს ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში მოიცავს. მხოლოდ კახეთმა ვერ შეძლო გუნდის გამოყვანა. ამჟამად ფუტზალის ასოციაცია კონსულტაციებს მართავს ამ რეგიონის წარმომადგენლებთან, რომ მომავალი წლიდან ჩემპიონატში მათაც გამოიყვანონ გუნდი. ჩემპიონატი ფორსირებული ტემპით - სამ თვეში ჩატარდა, რაც ამ ტურნირის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს. რატომ უნდა, კარგი იქნებოდა, რომ ტურნირი უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო, მაგრამ ასოციაციის ხელთ არსებული მწირი ფინანსები ამის საშუალებას არ იძლეოდა. თუ გამოჩნდებოდა მეცენატები და მთელ მსოფლიოში სპორტის ამ პოპულარულ სახეობაში კამპიტალის დაბანდება მსურველები, ფუტზალი საქართვე-

ლოში უფრო სწრაფად განვითარდებდა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდებოდა", - განაცხადა დავით გრძელმოვილი.

ჩემპიონატში მონაწილე გუნდები საწყის ეტაპზე ორ 6-6 გუნდიან ქვეჯგუფში გადააწაინაწილეს. პირველი, ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ თითოეულ ქვეჯგუფში გამოვლინდა ის 4-4 გუნდი, რომლებმაც მეოთხედფინალური პლეი-ოფიდან განაგრძეს ჩემპიონობისთვის ბრძოლა. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გამართა საქართველოს თასის ფინალიც, რომელში თამაშის უფლება ხვლინდებოდა ფინანსიტეებმა, "იბერია 2000"-მა და თსუ-მ მოიპოვეს. მატჩი, რომელიც 4 აპრილს გაიმართა, "იბერია 2000"-ის გამარჯვებით დასრულდა (2:1).

"ბოლო დროს პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველომ პოზიციები დათმო და უკრაინასა და რუსეთს ჩამორჩა. თუმცა, ის ფაქტი, რომ ქართველი მინიფეხბურთელები რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ძლიერ კლუბებში თამაშობენ, ადასტურებს, რომ ჩვენთან ფუტზალს სერიოზული პერსპექტივები აქვს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ უკრაინამ და რუსეთმა, სერიოზული ინვესტიციების დაბანდება შემდეგ, გავკანსრეს. საქართველოს ფუტზალის ასოციაციის საქმიანობის მთავარ მიმართულებად ეს მიმართა: გამოხაზოს სპორტის ამ სახეობაში ფინანსების ინვესტირებით დაინტერესებული პირები და კომპანიები. თუ რა დონეზეა სა-

ქართველოში ფუტზალი, ერთი ფაქტი მეტყველებს: მარშან თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონთა თასის შესარჩევ ოთხთა ტურნირში საქართველოს ჩემპიონმა, "იბერია 2000"-მა, ევროპული ფუტზალის აღიარებულ ლიდერებთან დაპირისპირებაში შესანიშნავი შედეგი აჩვენა. საკმარისია ითქვას, რომ თბილისის ქვეჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასულ რუსეთის ჩემპიონთან, ნოროლსკის "ნიკეიტთან" "იბერამ" ფრედ, 5:5 დაასრულა შეხვედრა. წლეულსაც, ფინალში გამარჯვებული გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირში მონაწილეობის უფლებას მიიღებს", - აღნიშნა გრიგოლ ცაავამ.

ფინალურ მატჩს ევროპის ფუტზალის ასოციაციის მიერ ლიციეზიური ბურთის მსაჯები, სერგო შილაკაძე და ალექსანდრ მემკოვი განსჯიან. ორივე გუნდს მწვრთნელი გამარჯვებაზე ფიქრობს, თუმცა, მეტოქის მიმართ პატივისცემით არის განწყობილი.

გელა ინალიშვილი ("იბერია 2000"-ის მთავარი მწვრთნელი): "ჩვენ ამ მატჩში ჩემპიონის ტიტული უნდა დავიცვათ. ეს იოლი არ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ "იბერია 2000" ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდია, მაინც ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად ჩვენ გავიმარჯვებთ. თსუ ძალზე კარგი, ახალგაზრდული კოლექტივია, რომელიც, იმედი მაქვს, ძალიან მალე ნაკრებშიც სერიოზულ კადრებს მოგვანდის. ასე რომ, ჩემი აზრით, ფინალში ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს."

კახა კვეციმიძე (თსუ-ს მთავარი მწვრთნელი): "თავს ვერ მოვიტყუებ - ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს. სულ რამდენიმე წლის წინ პირადად მე ამ გუნდის ერთგული გულშემატკივარი ვიყავი და კარგად ვიცი, რა



ახალი სიტყვა ქართულ მედიცინაში

მედიცინის განვითარების ბუნებრივი შედეგი - ტელემედიცინა (e-მედიცინა), რომელიც აქტიურად იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და კომუნიკაციის საშუალებებს, საქართველოშიც იწერება. პრაქტიკულ გამოცდილებას მედიცინაში ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს კი, დაავადებათა მუტაციების, მრავალრიცხოვანი სამედიცინო კვლევების, უახლესი მეთოდებისა და პრეპარატების დაწერების პირობებში, არსებული გამოცდილების გაზარების გარეშე, ექიმების საქმიანობა სრულფასოვანი ვერ იქნება.

მაია ჭანიანი

e-მედიცინის პირველი ცენტრი თბილისში ახლახანს გაიხსნა. მის დამფუძნებელს, საზოგადოება "კვალის" პრეზიდენტს, პროფესორ შოთა ვაშაკიძეს ეს იდეა რამდენიმე წლის წინათ გაუჩნდა. "მაშინვე, როგორც კი ტელემედიცინისა და მისი გამოყენების შესახებ პირველი ინფორმაციები გაჩნდა, - ამბობს ბატონი შოთა, - ისე მოხდა, რომ ამ დროს მთხოვეს დაგზარებოდი ჩვენს თბილისელ და ხაშურელ ახლობლებს. საქართველოში მათ საჭირო მკურნალობას ვერ უტარებდნენ და მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მე დაეკავშირდი ამერიკაში მცხოვრებ ექიმს, თემურ ვასილიძეს. მისი და მისი კოლეგების დახმარებით, ადვილად მოხერხდა სწორი დიაგნოზის დასმა, სწორი მკურნალობის ჩატარება, რამაც სწრაფად კარგი შედეგი გამოიღო. ამ შემთხვევებმა საბოლოოდ ამაძრწუნა, რომ საჭირო იყო უცხოეთთან საქართველოს სამედიცინო თანამშრომლობის ცენტრის გახსნა."

"კვალმა" ამერიკაში დაპატიჟა ქართველი ექიმი გიორგი კუჭუხიძე, რომელიც გაცნო დიაგნოსტიკაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების იქაურ პრაქტიკას და კონტაქტები დაამყარა ქართველ მედიკოსებთან. დაზუსტდა თანამშრომლობის ფორმები, მოტივებულ იქნა სამედიცინო მონაცემთა ბაზები და ცენტრის სამუშაო მოდელიც შემუშავდა. ეს არის ამერიკის კერძო პრაქტიკაში არსებული მოდელი, რომლის მთავარი მიზანი დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკა და თანამედროვე მედიკამენტური მკურნალობის დანიშნვაა. e-მედიცინის ქართულ ცენტრში იმუშავებს ერთი ან ორი ექიმი, რამდენიმე ექთანს და მიმღებებს. პაციენტის დიაგნოსტიკა მოხდება გასინჯვის, მონაცემთა ლოკალური ინფორმაციული ბაზისა თუ ამერიკის ცენტრალური და საუნივერსიტეტო სამედიცინო მონაცემთა ბაზების საშუალებით, რომელთა გამოყენება ცენტრის ინტერნეტის საშუალებით შეეძლება.



ქვალის e-მედიცინის ცენტრი თბილისში

მკურნალობა ასევე კომპიუტერული ფარმაცოლოგიური მონაცემების გამოყენებით დაინიშნება. მედიკამენტების შერჩევასა და მათი ვარჯისა-ნიობის შემოწმებაში ექიმი უშუალოდ მონაწილეობას მიიღებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუკი პაციენტი დასჭირდა სერიოზული ქირურგიული ჩარევა, რომელიც საქართველოში არ კეთდება, „კვალმა“ შეეცდება, მოიძიოს დახმარება - მიმართავს აშშ-სა და ევროპის სამედიცინო ცენტრებს. თუ პაციენტი სპეციალური ლაბორატორიული და რადიოლოგიური გამოკვლევა დასჭირდა, ცენტრის ექიმი მას მიმართავს გააგზავნის წინასწარ შერჩეულ სტაციონარში. თუ ექიმი გამოკვლევების შედეგების მიღების შემდეგაც ვერ მოახერხებს ზუსტი დიაგნოზის დასმას, პაციენტის მონაცემები გადაიგზავნება უცხოეთში, შესაბამის სპეციალისტთან და დაინიშნება კონსილიუმი. ცენტრს პირდაპირი კავშირი აქვს უცხოეთში მომუშავე ექიმებთან, რომლებიც საქართველოს ექიმებს კონსულტაციურ დახმარებას გაუწევენ.

ცენტრი რომ უსაფუძვლო ვიზიტებით არ გადაიტვიტოს, პაციენტი ყოველ ვიზიტში გარკვეულ ნომინალურ თანხას გადაიხდის. რაც შეეხება ამერიკელი სპეციალისტების კონსულტაციურ დახმარებას, ეს ქველმოქმედება და იგი უფასო იქნება.

შესადლებლობის მიხედვით, სხვა მომსახურების ხარჯების გარკვეულ ნაწილს ამერიკის მხარე გაიღებს. ამაზე საუბარს "კვალში" ჯერ მაინც ნაადრევად თვლიან, იმას კი აცხადებენ, რომ საქართველოსთან უანგარო თანამშრომლობის სურვილი რამდენიმე არაქართველმა ექიმმაც გამოთქვა. "რამდენიმე დღის წინათ შეხვედრა მქონდა ბატონ კონსტანტინე სიდამონ-ერისთავთან, რომელმაც დახმარება აღუთქვა ცენტრს თანამშრომლობის გაფართოებაში. ასე რომ, დასავლეთთან თანამშრომლობის პერსპექტივები საკმაოდ იმედისმომცემია," - ასეთია შოთა ვაშაკიძის შეფასება.

უკვე რამდენიმე წელია ამერიკის ასოზი ექიმს თავისი პრაქტიკული გამოცდილება, დაავადებები და სიმპტომები ცენტრალურ მონაცემთა ბანკში შეყავს. შემდეგ მათ ინფორმაციის სპეციალისტები ამუშავებენ და ქმნიან პროგრამებს, რომლებიც პრაქტიკოს მედიკოსებს სიმპტომების მიხედვით დიაგნოზის დასმას ეხმარება. ერთ ექიმს ეძლევა საშუალება გამოიყენოს ასოზით მისი კოლეგის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და ეს მნიშვნელოვნად ზრდის დიაგნოსტიკის სიზუსტეს. იგივე პროგრამა იძლევა დიაგნოზის მიხედვით საჭირო მკურნა-

ლობისა და მედიკამენტების სრულ ჩამონათვალს, რომელიც ფარმაცოლოგიური კომპანიებისგან მოდის. ამ გვარად, ექიმს ყოველთვის აქვს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ყველაზე ახალი და სრული ინფორმაცია.

"იმის გამო, რომ საქართველოში ინტერნეტული ქსელები საკმაოდ დიდხვე არ არის განვითარებული, სამედიცინო მონაცემთა ბაზებით სარგებლობა კი გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება, "კვალმა" -ს სამედიცინო ცენტრი კონსულტაციურ დახმარებას გაუწევს სხვა ექიმებს, საშუალებას მისცემს მათ, ისარგებლონ სამედიცინო მონაცემთა ბაზებით და კონსილიუმები გამართონ უცხოელ ექიმებთან. "კვალის" ცენტრი ასევე დაეხმარება მათ უცხოეთში გადასვლას მათი ინფორმაციის ფორმატირებაში, ენობრივი და კომუნიკაციური პრობლემების დაძლევაში, - განმარტავს შოთა ვაშაკიძე, - ქართული მედიცინა გადახალსებას მოითხოვს, საერთაშორისო სტანდარტებზე რომ ავიდეს. ამის მიღწევის ყველა ნიშნაპირება არსებობს, მთავარია, უცხოეთში არსებული რესურსების გამოყენება მოხერხდეს. "კვალის" მიერ თბილისში სამედიცინო ცენტრის შექმნაც ამ რესურსების მოძიების, გაერთიანებისა და მოზიდვის საქმეს ემსახურება."

კროსვორდი

29 მარტიდან, შეიძინეთ გაერთიანებული მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთაველი-2-ის პირდაპირ ვიწროში გაიმართება ტოტალმატორ "საოჯახო ტოტოს" გათამაშება.

ფორმა "ფენიქსი" ვარჯები წარმოატანს.

დაწვრილხატიანი ტფორაკაპი და კოფეინიანობის სახილვი ჩიხილი შაბათი 24 საათში

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმწვება შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერხლის ბავთა მიწებება, სუნი ან გამოწვევა; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არემო; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესხნება.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, პრიონიტიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებას - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცლებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში. წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) ლოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



ჩვენთან თბილისში

რიყა ბუზინ, დღეს, ხვალ

დალი კაპრაძა

რა იყო

რიყის ტერიტორიის განაშენიანება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, ძირითადად, ერთი ან ორ-სართულიანი სახლებით, რამდენიმე სამსართულიანი ჩანართით. ჩამოყალიბდა მთავარი ქუჩა, რომელსაც ჰქონდა ვიწრო გასასვლელები მტკვრისკენ და ახლანდელი ბარათაშვილის აღმართისკენ, რომლებიც კლდოვან ფერდობებს ებჯინებოდნენ.

მთავარი ქუჩა გადიოდა მტკვრის ბუნებრივი ნაპირის პარალელურად 50-60 მეტრის დაშორებით. მდინარის ნაპირზე, მიჯრით წყლის ნისკივლები იყო განთავსებული.

სახლების პირველი სართული მთლიანად სახელოსნოებს და სავაჭროებს ეკავათ. რიყე ხელსაწიან უბანი იყო.

თითქმის ყოველ გაზაფხულზე უბანი იტბორებოდა. მტკვრის ბეტონის ჯებირებში მოქცევის შემდეგ, პრაქტიკულად, დატბორვამ იყო, მაგრამ 1971 წლის ძლიერმა წყალდიდობამ მოსახლეობა მნიშვნელოვნად დააზარალა, რამაც მაშინდელ ხელისუფლებას რიყისადმი დამოკიდებულება შეაცვლევინა და "რიყე" აიღეს.

ამის შემდეგ რიყემ ახალი ფუნქცია შეიძინა - გახდა "თბილისობის" ჩასატარებელი ადგილი, სადაც საქართველოს რაიონებს მიჩენილი ჰქონდათ დროებითი სადგომი: ვის ოდა, ვის ფაცხა თუ კოშკი. ზოგიერთი მათგანი ისე "მკვიდრად" ნაშენი გამოდგა, რომ მუდმივი ფუნქციაც შეიძინა და დღევანდელი რიყის განაშენიანების ელემენტად იქცა.

დღეს

"არქიტექტურის თვალსაზრისით, რიყე დღეს ქალაქში სოფლის ნოსტალიგიის ნიმუშია" - აფასებს არქიტექტორი ვახტანგ დავითაია. ბოლო ათწლეულის საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ ადგილისადმი ინტერესი გაიზარდა და გამოიქმნა ადრე მონიშნული ტერიტორიის პრივატიზაციის გზები. ახალმა მეპატრონეებმა ინყეს "ფაცხების" კაპიტალურ ნაგებობებად გადაკეთება და აღმოცენდა დაბალი არქიტექტურული ღირებულების შენობები - რესტორნები. დროსთან ერთად რიყე მიზან-

მიმართულად ყალიბდება სამგლოვიარო და საზეიმო გასტრონომიული რიტუალების ადგილად. პროფესიული - არქიტექტურული საზოგადოების მცდელობას, რომ ხელისუფლებას რიყეზე აეკრძალა ნაკვეთების გაყიდვა და მშენებლობა, შედეგი არ მოჰყოლია: იდეა და მიზანი ამ ადგილის მხატვრულ-ესთეტიკურ პოზიციაზე და ფუნქციაზე, მონოდებად დარჩა.

ჯერჯერობით, დრო საღი აზრის, საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგ, და მხოლოდ ადამიანების ერთი ჯგუფის სასარგებლოდ მუშაობს.

რიყის უბანი თბილისის ისტორიული ბირთვია, სახელმწიფო დაცვის ზონის ნაწილია და ბუნებრივია, რომ ეს ასახული უნდა იყოს დეტალური დაგეგმარების პროექტშიც. ჩატარდა რამდენიმე კონკურსი, მათ შორის ყველაზე მასშტაბური - 1997 წელს, რომელზეც რამდენიმე დამოკიდებულება გამოიკვეთა. პროექტების უდიდესი ნაწილი რიყის მოშენებას უდიდესი ხარისხით, ნაწილი კი რიყის ტყე-პარკად გადაქცევას უჭერდა მხარს. მართალია, კონკურსმა გამოავლინა გამარჯვებული, მაგრამ ამ პროექტების რეალიზება ვერ მოხდა და ვერ იქცა პროგრამად კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. ჩატარებულმა კონკურსებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს გადასაწყვეტი ამოცანის სირთულე და ძიების გაგრძელების აუცილებლობა. არქიტექტორთა კავშირმა ამის თაობაზე არაერთხელ მიმართა თბილისის მერიას და არქიტექტურის სამმართველოს.

რა სჭირდება რიყეს

ქალაქის მთავარი არქიტექტორის, ირაკლი როსტომაშვილის ოფისში ერთ-ერთი ყოველკვირეული შეხვედრის თემა რიყე იყო. "რა ვუყოთ რიყეს... ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, აღარ უნდა დავუშვათ ახალი უმსგავსოებები... თუნდაც საერთაშორისო კონკურსი ჩავატაროთ... ჯერ გავარკვიოთ გაყიდულია თუ არა..." - გაისმოდა არქიტექტორთა შეკრებაზე. ირაკლი როსტომაშვილმა დამსწრეთ მოახსენა, რომ "რიყის ნაწილი გაყიდულია, ნაწილი შეუთანხმებლად არის აშენებული. ეს ლოკალური პრობლემაა და მისი გაუაზრებელი ხელყოფა შეუძლებელია".



ნაწილის გადარჩენა "ვილაცებებს" დაბრალდა. ისხდნენ არქიტექტორები, რომელთა პროფესიული რეალიზება მიზნის საკუთრებაზეა დამოკიდებული და ფიქრობდნენ, თუ როგორ გადაარჩინონ რიყე.

"ყველაზე მომგებიანი გამოსავალია, რომ მესაკუთრეებმა რიყეზე ჩვენი შეთავაზებული ააშენონ - ის, რასაც ჩვენ დავგეგმავთ" - ალბათ, საერთო აზრი გამოთქვა ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა.

მაგრამ რას შესთავაზებენ არქიტექტორები რიყეს და მის აშკარა, თუ ფარულ მესაკუთრეებს ისეთს, რომ ქალაქმა და საზოგადოებამ მიიღოს?

რას გვთავაზობს ერთ-ერთი საპროექტო წინადადება

არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას პროექტი ეყრდნობა რიყის გარემოს

უნიკალობას. რიყე გარშემორტყმულია სამზერი იარუსებითა და მოედნებით, ზედხედებითა და რაკურსებით

(ბარათაშვილის აღმართი, მეტეხის პლატო, სოლოლაკის ხეივანი და ფერდობი, ნარიყალა, ფუნიკულიორი და სხვ). ავტორისთვის რიყე ასოცირდება ბუნებრივ არენასთან, თეატრალურ სცენასთან. ის, თითქოს, არქიტექტურული სანახაობის, სპექტაკლის, დღესასწაულის მოლოდინშია.

ვახტანგ დავითაია თვლის, რომ დაუშვებელია ამ სივრცის ორგანიზაცია კომერციული, ან რომელიმე სხვა პრაგმატული მიზნების პრიმატით და აქცენტების სწორად დასმის შემთხვევაში, ის უნდა იქნეს მშვენიერი და სარგებლანი; ასევე დაუშვებელია მონოფუნქციურობა და უწყებრივობა, სივრცისადმი კერძომესაკუთრული უფლებრივი კონტროლის დანესება, რადგან რიყე უნდა იყოს საქალაქო სივრცე - ადგილი ყველასთვის, რომელმაც უნდა უზრუნველყ-

ოს განსხვავებული ასაკის, ინტერესების და ინტელექტის ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ვახტანგ დავითაიას საპროექტო წინადადების იდეის ამოსავალია სივრცის, არქიტექტურული სიტუაციის, კომპოზიციის, ატმოსფეროს გარკვეული ციკლით ცვალებადობა-განახლება დროში. ავტორის ხედვა ეფუძნება არქიტექტურის, არა როგორც კონსტანტის, არამედ მუდმივად განახლებადი, ბიოლოგიური პროცესის ციკლს. ეს პრინციპი, თავის მხრივ, ითხოვს შესაბამის მხატვრულ-ესთეტიკურ პოზიციას. "მე ვუყურებ რიყეს, როგორც თეატრალურ სცენას, რომელზეც გარკვეული ციკლით დაიდგება არქიტექტურული სპექტაკლები," - ამბობს დავითაია.

არქიტექტორი ფორმის, ფერის და მასალის რადიკალური კონტრასტისკენ იხრება.

სასაუბრო ენა მრავალფეროვანია: არქიტექტურული კომპოზიცია,

მთავარი ღერძი, აქცენტი, არქიტექტურული თემა, ისტორიული კონტექსტი, ქუჩა, მოედანი, პერსპექტივა და სხვა ტრადიციული კრიტერიუმები იცვლებიან არატრადიციულით, სივრცული ატმოსფეროთი, განწყობილებით, სანახაობით, სპექტაკლით, ცვალებადობით, რიტუალით, სცენოგრაფიით. რეჟისურით, პირობითობით და სხვ.

ვახტანგ დავითაიას საპროექტო წინადადებას ბევრი რამ აქვს საერთო საგამოფენო, საფესტივალო სივრცეებთან. საპროექტო წინადადებაში ჩადებულია ორი დონის პრინციპი. პირველი დონე, ანუ მიზნის ქვედა სართული იქმნება ტერიტორიის არსებული ნიშნულის 1,5-2 მეტრის ჩაღრმავებით, რომელსაც სიმაღლეში 2,5 მეტრი ემატება, რითაც გარანტირებულია სათავსოთა ნორმალური სიმაღლეები და საერთო ფართი. აქ შეიძლება მოეწყოს მაღაზიები, კაფე-ბარები, მცირე თეატრალურ-სანახაობითი დაწესებულებები, სავაჭრო ფენო სალონები. სანაპიროს ქუჩის გასწვრივ მოწყობილია ავტოსადგომი 120 მანქანისთვის.

კონსტრუქციული სქემა კი კარკასულია და შესაძლებელია მათი გამოყენება ახალი კომპოზიციის დასამონტაჟებლად.

მიზნის ზედა არქიტექტურა ცვალებადია დროში. განახლების პერიოდულობას განსაზღვრავს დრო, მოთხოვნა, ფინანსები. ციკლის დასრულების შემდეგ ხდება კომპოზიციის ელემენტების დემონტაჟი და მისი გადატანა სხვა ადგილზე.

არქიტექტურული ფორმების შემოსაზღვრულად გამოყენებული იქნება სინთეტიკური ქსოვილი. არქიტექტურულ ფორმებს აქვთ ფუნქცია, რომელსაც განსაზღვრავს მოთხოვნა.

"არქიტექტურული საზოგადოებისათვის ჩემი საპროექტო წინადადების წარმოდგენა უფრო არქიტექტურული აქციაა, ქალაქის უნიკალური ადგილის გადასარჩენად. ჩემი სურვილია, რომ დაირღვეს საზოგადოების გულგრილობა, მიზანი კი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციაა," - თქვა ვახტანგ დავითაიამ.


როგორ შეიცვლება რიყე, ეს მთავრობის, არქიტექტორებისა და საზოგადოების პოზიციასა და აქტიურობაზეა დამოკიდებული. ეს თემა მსჯელობას მოითხოვს.

აპოჯი



რიყე

სურათი: თეატრალური სივრცე



D3

REUTERS

ასე გამოიყურებოდა ნავთობის ჭაბურღილები კირკუკში სადამის მმართველობის დროს

ერაყი - ნავთობის ელდორადო D2	კორპორაციული კოლაფსების ბაკვეთილები D6	უდიდესი გაცდომა იქნება D9	ბერმანიის გამოცდილება D11	სილაგაზის სალონები „ჩრდილში“ მყოფი მოგზაური ბიზნესი D15
„უხილავი ხელი“, ქართულად D4	თემურ სავირის თავგადასავალი D7	ყველაზე დიდი ხიფათები - დარიბთა უმუშევრობა და მდიდართა კორუფცია D10	კომიქსი - მასობრივი კულტურა თუ ხელოვნება ელიტისათვის? D13	„კონკორდის“ ერის დასასრული D16
ვისზეა მოგზაური „მრეწველების“ კოდექსი D5	ევროს შემოღება ბრიტანეთისათვის			

ერაყი - ნავთობის ელდორადო

სანავთობო ბაზარზე მომხდარი ცვლილებები საქართველოზეც აისახება

სადაც ჰუსეინი წინააღმდეგ კამპანიის დაწყებისთანავე ამერიკის პოლიტიკის მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, რომ ნავთობის ბიზნესთან მჭიდროდ დაკავშირებულ ბუმის ადმინისტრაციას ერაყის მსუყე ნავთობსაბადოების ხელში ჩაგდება სურდა. ერაყის ომში, სხვა მიზეზებთან ერთად, ნავთობის მნიშვნელობას თავად ამერიკელი ექსპერტები და პოლიტიკოსებიც არ უარყოფენ, მაგრამ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც თეთრი სახლის პოლიტიკას თავგადაკლული ეწინააღმდეგებოდნენ, ერაყის ნავთობის სექტორში თავად უზარმაზარი ინტერესები ჰქონდათ. ომში გამარჯვების შემდეგ, ექსპერტები ნავთობის ბაზარზე მოსალოდნელ ცვლილებებზე და მოგებულ-წაგებულებებზე საუბრობენ. ყველაზე მეტად დაზარალებულთა შორის ოპეკ-ი (ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაცია) და რუსეთი სახელდება. თუმცა, სანავთობო ბაზარზე მომხდარი ცვლილებები გარკვეული თვალსაზრისით საქართველოზეც უარყოფითად აისახება.

რეჟაზ ბახტაძე

ერაყის მიმართ საერთაშორისო ნავთობკომპანიების სიმპათიები ადვილი ასახსნელია. ნავთობის დადასტურებული რეზერვებით ერაყი საუდის არაბეთის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს (112 მილიარდი ბარელი, - აშშ-ის ენერჯეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის ინფორმაციით). დასავლური კომპანიების ექსპერტების აზრით, ერაყის რეზერვები, შესაძლოა, გაცილებით დიდი იყოს, მაგრამ გაერო-ს 12 წლიანი სანქციებისა და აქტიური გეოლოგიური სადაზვერვო საქმიანობის შეწყვეტის გამო, ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდებია.

ერაყის ნავთობრესურსების დამუშავება ძალზე იოლი და იაფია. მოპოვების თვითღირებულება 0,99-1,49 ამერიკულ დოლარს შორის მერყეობს, რაც ხუთ-ათჯერ ჯერ უფრო იაფია, ვიდრე - ჩრდილოეთის ზღვაში მოპოვებული ნავთობისა. თუმცა, ერაყში აღმოჩენილი 73 საბადოდან მხოლოდ 15-დან მიმდინარეობს ნავთობის მოპოვება, განსხვავებით, სხვა ნავთობ-მომპოვებელი სახელმწიფოებისა და რეგიონებისაგან. შედარებისათვის, ჯორჯ ბუმის მშობლიურ ტეხასში რამდენიმე ასეულ საბადოზე, დაახლოებით, ერთი მილიონი ჭაბურღილი მუშაობს.

სანავთობო ინდუსტრიის სპეციალისტების შეფასებით, ერაყის ამჟამინდელი სანარმოო შესაძლებლობებით დღეში არაუმეტეს 2,5-2,8 მილიონი ბარელის მოპოვებაა რეალური. გაერო-ს "სურსათი საკვების სანაცვლოდ" პროგრამის ფარგლებში 2001 წელს ერაყი დღეში ორი მილიონი ბარელის ექსპორტს ახორციელებდა. 1990 წელს სპარსეთის ყურეში პირველი ომის დაწყების წინ ერაყი ყოველდღიურად 3,5 მილიონ ბარელს მოიპოვებდა.

2002 წლის დეკემბერში ორმა ამერიკულმა ანალიტიკურმა ცენტრმა - საგარეო ურთიერთობების საბჭომ და ბეიკერის ინსტიტუტმა - ერაყის სანავთობო სექტორის შესახებ მოხსენება გამოაქვეყნა. მოხსენების თანახმად, ერაყის სანავთობო სექტორის ინფრასტრუქტურა ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია. აღნიშნული ორგანიზაცი-

ების ანალიტიკოსთა აზრით, ერაყის ნავთობის წარმოების გაზრდას "მასიური სარეკონსტრუქციო სამუშაოები სჭირდება... რაც რამდენიმე მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდება და რამდენიმე თვე, თუ წლები არა, გაგრძელდება". მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ნავთობის საექსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენას, დაახლოებით, ხუთი მილიარდი დოლარი დასჭირდება, ხოლო 1990 წლის მაჩვენებლებთან გათანაბრებას დამატებით ხუთი მილიარდი დოლარის ინვესტიცია პლუს სამი მილიარდი დოლარი ყოველწლიურად, გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ლონდონში არსებული საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მოხსენების (Changing Oil, Briefing Paper, New Series #10) თანახმად, სათანადო ინვესტირების შემთხვევაში 2010 წლისათვის ერაყი ყოველდღიურად ექვსი მილიონი ბარელის ექსპორტირებას შეძლებს.

ნავთობმაძიებლები

ერაყის ომამდე არსებული ვითარება ზოგიერთმა ქვეყანამ

საკმაოდ მოხერხებულად გამოიყენა. ღია ტენდერების გარეშე, რამდენიმე სახელმწიფოს სანავთობო კომპანიებმა მსოფლიო მნიშვნელობის საბადოებზე კონცესიები მიიღეს. ერაყში ნამყვანი როლი რუსულ და ფრანგულ კომპანიებს მიენიჭა. მათ მალე ჩინეთის ეროვნული სანავთობო კორპორაციაც შეუერთდა. აღსანიშნავია, რომ ერაყში თავისი წილი ბრიტანულ-პოლანდიურ კომპანია Shell-საც ჰქონდა, რომელსაც ერაყსა და აშშ-დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვის შემდეგ, სადაც ჰუსეინმა ნავთობსაბადოების დამუშავების უფლება ჩამოართვა.

აღნიშნული კომპანიები სულმოუთქმელად ელოდნენ ერაყის დასავლეთით არსებული მსუყე საბადოების დამუშავებას. ერთადერთი, რაც მათ აფერხებდათ, ერაყზე დაწესებული გაერო-ს სანქციები იყო. გაერო-ს სანქციების თანახმად, ერაყს მხოლოდ ორი მილიარდი დოლარის თვითღირებულების ნავთობის გაყიდვა შეეძლო, რომლის საფასურად საკვებსა და მედიკამენტებს აწვდიდნენ. ერაყში ექსპორტიორთა სიას კი სათავეში სწორედ საფრანგეთი და რუსეთი ედგნენ.

ჯორჯ ბუმის მიერ 2002 წელს გაკეთებულმა განცხადებამ, რომ ერაყი ირანთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორისაა და მასობრივი განადგურების იარაღსაც ფლობს, რუსეთისა და საფრანგეთის განსაკუთრებული შემოთება გამოიწვია.

რუსეთს ერაყში განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდა. გარდა იმისა, რომ სადაც ჰუსეინის რეჟიმი რუსული იარაღის

მსხვილი მომხმარებელი იყო, მოსკოვს ერაყის უდიდესი საბადოების დამუშავების კონცესიები ჰქონდა, მათ შორის, დასავლეთი ყურნის, რომლის დადასტურებული რეზერვები 11-15 მილიარდ ბარელ ნავთობს შეიცავს. ამერიკის ენერჯეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის ცნობით, დასავლეთ ყურნას სანარმოო პოტენციალმა შეიძლება დღეში 800 ათასიდან ერთი მილიონ ბარელამდე მიაღწიოს. დასავლეთ ყურნასთან შედარებით სასაცილოდ გამოიყურება ის რამდენიმე საბადო, რომელთა დამუშავების უფლება "ლუკოილთან" ერთად სხვა რუსულმა სანავთობო კომპანიებმაც მიიღეს.

რუსეთ-ერაყის ურთიერთობებში აღსანიშნავია ერთი ეპიზოდი. 2002 წლის დეკემბერში ერაყის ნავთობის სამინისტრომ განაცხადა, რომ "ლუკოილისათვის" დასავლეთ ყურნას დამუშავებლად გაფორმებულ კონტრაქტს აუქმებდა, რადგან რუსულმა კომპანიამ "კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებები ვერ შეასრულა". ერაყელების მტკიცებით, "ლუკოილმა" სამი წლის განმავლობაში 200 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტირება არ მოახდინა. თუმცა, 2003 წლის თებერვალში მხარეებს შორის წარმოებული ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, ერაყელებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და განაცხადეს, რომ "ლუკოილს" უფლებები ხელახლა აღუდგნეს.

ერაყელთა გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. ამ დროს ჯორჯ ბუმი უკვე ომის დასაწყებად ემზადებოდა. ჰუსეინისათვის კი უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა გაერო-ს უშიშროების საბჭოში რუსეთის ვეტოს, რომელიც

ერაყის წინააღმდეგ ნებისმიერ რეზოლუციას დაბლოკავდა. ასე რომ, "ლუკოილისათვის" უფლებების ჩამორთმევა და დაბრუნება, სავარაუდოდ, სადაც ჰუსეინის ხრიკი იყო, რათა გაეროს უშიშროების საბჭოში ერთგული მოკავშირე ჰყოლოდა. ჰუსეინისა და სამწუხაროდ, გაერო-ში განხეთქილების შეტანამ იგი ვერ იხსნა.

რუსეთის მსგავს ვითარებაში იმყოფებოდა საფრანგეთიც. სადაც ჰუსეინმა პარიზის მიმართ უფრო მეტი გულუხვობა გამოიჩინა და ფრანგულ სანავთობო კომპანია TotalFinaElf-ს ერაყის უდიდესი საბადო - მაჯნუნი გადასცა დასამუშავებლად, რომლის მარაგი, დაახლოებით, 30 მილიარდ ბარელადაა შეფასებული. "დოიჩე ბანკის" გათვლებით, ორი წლის განმავლობაში მაჯნუნში დაბანდებული ოთხ მილიარდიანი ინვესტიციის შემთხვევაში ნავთობის მოპოვება დღეში ერთ მილიონ ბარელს გადააჭარბებს.

2001 წელს პარიზის მიერ ახალი ამერიკული სანქციების მხარდაჭერის გამო გაცოფებულმა ერაყის მთავრობამ განაცხადა, რომ საფრანგეთთან კონტრაქტს გააუქმებდა. ერაყელებმა პარიზს მიანიშნეს, რომ ისინი უპირატესობას მოსკოვს ანიჭებდნენ, რომელიც უშიშროების საბჭოში სადამის უსაფრთხოების ინტერესებს მედგრად იცავდა. თუმცა, რუსეთის მსგავსად 2003 წლის თებერვალში TotalFinaElf-მა დადასტურა, რომ მაჯნუნის საბადოებზე ფრანგული კომპანიის უფლებებს აღარაფერი ემუქრებოდა. სამაგიეროდ, გაერო-ს უშიშროების საბჭოში საფრანგეთის პოზიცია გახდა შეურიგებელი და საფრანგეთის საგარეო საქ-

გაზარძილება D3 გვირდუა

საბადო	ოპერატორი-კომპანია	მარაგები (მილიონ ტონაში)
მაჯნუნი	Elf Aquitaine (საფრანგეთი)	2700
დასავლეთი ყურნა	"ლუკოილი", "ზარუბეჟენეფტი", "მაშინოიმპორტი" (რუსეთი)	1000
ნარ უმრი	Total SA (საფრანგეთი)	470
ადაბი	China National Petroleum Corp. (ჩინეთი)	560
სუბა	China National Petroleum Corp. (ჩინეთი), "მაშინექსპორტი" (რუსეთი), Lamaj (ნიდერლანდები)	300
რატავი	Royal Dutch/Shell (ნიდერლანდები/დიდი ბრიტანეთი)	190
ხალფია	China National Petroleum Corp. (ჩინეთი), Agip (იტალია), BHP (ავსტრალია), Oil & Natural Gas (ინდოეთი)	95
ნასირია	Agip (იტალია), Repsol (ესპანეთი)	67

აშშ-ში ნავთობის იმპორტის სტრუქტურა 2002 წლის იანვარში (დღიურ ათას ბარელებში)	
ექსპორტიორი ქვეყანა	
საუდის არაბეთი	1464
მექსიკა	1309
კანადა	1299
ვენესუელა	1247
ერაყი	988
ნიგერია	513
დიდი ბრიტანეთი	245
კოლუმბია	213
გაბონი	212
ქუვეითი	207
ნორვეგია	168
სხვები	781
სულ	8646
წყარო: US Energy Information Administration	

D2 გვირგვინი

მეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილენმა თავი ანტიამერიკული გამოსვლებით გამოიჩინა.

მართალია, ერაყში ომის დაწყებას არც ჩინეთი აღუფრთოვანებია, მაგრამ რუსეთთან და საფრანგეთთან შედარებით მას ისე არ უაქტიურია. ეს გასაგებობაა, რადგან ჩინური საქონლის გასაღების ძირითადი ბაზარი სწორედ შეერთებული შტატებია, ხოლო ჩინეთის ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შარშან 60 მილიარდი დოლარი შეადგინა. ლომის წილი კი სწორედ ამერიკელებზე მოდიოდა. ერთადერთი გერმანია იყო, რომლის ანტისამომარო პოზიცია მერკანტილური ინტერესებით ყველაზე ნაკლებად იყო განპირობებული.

ენერგეტიკული უსაფრთხოება, უპირველესყოვლისა!

ზოგიერთების აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ ერაყის წინააღმდეგ კამპანიის დაწყებას ვენესუელაში სახელისუფლო კრიზისი და მასობრივი გაფიცვები წინ უსწრებდა. ნავთობით მდიდარი ეს სამხრეთამერიკული სახელმწიფო ამერიკის ნავთობის მოთხოვნილების 10 პროცენტს აკმაყოფილებს. სწორედ ვენესუელიდან ნავთობის მონოდების შეწყვეტისა და სპარსეთის ყურეში არასტაბილური ვითარების გამო შეერთებულმა შტატებმა საუდის არაბეთს სთხოვა ნავთობის ექსპორტის გაზრდა, რათა ბაზარზე ნავთობის ნაკლებობას ფასების მკვეთრი აწევა არ გამოეწვია. საუდის არაბეთმა მოპოვება დღეში სამი მილიონი ბარელით გაზარდა. ნავთობის ბაზარი მკვეთრ რყევებს გადაურჩა, მაგრამ შეერთებული შტატები არამარტო ერთ - ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, არამედ ერთ ქვეყანაზე აღმოჩნდა ზედმეტად დამოკიდებული, რაც ამერიკის ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესებს აშკარად ეწინააღმდეგებოდა, რომელის ამოსავალ წერტილს ნავთობის მონოდების წყაროების მაქსიმალური დივერსიფიკაცია და მათი უსაფრთხოება წარმოადგენს.

მართალია, ბაზარზე რუსეთის სახით ახლო აღმოსავლეთის ალტერნატიული მსხვილი წყარო არსებობს, მაგრამ რუსეთს ნავთობის ექსპორტის არაბული ქვეყნების მსგავსი შესაძლებლობები არ გააჩნია და, რაც მთავარია, ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ნდობის ხარისხი იმდენად მაღალი მაინც არ არის, რომ შეერთებულმა შტატებმა საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოება რუსეთზე დაყრდნობით ააგოს.

ამერიკელები ნავთობის უდიდესი მომხმარებლები არიან - 19,7 მილიონი ბარელი დღეში, რაც მსოფლიოში ნავთობის წარმოების, დაახლოებით, ერთ მეოთხედს შეადგენს. ამერიკა ყოველდღიურად 11 მილიონი ბარელის იმპორტს ახორციელებს. დანარჩენ ცხრა მილიონ ბარელზე მოთხოვნას კი ადგილობრივი საბადოებიდან მოპო-



ამერიკელ ჯარისკაცებს ერაყის ნავთობის ჭაბურღილების დაცვა მოუწიათ

ვებული ნავთობით აკმაყოფილებს.

ამერიკის ხელისუფლებას კარგად ახსოვს 1970-იანი წლების დასაწყისში ოპეკ-ის მიერ გამოცხადებული სანავთობო ბოიკოტი, რომელმაც დასავლეთის ეკონომიკებს უზარმაზარი ზარალი მიაყენა. სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ხანდახან ნავთობის მონოდების შემცირებით ფასებს ზრდიან და იმპორტირებულ ნავთობზე დამოკიდებულ განვითარებულ ქვეყნებს "აშანატაჟებენ".

2001 წლის მაისში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის ხელმძღვანელობით ენერგეტიკული საკითხების შემსწავლელმა ჯგუფმა ენერგეტიკული პოლიტიკის 170-გვერდიანი მოხსენება გააკეთა, სადაც ძირითადი ყურადღება ნავთობის მონოდების წყაროების დივერსიფიცირებასა და ნავთობის ფასების კონტროლს დაეთმო. 2002 წლის ზაფხულში ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილმა შეფმა ჯეიმს ვულსიმ და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა რობერტ მაკფარლენმა სენატში გამოსვლისას ერთხმად განაცხადეს, რომ "ამერიკის დამოკიდებულება ნავთობის მონოდების ამჟამინდელ წყაროებზე... ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას ემუქრება".

ამერიკის ენერგეტიკის სამინისტროს გათვლებით, მომავალი ორი ათწლეულის განმავლობაში ნავთობი მსოფლიოში სანავთობის ძირითად სახეობად დარჩება. ნავთობზე მოთხოვნა კი პიკს სწორედ 2010-2020 წლებში

მიადნევს. სწორედ ამ პერიოდში ამერიკას ყოველდღიურად დაახლოებით 18 მილიონი ბარელის იმპორტირება დასჭირდება. ამდენად, გარანტირებული და იაფი ნავთობის მონოდებას ამერიკის ეკონომიკისა და საერთაშორისო არენაზე პირველობის განმტკიცებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც შეერთებულმა შტატებმა საკუთარი სანავთობო რეზერვები დააკონსერვა, ნავთობის მონოდების წყაროების დივერსიფიცირება და სანავთობო კარტელის მიერ ფასების თვითნებური თამაშის აღკვეთა ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გადაიქცა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მიმართ დასავლეთის განსაკუთრებული ყურადღების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ოპეკ-ისა და რუსეთისაგან დამოუკიდებელი მონოდების წყაროს შექმნა წარმოადგენს, რომელიც ოპეკ-ს "შანტაჟის" შესაძლებლობასა და სურვილს შეუმცირებს.

დანაშაული და სასჯელი

ახლა, როდესაც ერაყს ამერიკელები აკონტროლებენ, სასწორის პინაზე ოპეკ-ის სიცოცხლისუნარიანობა და მომავალი დევს. ერაყი, რომელიც დღემდე ოპეკ-ის წევრი სახელმწიფო იყო, შეიძლება ამერიკელთა სურვილით ამ ორგანიზაციიდან გამოვიდეს. უზარმაზარი რეზერვების მქონე სახელმწიფოს ორგანიზაციიდან გასვლა იმას ნიშნავს, რომ ოპეკ-ი მსოფლიო ბაზარზე მონოდების ოდენობასა და ფასებს ძველებურად ვეღარ

გააკონტროლებს და, შესაბამისად, ნავთობის ფასების აწევა-დაწევა დასავლურ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას ეს ძალზე ქმედითი იარაღი ხელიდან გამოეცლება.

ნავთობი ჩვეულებრივი საქონელი არ არის იმ თვალსაზრისით, რომ მისი ფასი მოთხოვნა-მიწოდების უნივერსალური კანონით არ რეგულირდება. ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომელიც სანავთობო ბაზრის უდიდეს წარწილს აკონტროლებს, ნავთობის მონოდებას წინასწარ დადგენილი კვოტების მეშვეობით განსაზღვრავს და ამით მსოფლიო ფასსაც არეგულირებს. ახლო აღმოსავლეთის წევრი სახელმწიფოები მსოფლიო ნავთობის დადასტურებული რეზერვების 60 პროცენტს, დაახლოებით, 800 მილიარდ ბარელს ფლობენ. 2002 წელს ოპეკ-ის სუფთა მოგება 180 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ძალზე რთულ ვითარებაში იმყოფება რუსეთიც, რომელიც ოპეკ-ის მიერ დადგენილი მაღალი ფასებით სარგებლობდა. რუსეთი ოპეკ-ის წევრი არ არის, ამდენად, იგი თავისი სურვილი-სამებრ ზრდიდა და ამცირებდა ნავთობის მონოდებას, რომელმაც უკანასკნელი წლების მანძილზე რუსეთს ათეულობით მილიარდი დოლარის შემოსავალი მოუტანა. ექსპერტების გათვლით, თუ ოპეკ-ის მიერ ნავთობის ფასების კონტროლის სისტემა უცვლელი დარჩება, მაშინ რუსული კომპანიების მთლიანი შემოსავლები ყოველწლიურად 2010 წლისათვის 100 მილიარდ ამერიკულ დოლარს გაუტოლდება იმ პირობით, რომ მოპოვების დაგეგმილი ზრდა და მილსა-

დენების მშენებლობა უზრუნველყოფილი იქნება.

პრაქტიკულად, ყველა ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ნავთობზე ფასების დაცემა გარდაუვალი იქნება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველი, თუ ოპეკ-ის წევრი სახელმწიფოები შეეცდებიან მაღალი ფასის შენარჩუნებას, მაშინ ამერიკელები ერაყს ოპეკ-იდან ერთმნიშვნელოვნად გამოიყვანენ და მისი სანარმოო სიმძლავრეების აღდგენას გამაღებული შეუდგებიან. საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტის გათვლებით, სათანადო ინვესტირების შემთხვევაში, დაახლოებით, 10 წელიწადში ერაყი მსოფლიო ბაზარზე ექვსი მილიონი ბარელის მონოდებას შეძლებს. საუდის არაბეთი დაახლოებით ამავე რაოდენობის ექსპორტს ახორციელებს, რომელიც მსოფლიოს უდიდესი ექსპორტიორი ქვეყანაა, რუსეთი კი მხოლოდ - ოთხ მილიონ ბარელს.

ამას გარდა, სპარსეთის ყურეში კონცენტრირებული ჯარებისა და ერაყში მიღწეული უსწრაფესი გამარჯვების შემდეგ, ვაშინგტონთან ძველი თამაშის გაგრძელებას ვერცერთი არაბული სახელმწიფო ვეღარ გაბედავს.

ასე რომ, ამერიკელთა რისხვის თავიდან ასაცილებლად ოპეკ-ი თავად დააგდებს ფასს, რაც მათი სახელმწიფოების მთლიანად ნავთობზე დამოკიდებული ეკონომიკების ინტერესებში ნამდვილად არ შედის.

ყველაზე ცუდად კი საქმე რუსეთს აქვს, რადგან რუსული ნავთობის თვითღირებულება

„უხილავი ხელი“ ქართულად

ვლადიმერ შავაძე

საქართველოს სტრატეგია და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი

ლონიერი მოქმედებს ხელით, ბრძენი – ჭკუით, ეშმაკი კი – კიდევ რალაცით. ვლადისლავ გუგორჩიკი

იმისათვის რომ ჩამორჩენა დაძლიო, მიმართულების შეცვლაა საჭირო. ევგენი ლაპინი

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ალოგიკური მოვლენებით იმდენადაა გადატვირთული, რომ რიგითი ამომრჩეველს, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, „აბანოში“ კი გაუჭირდება „თეთრისა და შავის“ გარჩევა. ისინი (იმისდა მიუხედავად ეძახდნენ, თუ დღესაც ეძახიან თავის თავს ოპოზიციას), ვინც, არც თუ დიდი ხნის წინ, ერთმანეთს „მკვდარსა თუ ცოცხალს არ უსვენებდა“, დღეს შეხმატკბილებულად თანაარსებობენ, ერთიანი ძალისხმევით ცდილობენ „ლელოს გატანას“ და საპარლამენტო კენჭისყრაშიც ერთად მონაწილეობენ. ამომრჩეველს კი უკვირს: ნუთუ პარლამენტში არჩევის სურვილი იმდენად დიდია, რომ „შუბლის ძაფის განყვეტა“ თუ სასირცხვიო ალარ არის, სატრაბახო რამ გახდა? ნუთუ პარლამენტში მხოლოდ ეს გზა მიდის?

მთავარია ამომრჩეველმა ამჯერად მაინც გაიგოს, რომ, სამწუხაროდ, პარლამენტი ტაძარი არ არის და მისკენ მიმავალი გზაც ისეთი ამაღლებული ვერ იქნება, როგორც „ტაძრისკენ მიმავალი გზა“.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე (თუ კი ის „ხალხისვე სასიკეთოდ“ არ გადადეს) ნახევარი წელი რჩება, წინასწარჩევნო კამპანია უკვე იმდენად დაიძაბა, რომ არჩევნების გარდა თუ ქვეყანას სხვა რაიმე პრობლემა აქვს, დიდად არც არავის ახსოვს, რასაც, სამწუხაროდ, შესაძლოა უნებლიედაც, ინფორმაციის მასობრივი საშუალებებზე უწყობს ხელს. „დასავლენიერებულ“ სფეროთა შორის, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ეკონომიკაც აღმოჩნდა.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რა ხდება დღეს საქართველოს ეკონომიკაში, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ XVIII საუკუნის დიდი ინგლისელი მოაზროვნე ადამ სმიტი, რომელმაც ეკონომიკურ მეცნიერებას არაერთი ფუძემდებელი დებულება დაუტოვა. თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიის ერთ-ერთ უნიკალურ მიგნებას ე.წ. „უხილავი ხელის“ თეორია წარმოადგენს, რომლის თანახმადაც მთავრობა ბაზრის საქმიანობაში უშუალოდ არ უნდა ერეოდეს, მისი უმთავრესი ფუნქცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უნდა იყოს, ხოლო ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკურ საქმიანობას თავად ბაზარი თავისი „უხილავი ხელით“ დაარეგულირებს.

„უხილავი ხელის“ ფენომენი ეკონომიკური თეორიის ნებისმიერ სახელმძღვანელოშია ახსნილი და მთელი მსოფლიოს ეკონომისტებს შორის რაიმე საკამათოც კი მის გავებაში არ არსებობს. საქართველოში „უხილავი ხელის“ საუკეთესო



სო მაგალითს საბანკო სისტემა წარმოადგენს, რომელშიც საერთო წესრიგის დაცვა ეროვნული ბანკის პრეროგატივაა, ხოლო კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობას „უხილავი ხელი“ არეგულირებს. საქართველოს სინამდვილეში, საბანკო სისტემაში არსებული სიტუაცია, სამწუხაროდ, უფრო გამონაკლისს, ვიდრე კანონზომიერებას, წარმოადგენს. ამ სფეროს მიღმა „უხილავი ხელის“ ფენომენი ერთობ განსხვავებულ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს, რაც, ფაქტობრივად, მისი „სტანდარტული“ მოდელისაგან სერიოზულ გადახრას წარმოგვიდგება.

2002 წელი საქართველოს მთავრობაში მისი ახალი კოორდინატორის – სახელმწიფო მინისტრის ამბიციური განცხადებებითა და არანაკლებ შთაბეჭდავი საკადრო ცვლილებებით დაიწყო. თავიდანვე შეიქმნა იმის შთაბეჭდილება, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სახელმწიფო მინისტრის რანგში პრაქტიკულად პირველად დაიწყო მთავრობის „ხილულმა ხელმა“ ჩამოყალიბება. „ხილული ხელისადმი“ ნოსტალგია, როცა მთავრობის მიერ ბოლო წლებში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა (რომ არაფერი ვთქვათ მთავრობის ზოგიერთი წევრის არაკომპეტენტურობაზე) ხალხში დიდად უარყოფით ემოციებს იწვევს, მისი მხრიდან ბუნებრივ რეაქციად უნდა ჩაითვალოს. გაჩნდა იმის იმედი, რომ სახელმწიფო მინისტრი, როგორც ძლიერი „ხილული ხელი“ შეძლებდა ქვეყანაში გამეფებული კორუფციისა და უმთავრესად მისით განპირობებული საბიუჯეტი კრიზისის დაძლევას, მთავრობის მოუქნელი და არაეფექტიანი სტრუქტურის სრულყოფას, მთავრობაში დილეთანტიზმის აღმოფხვრას და ა.შ.

მხოლოდ მარჩიელობათა შესაძლებელი იმის გამოცნობა, თუ სახელმწიფო მინისტრის ამბიციური გეგმების აღსრულებას რამ შეუშალა ხელი: მის გარშემო ძლიერი თანამოაზრეების სიმცირემ, პოლიტიკურ გათვლებში დაშვებულმა შეცდომებმა, თუ პირიქით ...

ასეა თუ ისე, კონსტიტუციით აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინატორის ფუნქციის შეს-

რულებისათვის დანიშნული სახელმწიფო მინისტრი სულ რალაც ერთ წელიწადში სახელისუფლებო წინასწარჩევნო პარტიული ბლოკის კოორდინატორად მოგვევლინა, ხოლო მანამდე, ანუ დანიშვნიდან ნახევარ წელიწადში „მძინარი, მაგრამ უკვე არამზეთუნახავი“ სახელისუფლებო პარტიის „გაცოცხლების“ მცდელობით იქნა უმთავრესად დაკავებული. სწორედ ასეთ ვითარებაში დაიწყო „უხილავი ხელის“ ქართულმა მოდელმა ჩამოყალიბება, როცა აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინატორის ფუნქციის შემსრულებელს ამისათვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩება, ხოლო მისი უშუალო კოლეგები, კი ხშირ შემთხვევაში, თავისი ასევე უშუალო მოვალეობის შესრულებას ამკარად გაუბრძანა.

ამ პროცესის პირველი თვალშისაცემი სიმპტომი მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან მყისიერი გათანაბრების „გაერთიანებული დემოკრატების“ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა-მიღება-გაუქმება-ვეტიორებისას“ გამოვლინდა. მთავრობამ თავიდანვე პოლიტიკურ-ეკონომიკურ დისკუსიაში ჩართვას „უხილავი ხელის“ პოზიციაში ყოფნა ამჯობინა: კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა თვითდინებაზე მიუშვა და თავადვე დიდად განცვიფრდა, როცა კანონპროექტს პარლამენტში სამი მოსმენით მისაღები ხმების საკმარისი რაოდენობა აღმოაჩნდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთადერთი მინისტრი მთავრობის ეკონომიკურ გუნდში, ვინც „უხილავი ხელის“ ფუნქციის შესრულება „ითაკილა“ და პარლამენტსა და ხალხს უჩვენა, რომ საქართველოს მთავრობას ის მაინც შემორჩა მინისტრად, – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი იყო, რომელმაც ამ ბუნებრივი საქციელისათვის, თავისი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისათვის, მისი „უხილავი“ კოლეგების ფონზე ყველაზე რადიკალურად განწყობილი ოპონენტების მხრიდანაც კი პატივისცემა უქვეყლად დაიმსახურა. მის კოლეგებს კი თავის მოსაწონად იმ მომენტში ისლა შემორჩათ თავის-

ვის გულში მაინც წაელიდნათ: „კაცი ვარ და ქუდი, და თანაც „უჩინმაჩინის“, მხურავსო“.

„უხილავი ხელის“ პოზიციაში ყოფნა მთავრობას ისე „მოენონა“, რომ გადაწყვიტა კენჭისყრის შედეგების გაუქმების მიზნით მისი მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქციების საშუალებით ხსენებული კანონის მიღების პროცესში დარღვევები „გამოეთხარა“, და იმ „ქათამივით“ იმდენი „თხარა“, კინაღამ ქართული სახელმწიფოებრიობის „დასაკლავი დანა გამოთხარა“: აღმოჩნდა, ჩვენს სკანონმდებლო ორგანოს არც მეტი, არც ნაკლები ხუთასი კანონი თუ დადგენილება მიუღია დარღვევით და ამ მიზეზით თუნდაც ერთი მათგანის გაუქმება, „ჯაჭვური რეაქციით“ სხვათა გაუქმებასაც და მტრისათვის გასახარო, ხელისუფლების ქმედებათა არა-ლეგიტიმურობის დამადასტურებელი სიტუაციის შექმნასაც გამოიწვევდა. მაინც რა იყო ამ შემთხვევაში მთავრობისათვის „უხილავი“ მდგომარეობაში ყოფნის გამოწვევი მთავარი მიზეზი – პარლამენტისათვის „გასაგებ ენაზე“ ახსნა-განმარტებათა მიცემის უუნარობა, თუ პარტიისათვის და არა მთავრობისათვის დამახასიათებელი წინასწარჩევნო სიფრთხილე, ოპოზიციისათვის მომგებიანი თემის კრიტიკას გაქცეოდა? ასეა თუ ისე, პასუხისმგებელი მინისტრების უმრავლესობამ თავისი „უხილაობა“, სადისკუსიო კანონზე პრეზიდენტის „ხილული ხელით“ დადებული ვეტოს უკან ამოფარებით უზრუნველყო. როგორც იტყვიან პრეზიდენტი ამ მინისტრებს მართლაც რომ „გამაადგათ“ ...

„უხილაობა“ მთავრობამ „სპეციალური ეკონომიკური ზონის“ პარლამენტის სესიაზე განხილვაში მონაწილეობისაგან, სავარაუდოდ, თავის არიდების მიზნით, მისი მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქციების ქმედებით „რიგში მდგომი“ და „რიგგარეშე“ სესიები ერთნაირი „წარმატებით“ ჩაშალა. „საპარლამენტო ტელესერიალის“ მაყურებლებს გული დანყდათ, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თავსატეხი სფერო არ იყო,

თორემ ეგებ მთავრობის სახელით აზრის გამოხატავი კაცი საპარლამენტო ტრიბუნაზე თავიდანვე დამდგარიყო და „საპარლამენტო შოუც“ გამართულიყო. შედარებით „გვიან“ (რომელიც, როგორც ხალხური სიბრძნე გვასწავლის, „არასოდეს“ ყოველთვის ჯობია), მთავრობა მიხვდა, რომ „ალორძინების“ ინიციატივებმა ის იმ „პატარძლის“ როლში ჩააყენა, რომელსაც ხსენებული კანონპროექტის განხილვა ვერ „ასცდებოდა“ და „საპარლამენტო სპექტაკლიც“ შედგა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მინისტრებს შორის „მის აღმატყუილებას“, ამჯერად, მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან თავის აცდენა არ უცდია და სულაც არ ყოფილა „უხილავი“. შედეგმაც არ დააყოვნა და მისი (კოლეგა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილესთან ერთად) მცდელობით ქვეყნისათვის საშიში კანონის მიღებას საქართველო ამ ეტაპზეც გადაურჩა.

„უხილავი ხელის“ ეფექტი მთავრობამ ახალ საგადასახადო კოდექსთან მიმართებაშიც გამოავლინა. ჯერ იყო და საგადასახადო პოლიტიკის კანონით განხილვის სახელწოდებით სამინისტრომ, როგორც ეს ქართული „უხილავი ხელის“ შემთხვევაში, ახალი საგადასახადო კოდექსის შემუშავება თავის დინებაზე მიუშვა, შემდეგ მას საჯაროდ დაუპირისპირდა, მომდევნო ეტაპზე – საპარლამენტო სხდომაზე მხარი დაუჭირა, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან შემფოთების გამოთქმის შემდეგ კვლავ ფრთხილი პოზიცია დაკავა. ეგებ ჯობდა ხსენებული სამინისტრო თავიდანვე არ დამდგარიყო „სირაქლემას არასახარბიელო პოზაში“ და თავად წარემართა ახალ საგადასახადო კანონმდებლობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით მუშაობა. ერთი კია, რომ ჯერ ახალი საგადასახადო კოდექსი პარლამენტის სესიაზე განხილულიც კი არ იყო, რომ მისმა „უხილაობამ“ სამთავრობო მწერალმა“ პრეზიდენტს ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში მსმენელებისათვის მისი პარლამენტის მიერ მიღებაც (!?) კი მი-ალოცვინა...

ვისზეა მორბეული "მრეწველის" კოდექსი

ოთხ კვირაში საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვებზე პროექტზე მოუწევს მსჯელობა. პროექტმა, რომელიც უფრო "მრეწველთა" კოდექსის სახელითაა ცნობილი, სერიოზული ექსპერტიზა უნდა გაიაროს ფინანსთა სამინისტროში. მირიან გოგიაშვილის უწყების მიერ გაცემული "ნებართვის" გარეშე, ნაკლებსავარაუდოა, პროექტის განხილვა მთავრობის სხდომაზე მოხდეს. თუ, რა თქმა უნდა, თავად მთავრობაში საკადრო თუ სხვა ისეთი გადაადგილება არ მოხდება, რომელსაც კოდექსის პროექტის განხილვა-არგანხილვაზე გავლენის მოხდენა შეეძლება. ჯერჯერობით, კოდექსს პარლამენტში შექმნილი შემთხვევითი ჯგუფი იხილავს.

მაია ურუშაძე
გიორგი კალანდიაძე

ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი ზურაბ ციციტიშვილი ახალი საგადასახადო კოდექსის ავ-კარგზე საუბრობს და აცხადებს, რომ "კანონპროექტის ავტორებმა, რატომღაც, არ ჩათვალეს მიზანშეწონილად გარკვეულ დებულებებში გამოეხატათ თავისი მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. ჩემთვის ეს ყველაზე თვალშისაცემია, მით უმეტეს, რომ ჩვენი მოთხოვნით ("გაერთიანებული დემოკრატები" მყავს მხედველობაში), ბიუჯეტის კანონში ჩაინერგა დებულება, რომელიც დირექტიულად ავალებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ ბიუჯეტის კანონის მიღებიდან ორი თვის ვადაში წარმოადგინოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი კანონპროექტი."

ციციტიშვილის თქმით, კანონპროექტში ოდნავი მინიშნებაც კი არ არის ამ საკითხთან დაკავშირებით და ეს კანონი საერთოდ იმასაც ვერ არეგულირებს, არსებობს თუ არა ასეთი ბიზნესი საქართველოში. "არადა, საკვირველი ის არის, რომ ჩვენ კანონიც კი გვაქვს მიღებული, რომელმაც, ფაქტურად, განმარტა, თუ რა არის მცირე ბიზნესი და რა არის საშუალო ბიზნესი," - დასძინა ციციტიშვილმა. პარლამენტარს უჭირს იმის ახსნა, თუ რით არის ეს განპირო-

ბებული: "ჩემთვის ამ საკითხზე ავტორთა ჯგუფთან დიალოგი, რა თქმა უნდა, საინტერესოა. მაგრამ, ვერ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა. შეიძლება, ეს განპირობებული იყოს იმით, რომ ეს დაკვეთა მოდის "მრეწველთა" ფრაქციიდან და ისინი თავისი პოზიციით უგულვებელყოფენ მცირე ბიზნესის მიმართ რაიმე სხვა სახის საგადასახადო რეჟიმების გამოყენებას. ეს მათ არაერთხელ დააფიქსირეს სხდომათა დარბაზში. ჩემი ვარაუდით, დამკვეთებს ეს არ აინტერესებთ."

გარდა ამისა, ზურაბ ციციტიშვილი აღნიშნავს, რომ კანონპროექტში საერთოდ გამორჩენილია მოქმედი კოდექსის ის მუხლი, რომელიც გარკვეულ შეღავათებს ანიჭებს სხვადასხვა სახის პროდუქციის მწარმოებლებს და მის მიმწოდებლებს. ეს არის მედიკამენტები, წამლები, რომლებიც თავისუფალია დღგ-საგან. ასევე ბავშვთა პროდუქტები. "ასეთი პროდუქციის მიმართ მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიდგომა, ფაქტობრივად, ერთნაირია. ყველა ეს შეღავათები შეთანხმებულია და აღიარებულია მეტად მკაცრი სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერაც კი. ესეც, რატომღაც, გამორჩენილია კოდექსში, ან, შეიძლება, სპეციალურად არის გამორჩენილი, რომ მომავალში ამაზე გაიმართოს გარკვეული დისკუსია. ყოველ შემთხვევაში, ახლა სამუშაო ჯგუფი გამოავლენს ამ ხარვეზებს," - მიიჩნევს ციციტიშვილი.

პარლამენტარი აღნიშნავს,



ერთ თვეში პარლამენტს საგადასახადო კოდექსის განხილვა მოუწევს

რომ შეიძლება სადაო იყოს თვითონ დღგ-ის ანგარიშის წესი, რომელიც მოცემულია ამ კანონპროექტში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს წესი აქტიზურ საქონელს ეხება. მისი თქმით, "ასეთი პროდუქციის მიწოდების დროს, აღნიშნული კანონპროექტი დღგს დაანგარიშების პროცესში აქტიზს, ფაქტობრივად, ხარჯვის ნაწილში აფიქსირებს, რაც ამცირებს დასაბეგრ ბაზას და უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებს აქტიზურ პრო-

დუქციას დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციასთან შედარებით."

ციციტიშვილი ეხმიანება კოდექსის ავტორთა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ახალი პროექტით მსუბუქდება საგადასახადო ტვირთი. "წინასწარი გაანგარიშებით, ეს ასეც უნდა იყოს, - აღნიშნავს იგი, - განსაკუთრებით მსუბუქდება ეს აქტიზური პროდუქციისათვის და აქ მე ვხედავ არამართ ზომიერ და დისკრიმინა-

ციულ მიდგომებს. საერთოდ, ჯანსაღი ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებისათვის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა შექმნას თანასწორი პირობები კონკურენციისათვის. მე ვფიქრობ, რომ დღგს ბიზნესის განვითარებას საქართველოში, გარდა კორუფციისა, ყველაზე მეტად ხელს უშლის კონტრაბანდული საქონელი, რომელიც ასე მრავლად ჩვენს ბაზარზე."

ერაყი - ნავთობის ელდორადო

მ3 გვირგვინი

საკმაოდ მაღალია, სხვადასხვა გათვლებით ერთი ბარელი რუსული ნავთობის ფასი, დაახლოებით, 16 ამერიკულ დოლარს უტოლდება, მაშინ როდესაც არაბული ნავთობის მოპოვება ერთ-სამ ამერიკულ დოლარს შორის მერყეობს.

არადა პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ, ნავთობის ფასი განუწყვეტლივ იზრდებოდა, ხოლო ერაყის ომის დროს პიკს მიაღწია და 30 ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. დასავლელი ექსპერტების გათვლებით, ერთი ბარელი ნავთობის ფასის ერთი ამერიკული დოლარით გაზრდა რუსეთის საბიუჯეტო შემოსავლებს 1,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს მატებს. სწორედ ნავთობის მაღალი ფასის

მემკვიდრით შეძლო პუტინმა ჩეჩნეთის ომის დაფინსება და ხელფასებისა და პენსიების შეუფერხებელი გაცემა.

ერაყში მიღწეული გამარჯვების შემდეგ, ამერიკელები ალაფის გადანაწილებას შეუდგნენ: ნავთობის საბადოებს ამერიკულ და ბრიტანულ კომპანიებს შორის ანაწილებენ, ხოლო თავიანთი ქვეყნების ეკონომიკას იაფ ნავთობს "შეუშხაპუნენ" და ეკონომიკურ აღმავლობას ბიძგს მისცემენ.

ამავდროულად, ვაშინგტონი ერაყის ომის დაწყებამდე მისი პოლიტიკური მონინალმდეგეების დასჯაზე ალაპარაკდა. თუ საფრანგეთს ვაშინგტონი ნატოს გადანყვეტილების მიღების სტრუქტურულიდან გამოთიშვით ემუქრება, რუსეთს ნავთობის ფასების მკვეთრი შემცირებით

მოაქცევს მარნუხებში. რუსეთი დღემდე უარზეა, რომ ერაყს გაერო-ს მიერ დაწესებული სანქციები მოეხსნას, რათა პუსეინის შემდეგ, ქვეყანამ ნავთობის ექსპორტი უკვე თავისუფლად განახორციელოს.

ამერიკელი ექსპერტები სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ, რომ ერთი ბარელი ნავთობის ფასი 16 დოლარამდე დაეცემა, სწორედ იმ კრიტიკულ ზღვრამდე, როდესაც რუსეთი ნავთობის გაყიდვით, პრაქტიკულად, ველარანაირ მოგებას ვერ ნახავს და, სავარაუდოდ, ბიუჯეტის შევსებას ვეღარ შეძლებს.

ნავთობზე დაბალი ფასები საქართველოზეც იქონიებს გავლენას და თან არც თუ ისე სახარბიელოს. ცნობილია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აშენება და მისი ექსპ-

ლოატაცია დიდწილად ნავთობის მაღალ ფასებზე არის დამოკიდებული. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, თუ გრძელვადიან პერიოდში ფასები 18 ამერიკულ დოლარზე ნაკლები იქნება, კასპიურ კონსორციუმში მონაწილე კომპანიები პროექტის დაფინანსებაზე უარს იტყვიან და კასპიური ნავთობის რუსეთზე გამავალი მილსადენებით გადაქაჩვას დასჯერდებიან.

ნავთობზე ძალზე დაბალი ფასი, სავარაუდოდ, ხანგრძლივად არ გაგრძელდება და იგი 18-20 დოლარს შორის იმერყევებს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველი, ნავთობზე ძალზე დაბალი ფასები თავად დასავლური კომპანიებისათვის იქნება ნაკლებმომგებიანი, რომელთა ინტერესები ერაყის კამპანიაში თვალსაჩინო იყო. ამავე

დროულად, 18-20 დოლარი ის ფასია, რომელიც რუსეთს ზომიერ შემოსავალს მისცემს, ისე რომ ეკონომიკური კრიზისი არ დაიწყოს და ქვეყანაში რადიკალური განწყობებისა და კომუნისტების ზედმეტად გაძლიერება არ გამოიწვიოს. ამას გარდა, ზომიერი შემოსავლები რუსეთის ხელისუფლებას მოჭარბებული ამბიციების დაკმაყოფილების საშუალებას არ მისცემს. ფასების ეს დონე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის აშენებასაც რენტაბელურს გახდის და ამ პროექტში დასავლეთის მიერ ჩადებულ პოლიტიკურ ინვესტიციას არ გაანიაგებს. როგორც ჩანს, საქართველოზე გამავალი ნავთობსადენის მშენებლობა დროში შედარებით გაინელდება.

კორპორაციული კოლაფსების ბაკვიტილები

საქართველოს ეკონომიკური კურსისა და კაპიტალის ბაზრის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით პრიორიტეტული ამოცანაა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ამ მიზნით ინვესტორთა დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარანტიების განმტკიცება, მათ შორის კორპორატიული მართვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დანერგვა და მათ დაცვაზე ეფექტური სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. ამ პროცესების წარმატების აუცილებელ წინაპირობად გვესახება არა მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის, არამედ მიმდინარე პროცესებისა და კორპორაციული კოლაფსების მწარე გაკვეთილების გაცნობა და გაზიარება. ამდენად, დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ მოკლე მიმოხილვას, რომელიც მომზადებულია კორპორაცია „ენრონის“ ფინანსური ზედამხედველობის შესახებ აშშ-ს სენატის სამთავრობო საკითხთა კომიტეტის მოსმენების ანგარიშის, აშშ-ს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის ვებ-გვერდისა და ჟურნალში *The Economist* აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნებული სტატიების გამოყენებით.

ქეთევან ლაფანი
აკონოიკური მკვლევარ-ანალიტიკოსი

2001 წლის 2 დეკემბერს საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა კორპორაცია „ენრონის“ გაკოტრების შესახებ. იმ დროისათვის, ამერიკის ისტორიაში, ეს იყო უდიდესი კომპანია, რომელმაც გააკეთა დეკლარაცია გაკოტრების თაობაზე. „ენრონის“ ათასობით თანამშრომელმა დაკარგა სამუშაო, მკვეთრად შემცირდა მათი საპენსიო დანაზოგები და დაიკარგა აქციონერთა მილიარდობით დოლარი. „ენრონის“ გაკოტრებას ამერიკის კაპიტალის ბაზრისადმი ინვესტორთა ნდობის კრიზისი მოჰყვა. „ენრონის“ კოლაფსის გამოძახილი დღესაც იგრძნობა კაპიტალის ბაზარზე.

ცხადია, რომ შეცდომებზე, რომლებმაც გამოიწვია „ენრონის“ დასასრული, პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, თვით „ენრონსა“ და მისი მენეჯმენტის ეკისრება, თუმცა „ენრონი“ ფუნქციონობდა კერძო და საჯარო ერთეულებისაგან შემდგარ გარემოში, რომლებსაც საჯარო კომპანიების საქმიანობის მონოტორინგი და კორპორაციის მენეჯერთა ფინანსური მაქინაციებისაგან ინვესტორთა დაცვა ევალებათ. სწორედ საზედამხედველო ინსტიტუტების „ნეგლიჯი“ „ენრონის“ კოლაფსში იქცა აშშ-ს სენატის სამთავრობო საკითხთა კომიტეტის მოსმენების (დაიწყო 2002 წლის იანვარში) მთავარ თემად. კომიტეტის მიზანი იყო, შეეფასებინა, რამდენად კორექტულად ასრულებდნენ ბაზრის საჯარო და კერძო ზედამხედველები დაკისრებულ მოვალეობებს და რამდენად შესაძლებელი იქნებოდა მათი სათანადო ქმედებებით „ენრონთან“ ასოცირებული პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამომჟღავნება და თავიდან აცილება.

კომიტეტის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საზედამხედველო სისტემის ყველა რგოლი, რომელთაც, მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, უნდა მიეცათ საზოგადოებისათვის ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია „ენრონის“ ფინანსურ მდგომარეობაზე. სპეცილური მოსმენები მიეძღვნა აშშ-ს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის, „ენრონის“ დირექტორთა საბჭოს (რომელსაც ამერიკაში დაახლოებით იგივე ფუნქციები გააჩნია, რაც საქართველოს სინამდვილეში სამეთვალყურეო საბჭოს), აუდიტორის და იმ სა-

ფინანსო ინსტიტუტების (საინვესტიციო საბანკო ფირმების, სარეიტინგო კომპანიების და სხვ.) საქმიანობას, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მათი დასკვნა ოფიციალურად არ მოითხოვება კომპანიის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროებისას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინვესტორთა აზრის ფორმირებაზე და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე.

გამოძიებისა და საქმის მოსმენების პროცესში დადგინდა, რომ მიუხედავად ენრონის მენეჯერთა აშკარად მასშტაბური თაღლითური ქმედებებისა, წლებების განმავლობაში, კონტროლის „მრავალხმიანი“ სისტემის არც ერთ მონაწილეს არ უცდია საზოგადოების დაცვა და არსებითად არაფერი გაუკეთებია „ენრონის“ პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამომჟღავნების, ინვესტორთა გაფრთხილებისა და მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად.

კომიტეტის დასკვნით: 1. არც „ენრონის“ დირექტორთა საბჭო დაინტერესდა სათანადოდ კორპორაციის მენეჯერთა მიერ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების სიღრმისეული შესწავლით, რასაც მოჰყვა არაერთი მაქინაცია; 2. ანალოგიურად მოიქცა „ენრონის“ აუდიტორი „არტურ ანდერსენი“, რომელმაც დაამოწმა შეცდომაში შემყვანი კომპანიის ფინანსური ანგარიშები; 3. იგივე შეიძლება ითქვას საინვესტიციო ბანკებზეც, რომელთაც გაყიდეს „ენრონის“ ფასიანი ქაღალდები, რამაც, როგორც ჩანს, შესაძლებლობა მისცა კომპანიას ბურჟსში გაეხვირა საკუთარი საფინანსო მდგომარეობა; 4. სათანადოდ არ გაისარჯნენ ის იურისტებიც, რომელთა აზრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ გარიგებების განხორციელებისას, რომლებიც შესაძლოა განმსაზღვრელი იყო „ენრონის“ გაკოტრებაში; 5. შეცდენ უოლ-სტრიტის მთავარი ფირმების ანალიტიკოსები, რომლებიც „ენრონის“ ფინანსურ მაქინაციებზე ინფორმაციის გახმაურებისა და გამოძიების დაწყების შემდეგაც კი მოუწოდებდნენ საზოგადოებას კომპანიის ფასიანი ქაღალდების შესყიდვას; ანალოგიურად მოიქცნენ სარეიტინგო კომპანიები, რომლებიც საინვესტიციო თანრიგს ანიჭებდნენ „ენრონს“ მის გაკოტრებამდე ოთხი დღით ადრეც კი და ბოლოს, აშშ-ს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიამ მანამდე არ დაიწყო გამოძიება, ვიდრე „ენრონის“ დასასრული გარდაუვალი არ გახდა.

საკომიტეტო მოსმენების პროცესში გამოვლენილმა ფაქტებმა კითხვის ქვეშ დაყენა ამერიკის ფინანსური ბაზრების ზედამხედველობის სისტემისა და მისი ცალკეული რგოლების, პირველ რიგში კი ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის, რომელიც „ენრონის“ კოლაფსის ისტორიაში საკმაოდ უმწეოდ გამოიყურება, საქმიანობის ეფექტურობის საკითხი. გასათვალისწინებელია, რომ ჯერ კიდევ 1933 წელს, ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის შექმნისას კონგრესმა უარყო კომპანიების საბუღალტრო ანგარიშების პირდაპირი სამთავრობო კონტროლის იდეა და ეს გააკეთა იმ მოსაზრებით, რომ კერძო სექტორი უფრო მოქნილ და ეფექტურ სისტემას შექმნიდა. შესაბამისად, კაპიტალის ბაზარზე ზედამხედველობის არსებული სისტემა ემყარება კერძო და საჯარო ერთეულების პარტნიორობას და გულისხმობს, რომ კაპიტალის ბაზრებზე წესრიგის შენარჩუნებისა და ინვესტორთა დაცვის ნინა ხაზს ქმნიან კორპორაციის დირექტორთა საბჭოები და აუდიტორები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშების უტყუარობაზე და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. „ენრონისა“ და მისი მომდევნო კორპორაციული კოლაფსების შემთხვევაში საზოგადოებისათვის ცხადია გახდა, რომ კომისია არ შეიძლება ეყრდნობოდეს კორპორაციების დირექტორთა საბჭოებსა და აუდიტორებს, როგორც პირველად შეზღუდვებს მასობრივი კორპორაციული სიყალბეების წინააღმდეგ და კისრულობდეს პასუხისმგებლობას კომპანიის ფინანსების განსაჯაროებაზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში არსებობდა არაერთი მიზეზი, კომისია არ დაინტერესებულა იმით, თუ როგორ ასრულებდნენ „ენრონის“ დირექტორები და აუდიტორი დაკისრებულ მოვალეობებს და გამოითქვა მოსაზრება, რომ კომისიამ, მიუხედავად მისი უფლებამოსილებებისა, ძალიან ცოტა გააკეთა დაცვის სისტემაში გაჩენილი ბზარების ამოსავსება. ამაზე მიუთითებს, როგორც კომისიის მიერ „ენრონთან“ მიმართებაში გან-

ხორციელებული შეზღუდული მარეგლამენტირებელი ქმედებები, „ენრონისათვის“ გამონაკლისებისა და შეღავათების დაწესება (თუმცა არ განუხორციელებია მათი ეფექტის მონიტორინგი), ასევე სერიოზული ნაკლოვანებები ანგარიშების განხილვის პროცედურაში, რომელიც, როგორც პრაქტიკამ ცხადჰყო, დარღვევების გამოვლენის თვალსაზრისით საკმაოდ არაეფექტურია.

როგორც ცნობილია, კომისია აწესებს საანგარიშგებო მოთხოვნებს საჯარო კომპანიებისადმი და ადგენს კომისიაში წარდგენილი ანგარიშების მათთან შესაბამისობას. საჯარო კომპანიების მიერ კომისიაში წარსადგენი ანგარიშები, ძირითადად, ორ ჯგუფად იყოფა - პერიოდული და ტრანზაქციული ანგარიშები. პერიოდული (წლიურ და კვარტალური) ანგარიშები ბუნებით ისტორიულია და არ ითხოვენ კომისიის გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათში ასახული ინფორმაცია გარკვეულ ეჭვს ბადებს ან არსებობს კომისიის მიერ გარკვეული ღონისძიებების გატარების სხვა საფუძველი. ტრანზაქციული ანგარიშები დაკავშირებულია ცალკეულ, ჯერ კიდევ არ შემდგარ გარიგებებთან, მათ შორის ფასიანი ქაღალდების პირველად შეთავაზებებთან, შერწყმებთან და შეიცავენ ინფორმაციას, როგორც კონკრეტული გარიგების, ასევე კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ტრანზაქციული ანგარიშის წარდგენა თავისთავად გულისხმობს კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას. საჯარო კომპანიებს, აგრეთვე, მოეთხოვებათ აქციონერთათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე განსაკუთრებული შემთხვევების შესახებ მიმდინარე ანგარიშების წარდგენაც. რესურსების უკმარისობის მიზეზით კომისიის კორპორაციული მართვის დეპარტამენტი (რომელიც პასუხისმგებელია ანგარიშების განხილვაზე) წარდგენილ ანგარიშებს იხილავს შერჩევითი პრინციპით. პირველადი განხილვის

პროცესში გასაიდუმლოებული კრიტერიუმებით ხდება ანგარიშების შერჩევა შემდგომი მიმოხილვისათვის, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ მეტი რისკის მატარებელი ანგარიში აუცილებლად იქნება განხილული. ყველა ტრანზაქციული ანგარიში გადის წინასწარი შერჩევის პროცესს. რისკის ფაქტორის გათვალისწინებით პრიორიტეტი ენიჭება პირველად საჯარო შეთავაზებებს და იხილება მათთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, რაც თითქმის არ ტოვებს რესურსებს სხვა სახის ტრანზაქციული ანგარიშებისა და მითუმეტეს პერიოდული ანგარიშების განხილვისათვის. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომისია მიზნად ისახავდა ყოველი კომპანიის წლიური ანგარიშის განხილვას სამ წელნადში ერთხელ მაინც. Sarbanes Oxley Act-ის (მიღებულ იქნა 2002 წლის ივლისში) ამოქმედების შემდეგ ეს ნორმა სავალდებულოდ იქცა. თუმცა როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს ამ ნიშნულის დაცვა ყოველთვის არ ხდებოდა. მაგალითად, 2001 წელს განხილული იქნა კომისიაში წარდგენილი წლიური ანგარიშების მხოლოდ 16 პროცენტი, ამასთან წარდგენილი ანგარიშების 53 პროცენტი საერთოდ არ განხილულა ბოლო სამი წლის განმავლობაში. რაც შეეხება „ენრონს“, მისი ანგარიშები 1992 წლიდან მის გაკოტრებამდე სულ ოთხჯერ, მათ შორის, ბოლოს 1997 წელს იქნა განხილული.

ის ფაქტი, რომ „ენრონის“ კოლაფსი არ იყო გამონაკლისი შემთხვევა და მას მოჰყვა ფართო მასშტაბიანი ფინანსური მაქინაციების გამოვლენა სხვა ცნობილ კომპანიებშიც (როგორიცაა WorldCom, Global Crossing, Tyco, Adelphia, Rite Aid და სხვა) მიუთითებს სისტემურ კრიზისზე და არა მხოლოდ კორპორაციის მენეჯერთა თაღლითობაზე, ან კაპიტალის ბაზრის საზედამხედველო სისტემის ცალკეული რგოლების შეცდომებზე ან/და დანაშაულებრივ ქმედებებზე.

აღსანიშნავია, რომ „ენრონის“



კორპორაცია „ენრონის“ კოლაფსმა ამერიკის კაპიტალის ბაზარს სერიოზული ზიანი მიაყენა

თემურ საპირის თავბადასავალი

ანუ როგორ გახდა თბილისელი სტუდენტი ამერიკელი მილიარდერი

ტატიანა კამოვა
ЕКОМА ВРАНА

შეხვედრის წინ გამაფრთხილებს: „თქვენ პირველი რუსი უზრუნველყოფის ხარო, რომელიც მან საკუთარ სახლში მიიწვია“. მისი „სახლი“ სახელგანთქმული ტრამპ ტაუერია, რომლის სადარბაზო შესასვლელთან ამერიკელი ტურისტები ისეთივე მონდომებით იღებენ სურათებს, როგორც ევროპელები – წმინდა პეტრის ტაძართან, ტექნიკაზე შეყვანილი იაპონელები კი - ემპაიერ სტიტი ბილდინგთან.

მალივი შენობის საცხოვრებელი ნაწილის სადარბაზოსთან არც კუნთმაგარი მცველები შეგხვდებოდა, არც ვიდუოკამერები და არც ემპაიერი ელექტროსაკეტები. შენობაში მხოლოდ ლივრეიანი შვიციარი, თავაზიანი ადმინისტრატორი და მელიფტე შემოგვებობიან. ერთი შეხედვით, ვერც კი მიხვდები, რომ ერთი სართული მცველებსა და კომპიუტერულ სათვალთვალსა აქვს დათმობილი. ისე კი, ამბობ გვარს და – მიბრძანდით 58-ე სართულზე, სადაც კარებს ისეთივე მრგვალი საჭრეტელი აქვს, როგორც – მოსკოვში.

ამ ადამიანის შესახებ მოთხრობილი ამბები ისეთივე ფერადოვანია, როგორც ფარმაკანგის კუდი და ისეთივე პარადოქსული, როგორც ფერმას თეორემა. იგი ხელს უწვდის ყველას, ვისაც კი დახმარებისთვის მიუმართავს. აფინანსებს სინაგოგებსა და აკადემიებს. მის კმაყოფილება უამრავი ნათესავი და თვისტომი. იხდის საქველმოქმედო საღამოების ხარჯებს და მეტისმეტად მიმდობია, რითაც არაერთი ადამიანი ყოველდღიურ სარგებლობს. მაგრამ ტაქსის მძღოლთან ანგარიშსწორებისას ყოველი კაპიკი დათვლილი აქვს. ზედმეტს არასოდეს გადაიხდის.

გამაფრთხილებს, რომ ჩემი გმირი სიტყვაძუნწია და აზრს მხოლოდ არსებითზე გამოთქვამს. თანაც, ამას ოთხ ენაზე აკეთებს და ამავე დროს, სულაც არ დადობს გამოთქმის სისწორეზე.

ჭორებს თუ ვენდობით, მას აქვს ჩვიდმეტსართულიანი სახლი მექსიკაში და საკუთარი თვითმფრინავი, რომელიც სირიის გარდაცვლილი პრეზიდენტისგან ხაფეზ ასადისგან შეიძინა. მისი იახტა სიდელით მეორეა ინგლისის დიდოფლის ელისაბედ მეორის პირადი გემის შემდეგ, რომელიც განყოფილია მხოლოდ და მხოლოდ ვერსაჩეს სახლის მიერ.

ისევე ჭორებს თუ აყვებით, მასთან სამეზობლოდ შესული დონალდ ტრამპი თავს ღარიბად გრძნობს. თუმცა ჭორების დრო დასრულდა. სახლის პატრონი ვერსაჩეს მისიურით გამოვიდა. ორმოცდაათი წლის მამაკაცის კვალობაზე ტამირ საპირი, როგორც ის დღეს ამერიკულ ყაიდაზე თავის თავს უწოდებს, საკმაოდ ენერგიულად გამოიყურება. მუქი ცოცხალი თვალები კონტრასტს ქმნის ოდნავ შეწველებულ აუჩქარებელ საუბართან და საკმაოდ ძუნწ უესტებთან. თუმცა მოულოდნელად საპირმა შესამჩნევი აზარტით დაიწყო საუბარი იმის შესახებ, თუ რა მანუებდა

არა მე, არამედ – მას – მიმდინარე გარიგებები და სასამართლო სირთულეები.

- დღეს ჩვენ სასამართლოში მნიშვნელოვანი ეტაპი მოვიგეთ, მაგრამ - რის ფასად! თუმცა, მე უკან არ დავიხევ იმიტომ, რომ მართალი ვარ. ბოლოს და ბოლოს ყველას დავუმტკიცებ, რომ ისინი ქურდობდნენ.

- ვინ?
- კომპანია MTA. ჩვენ მასთან სასამართლო პროცესი გვაქვს. ეს არის მუნიციპალური კორპორაცია, რომელიც ნიუ-იორკის მეტროპოლიტენს ექსპლუატაციას უწევს. მას ეკუთვნის ბევრი ფასიანი გზატკეცილი, გვირაბები და ხიდები.

- თქვენ მეტროპოლიტენით მგზავრობთ, თუ მთელი ნიუ-იორკის მიწისქვეშეთის ყიდვა გინდათ?
- მე ვხვდები ხუმრობას. რა თქმა უნდა, არა. საქმე მხოლოდ ერთ სახლს ეხება, რომელიც მე ეკუთვნის. თანაც, ეს სახლი ცათამბრჯენია. დიდა, ძალიან დიდი.

- ასეთი მხოლოდ ერთი გაქვთ?
- რა თქმა უნდა, არა.
- მაშინ რამდენი – ორი, სამი? საერთოდ რა უძრავ ქონებას ფლობთ? თუ ეს ძნელი განსაზღვრია?
- მთლიანობაში შეიძლება. დაახლოებით ხუთი მილიონი კვადრატული ფუტი. ჩემი უძრავი ქონება, დღესდღეობით, დაახლოებით 1,6 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

აქ კი ღირს თავიდან დანყება. ტამირ საპირი, ცათამბრჯენის მეპატრონე, იჯარით აძლევს მას კორპორაცია MTA-ს 49 წლით, გაგრძელების უფლებით კიდევ 30 წლით. შენობა მოითხოვდა მცირეოდენ რეკონსტრუქციას, რომლის დანახარჯებიც – 39 მილიონი დოლარად 55 მილიონ დოლარამდე – კორპორაცია MTA-ს საკუთარი ჯიბიდან უნდა გაეღო. შემდეგ აფორმებდა რა ერთობლივ საკრედიტო ვალდებულებებს, მომდევნო წლებში თანდათანობით იბრუნებდა თავის დანახარჯებს, უხდიდა რა ნაწილობრივ და არა სრულად შენობის მეპატრონეს იჯარის ქირას. ბრწყინვალე გარიგებაა. თუმცა მასშივე ხიფათი იმალებოდა, რომელიც მთელი ბიზნეს-სამყაროსთვისაა ცნობილი. MTA-ს შეეძლო, დაეწყო ვადების განვლვა და ხელოვნურად გაეზარდა ჩატარებული სამუშაოების ღირებულება. შემდეგ პროცესები ისე წარიმართა, როგორც ეს ჰოლივუდის ფილმებშია ნაჩვენები. საპირისა და მეტროკორპორაციის „ომში“ იყო ყველაფერი: სასამართლო სარჩელები, მონინალმდევე მხარეთა ღია დაპირისპირება. „ისინი ჩემს საკუთარ შენობაშიც კი არ მიშვებდნენ, რათა არ დამენახა, სად და რაში იხარჯებოდა ფული. ვერ მივარჯებოდა ფული, რომელიც მათ მე მასესხეს, - თუმცა ეს უკვე ჩემი ფული იყო. მე კი უფლება არ მქონდა, შემემონებინა თუნდაც ერთი დოლარი!“ ამის პარალელურად, MTA-სთან კონტრაქტის გირაოდ ბანკებში აღე-



ტამირ საპირი

ბული მსხვილი კრედიტი ერთი თვის შემდეგ მოულოდნელად უკან იქნა წაღებული. გაკოტრების საშიშროება პრაქტიკულად გარდაუვალი იყო.

ბოლო მომენტში ტამირმა შეძლო, მოეძებნა კომპანია, რომელმაც გამოისყიდა მისი ვალი ბანკის წინაშე და იგი კონტრიერიშზე გადავიდა. მუნიციპალური კომპანიის წინააღმდეგ სარჩელის შეტანით, რომელსაც თვით ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ლობივებდა, თემურ საპირი გოლიათის ბრძოლაში გამომწვევი დავითის როლში აღმოჩნდა. თემურ საპირს ბრძოლა მოულოდნელად ატეხილმა „ენრონის“ სკანდალმა გაუადვილა. საპირის წერილს, რომელშიც მექრთამეობაზე იყო საუბარი, აშშ-ს იუსტიციის მინისტრისა და გენერალური პროკურორის ჯონ ეშროფტის რეაქცია მოჰყვა. რეკონსტრუქციის საქმით გამოძიების ფედერალური ბიურო დაინტერესდა. დღეს თავის დანაშაულს ტამირ საპირი მეოთხედ მილიარდ დოლარად აფასებს. იგი აგრძელებს ჩივილს სასამართლოში.

- საერთოდ როგორი იყო თქვენი პირველი ბიზნესი? როგორ იმოვნეთ თქვენი პირველი ფული?
- პირველი ფული საპასპორტო-სავიზო სამმართველოში მუშაობისას, ებრაელთა ანკეტებზე ვიმოვე, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან ისრაელში მიემგზავრებოდნენ.

დიდი ხნის წინ თბილისში, ივერიის ქუჩაზე, სამოთხიან ბინაში სეფიაშვილების ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახის თავი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მაიორი იყო. ოჯახში ქალ-ვა-

ჟი იზრდებოდა. ვაჟი გაიზარდა და ... „შემდეგ მე ვსწავლობდი უნივერსიტეტში, მაგრამ უზრუნველყოფის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე სწავლა შევწყვეტი, რადგან ჩვენ სხვაგან გადავედით საცხოვრებლად. მამაჩემი მაიორი და ნამდვილი პატრონი იყო. როდესაც უნივერსიტეტში ჩავაბარე, სწავლის პირველი დღიდანვე ჩემი თანაკურსელი ვასილ ვასილის ძე სტალინი გახდა. იოსებ სტალინის შვილიშვილი. ჩვენ მალევე დავმეგობრდით. არასდროს დამავიწყებდა, როგორ მოვიპატიუე ჩვენთან სახლში. ვისხედით. ვსაუბრობდით. დედა სადილით გავვიმასპინძლდა. შემოვიდა მამაჩემი. მე ვუთხარი: „მამა, გაიცანი, ეს სტალინის შვილიშვილია.“ ის მუხლებზე დაეცა, ხელზე ემთხვია და ტირილი დაიწყო.“

როდესაც ოჯახი მარჩენალის გარეშე დარჩა, ახალგაზრდა თემურმა ოჯახის რჩენის საშუალება იმოვნა: „ჩვენი ოჯახი - მე, დედა და პატარა და - მამის გარდაცვალების შემდეგ, პრაქტიკულად, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დავრჩით. მაშინ ერთმა ახლობელმა, რომელიც საპასპორტო-სავიზო სამმართველოში მუშაობდა, დახმარება შემომთავაზა. „მე შემიძლია გასწავლო ისრაელში მიმავალი ებრაელებისთვის ანკეტების შევსება, - მიიხრა მან, - შენ შეავსებ ამ ანკეტებს და ამაში ვინ ათ მანეთს მოგცემს, ვინ - 25 მანეთს.“ როდესაც სამმართველოს შენობიდან გამოვედი, დავინახე 500-მდე ადამიანი, რომლებიც რიგში იდგნენ. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ეს ხალხი ჩემი სახლის წინ ირეოდა. შემდეგ ისინი სამმართველოში მიდიოდნ-

ენ, სადაც იცოდნენ, რომ ანკეტებს მე ვავსებდი და მათ პრობლემები აღარ ხვდებოდათ.“

ადრე თუ გვიან ყოველი სეფიაშვილი მიხვდება, რომ ის შაპიროა: „ერთ მშვენიერ დღეს დედამ მიიხრა: „მისმინე, თემურ, შენ იმდენ ანკეტას ავსებ, რომ მეშინია, ყველა გაემგზავრება და აქ მხოლოდ ჩვენ დავრჩებით.“ მე მივუგე, რომ აქაც მშვენივრად ვგრძნობდი თავს. მაშინ ის შემეკითხა, როდის ვაპირებდი დაქორწინებას. მაშინ 24 წლის ვიყავი და დავექორწინდი.“ მაგრამ დედა მაინც თავის აზრზე იდგა. მის მიერ შემოთავაზებულ პირობაზე - ან დაქორწინდი, ან გავემგზავროთ, - თემური არ შეცბუნებულა. მან ერთიც გააკეთა და მეორეც.

თემურ სეფიაშვილის ოჯახი ალტემულ მინაზე 1973 წელს ჩავიდა. მაშინ იქ არაბეთ-ისრაელის მორიგი ომი მიმდინარეობდა.

ან უკვე ამერიკელი ტამირ საპირი ახლაც მწუხარებით იხსენებს მაშინდელი ომისაგან მიყენებულ შთაბეჭდილებებს: „ერთი ნაცნობი ამ ომის დროს ურთიერთსოლაში მოხვდა და ორივე ფეხი დაკარგა. ერთ დღეს ჩვენ მის სანახავად წავედით ჰოსპიტალში. როდესაც მივედით, შემთხვევით დავიკარგე. მე დანარჩენებს ვეძებდი და ამიტომ რამდენიმე პალატის კარი შევაღე, სადაც დასახიჩრებული ებრაელები ივნენ. ბოლოს მე ვნახე ის ბიჭი, რომელიც ორივე ფეხი დაკარგა... ჰოსპიტალში კონცენტრი ჩატარდა, რომელზეც ყველა დაჭრილი მიიყვანეს. მე კი ვიდექი და ვუყურებდი, თუ როგორ უსმენდა მთელი ეს ახალგაზრდობა და ტიროდა. ამან ჩემზე ძლიან იმოქმედა...“

- და მე ისრაელიდან გამგზავრება გადავწყვიტე. ჩვენ უკვე გვექონდა ისრაელის პასპორტები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლტოლვილობის ვადა უკვე გასული იყო. ისრაელის პასპორტით კი ძალიან ძნელი იყო ისეთ ორგანიზაციაში მოწყობა, რომელიც ლტოლვილებს რეპატრაციას იცხმარებოდა.

საპირი პირდაპირ ნიუ-იორკში კარ მოხვედრილა. მან ჯერ თავი პენტაგონის შტატში ჩაკარგულ პატარა ქალაქში ამოყო, სადაც ადგილობრივ ებრაელთა სათვალსტომოში ემიგრანტებისთვის სკოლაც კი არ არსებობდა: „მე ყველწაირ სამუშაოზე ვიყავი თანახმა. ყოველ დღე მოხუცი ქალები ქალაქის ცენტრში მიმყავდა, სადაც ისინი მეცადინეობდნენ სიმღერაში, ქსოვაში, როგორც ეს საბავშვო სახლებში ხდება, და საღამოობით მათ სახლებში ვარიგებდი. ამ მოხუცებმა ინგლისური ენა მასწავლეს. ძალიან სასაცილო იყო: ისინი მეკითხებოდნენ, საიდან ვიყავი. მე კი ვპასუხობდი, რომ 25 წლის ვარ. ჩემს გვერდით ძალიან მდიდარი ადამიანი ცხოვრობდა, რომელსაც ქალაქში რამდენიმე მაღაზია ჰქონდა. მან შემომთავაზა, მე-მუშავა მასთან შესვენების საათებში და სამსახურის შემდეგ.“

თემურ საპირის თავბადასავალი

07 გვირგვინი

თემურ სეფიაშვილი იყო მძღოლიც, მენაგვეც, მტვირთავიც... არ თავილობდა შემთხვევით სა-მუშაოებსაც. სწავლობდა ენას. აგროვებდა ფულს.

და ელოდა. 10 თვის შემდეგ მან ჩასხა ოჯახი მანქანაში, რომელსაც მოაბა ტრიაილერი და ნიუ-იორკში გაემგზავრა.



ნიუ-იორკში იგი ტაქსის მძღოლად მოეწყო: „დავინყე მუშაობა და მიზნად დავისახე, ტაქსი გამომესყიდა. ექვსი თვე დილიდან საღამომდე ვმუშაობდი. მეძინა აეროპორტში და ვუცდიდი თვითმფინავის პირველ რეისს. მალე ვიძებნენ პირველი მგზავრები. ექვსი თვის შემდეგ ტაქსი ჩემი საკუთრება იყო. მე უკვე შემეძლო, სამუშაოდ არ გამოვსულიყავი ყოველდღე, მემუშავა მხოლოდ ხუთი-ათი საათი. გამოვიმუშავე 300-400 დოლარს დღეში. უკვე მქონდა დრო, ოჯახთან ერთად წავსულიყავი პარკში, კინოში, რესტორანში. ეს ძალიან მშვენიერი დრო იყო.“

მას უკვე ჰქონდა ყველაფერი მშვენიერი და უზრუნველი ცხოვრებისთვის. რუსეთიდან საშუალო ემიგრანტის კვალობაზე იგი კარგად ცხოვრობდა. მოხუცებულობაში ის იყიდა თავისთვის სახლს სადმე ბრაიტონზე, ვერა-ნდაზე წაიკითხავდა გაზეთ „ნოვოე რუსსკოე სლოვოს“ და დატკებობდა ეზოში მოთამაშე შვილიშვილების ყურებით.

მაგრამ მან გარისკა. ერთ მშვენიერ დღეს ჩადო თავისი ტაქსი ბანკში, აიღო კრედიტი და შევიდა სავაჭრო საქმეში მეპაიედ კიდევ ერთ ემიგრანტთან ერთად. თავისი პირველი კომერციული პარტნიორი შემთხვევით, საგაზეთო რეკლამის მეშვეობით გაიცნო. რეკლამა გაუკეთდა ელექტრონიკის მაღაზიას ბროდვეიზე.

- იქ სემ კისლინი ვაჭრობდა. მე მასთან სტერეო და ტელევიზორი შევიძინე. ორი-სამი დღის შემდეგ მან ყველაფერი ეს სახლში მომიტანა. ვეუბნები მეუღლეს: გაგვიშალე სუფრა, თითო გადავკრათ... მან გადაკრა პატარა ჭიქა და მეუბნება: არ გინდა ჩემი პარტნიორი გახდე? მე ვუთხარი, რომ ამისათვის საჭირო ფული არ მქონდა. მან არ გინდა ბევრი, - მითხრა მან, - შენ მხოლოდ ათი ათასი დოლარი გჭირდება. ბოლოს და ბოლოს, მთელი დღე იჯდე საჭესთან და



ტრამპ ტაუერი

მთელი დღე ოფისში, ორი სხვადასხვა რამეა. მე ხომ ტაქსისტად არ დავბადებულვარ. ამიტომ დავთანხმდი. ჩვენ ერთად დავინყეთ მუშაობა. ძირითადად რუსი კლიენტები გვყავდა: ემიგრანტები, საბჭოთა დიპლომატები, პლუს მივლინებაში ჩამოსულები. ორი თვის შემდეგ ჩვენ გავხსენით მაღაზია ბროდვეიზე. ბიზნესი მეტად წარმატებული იყო. მყოფელთა ოდენობა დღეში 100-150-მდეც აღიწია. ეს კი ორისამი ათასი დოლარის ყოველდღიური შემოსავალი იყო. მაგრამ მაღაზიის მფლობელთა რანგი იყო. სემ კისლინისა და თემურ საპირის მაღაზიაში მხოლოდ საბჭოთა კავშირის „დიდი ადამიანები“ მიდიოდნენ. საპირს დღემდე ახსოვს მაღაზიაში საყიდლებზე შესული გრომიკო, პრიმაკოვი, არბატოვი...

- ერთხელ ედუარდ შევარდნაძეც მოვიდა. უეცრად მისი ერთერთი პირადი მცველი ჩემი ბავშვობის მეგობარი აღმოჩნდა. მე მას ვთხოვე: მურად, შეგიძლია დამეხმარო, საქართველოში ჩავიდე და მამის საფლავი მოვიწახულო? იყო ასეთი ორგანიზაცია - ამერიკულ-საბჭოთა სავაჭრო-ეკონომიკური საბჭო. მე იქ მოხვედრამდე არც მიოცნებია. ერთხელაც, იქ მეძახიან და მეუბნე-

ბიან: როგორ გინდა საბჭოთა კავშირში მოხვედრა - როგორც ტურისტის, თუ როგორც ჩვენი ორგანიზაციის წევრი? ამ ორგანიზაციაში „ოქსიდენტალ პეტროლეუმ ჰამპტონისა“ და „პეპსი-კოლას“ ტიპის 180 მსხვილი ამერიკული კომპანია იყო განევირანებული, რომლებიც ბიზნესს რუსეთში ეწეოდნენ. და მე ამ ორგანიზაციის წევრი გავხდი. მართლაც, ერთი თვის შემდეგ ვჯდები „ბონგში“ და ვიცე-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უფროსთან და ამ მსხვილ კომპანიებთან ერთად, მივფრინავ მოსკოვში.

თემურს სეფიაშვილს მაშინ წარმოადგენდა კი არ ჰქონდა, რომ ამერიკის სამთავრობო „ბონგის“ ტრაპიდან მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში, როგორც მომავალი მილიარდერი, ისე ჩადიოდა.



მოსკოვში ჩასვლისას ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში საპირი ცნობილ პიროვნებად იქცა. „სადაც არ უნდა წავსულიყავი, ორგანიზაციის წევრი ყველა რუსი თავს ანებებდა მოლაპარაკებებს, ჩემსკენ მოდიოდნენ და მეკითხებოდა, რა ღირდა ესა თუ ეს ტელევიზორი, ან ვიდუო. ეს ამერიკე-

ლებსაც გაუკვირდათ და მეკითხებოდნენ, ვინ ვიყავი. ყველა ფიქრობდა, რომ საქმე მსხვილ ბიზნესმენტთან ჰქონდათ.“

კომერსანტ საპირის ახალ მეგობართა შორის საბჭოთა კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის მინისტრიც აღმოჩნდა. როდესაც საპირს მინისტრი ესტუმრა, მან მეგობარ კისლინს დაურეკა: - „მისმინე, - ვუთხარი მე, - რა შეიძლება ვთხოვო მინისტრს, საინტერესო ბიზნესი რომ წამოვიწყო? ის მეუბნება: სთხოვე კარბამიდის შესახებ. ის კი მპასუხობს: არ არის პრობლემა. შენ ზეგ ჩემთან სამინისტროში შემოიარე და შენ მოგცემენ კარბამიდს ექსპორტისთვის.“

ერთი დღის შემდეგ ისინი ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ. საპირმა საექსპორტოდ ნედლეულის პირველი ემელონი მიიღო, რომლითაც იმ წლებში ზღაპრული მოგების მიღება შეიძლებოდა. გარიგებები ნავთობზე, ნავთობპროდუქტებზე და ნავთობის მეორადი გადამამუშავების (მათ შორის, კარბამიდზე) პროდუქტებზე მართლაც რომ „ოქროსი“ იყო. ეს ოპერაციები სამმაგ-ხუთმაგ მოგებას იძლეოდნენ და ამას მხოლოდ შიდა და საგარეო ფასს სხვაობას იძლეოდა. ამ საექსპორტო პოზიციასთან მიდგომა მკაცრად ლიმიტირებული იყო. „მაშინ ძალზე ვაგვიტყულებული იყო ბარტერი. მილიონი იქით, მილიონი - აქეთ. რაც შემეძლო ყველაფერს იქით ვაგზავნიდი: დიდი ოდენობით ელექტრონიკას, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს. სანაცვლოდ კი მიმქონდა ნავთობი და ნავთობქიმი. მოგვიანებით, მოსკოვში ქარხნების აშენებაც კი მოხვედს.“

საპირის მონაწილეობით განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტი მოსკოვში პოლიპროპილენის ქარხანა გახდა. თუმცა ქარხნის მშენებლობის დასრულება თანხების ნაკლებობის გამო ვერ მოხერხდა. ცოტა მოგვიანებით, დრო და წესები შეიცვალა. საპირი რუსეთში დროზე ჩავიდა და ეს ქვეყანა დროულად დატოვა. იგი ამერიკაში მილიონერად დაბრუნდა.



თემურ საპირმა პირველი ათასებით ტაქსი იყიდა, რომელიც მან ბროდვეიზე მდებარე მაღა-

ზიად აქცია. იღბალს ისევე იღბალი და რუსეთიდან ჩამოტანილი მილიონები მოჰყვა. ეს ფული მან მანქანებზე უძრავ ქონებაში დააბანდა. ამით მან ნაბიჯი გადადგა მილიარდერობისკენ.

შემდეგ მას კიდევ ერთხელ გაუმართლა. უძრავი ქონების ბაზარი სწრაფად უფასურდებოდა. 1995-96 წლებში მანქანების (კათამბრჯენების ფასი ძირს ეცემოდა. კოშკის ფასი, რომელიც მანამდე ნახევარი მილიარდი ლირდა, შეიძლებოდა 17 მილიონ დოლარამდე დაცემულიყო. და საპირმაც თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ნელინადნახევრის შემდეგ, 1997 წლის ბოლოს, დადგა „ის მშვენიერი დღე“, როდესაც ფასები საწყის ნიშნულს არა მხოლოდ დაუბრუნდა, არამედ რამდენჯერმე გადააჭარბა კიდევ. ამის გათვლა არავის შეეძლო. მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა - თემურ საპირი მილიარდერი გახდა.

- თქვენ მართლაც იყიდეთ ნიუ-იორკის ნახევარი?

დიახ. და მე გული მწყდება, მეტი ფული რომ არ აღმომაჩნდა. მაშინ ბაზარზე 15 მილიონ დოლარად ექვსი სახლის ყიდვა შეიძლებოდა. დღეს ეს ქონება, მინიმუმ, 600-700 მილიონი დოლარი ღირს. ის, რაც მაშინ ვიყიდე, დღეს 1,6 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.



ახლა საპირს რუსეთთან მხოლოდ მეგობრები აკავშირებს. იგი ასახელებს რამდენიმე მათგანს, უმეტესად, ქართველებს. მათ შორისაა ზურაბ ნერეთელი. „თუ ჩვენ შეგვიძლია გავუკეთოთ ერთმანეთს რაღაც სანტერესო და კარგი, - მე მათ აქ ვუკეთებ, ისინი მე - იქ, - ჩვენ ამაზე უარს არ ვიტყვი.“ კიდევ არის ოცნებები, მაგრამ არც ისე ბევრი.

- თქვენ თავს მაგნატად მიიჩნევთ?

- ალბათ კი. ეს უკვე ასეა. დღეს ჩემი შემოსავალი 60 მილიონი დოლარია. დაახლოებით ათი წლის შემდეგ იგი 100 მილიონ დოლარამდე გაიზრდება და ა.შ. ეს ჩემთვის საკმარისია. თანაც არა მარტო ჩემთვის, არამედ ჩემი შვილებისა და ახლობლებისათვის.

- გამოდის, რომ თქვენ ბიზნესის ზვიგენი ხართ?

- მე ასე არ ვიტყვოდი.

- თქვენ თავად როგორ განსაზღვრავდით თქვენ თავს?

- მე ძალიან მიყვარს ლომები. ალბათ ლომი ვარ.

„უხილავი ხელი“, ქართულად

04 გვირგვინი

არანაკლებ საყურადღებოა „უხილავი ხელის“ ქართული მოდელის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობაში გამოყენება. ამ შემთხვევაში მართლაც უნიკალური „ექსპერიმენტი“ განხორციელდა: ფონდის ჯერ კიდევ 2002 წლის შემოდგომის მისიასთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება ტენდერის ჩასატარებლად, რომლითაც სამი ქართული უმსხვილესი კომპანიის აუდიტის განმარტებული ფირმა უნდა გამოვლენილიყო. თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში, ეტყობა, „უხილავი ხელის“ პოლიტიკის გა-

ტარების სურვილის გამო, ფინანსთა სამინისტრომ (ტენდერის ჩატარება მას ჰქონდა დავალებული) გადაწყვიტა ამ პროცესში არ ჩარეულიყო და ენახა ტენდერი თავისით გამოცხადებოდა თუ არა. „ექსპერიმენტი“, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი შედეგით დაგვირგვინდა: ტენდერი თავისით არა თუ არ ჩატარდა, არც კი გამოცხადდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას ეს „ექსპერიმენტი“ არ მოუწონა, ფინანსთა სამინისტრო იძულებული შეიქმნა „ხილული ხელის“ პრინციპით ემოქმედა და ნატრი ტენდერიც გამოაცხადა! სამწუხაროდ, რთულადაა სა-

ბიუჯეტო გეგმების შესრულების პროცესში შექმნილი სიტუაცია, როცა საბიუჯეტო პარამეტრების გაცხადებული შესრულების პირობებში ისრა რჩება აჭარის ხელმძღვანელობასთან ერთად „უხილავ ხელს“ გადაბრალო დაუფინანსებელი ხარჯები. საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის კი ბიუჯეტის შესრულებაში არსებული მდგომარეობა სულაც არ არის „უხილავი“.

დაუსრულებელი ენერგოკრიზისიც „უხილავი ხელის“ ნამოღვაწარით თუ ახსნება, თორემ საქართველოს ენერგეტიკაში შესაბამისი სამინისტრო რომ „არ ერევა“ ეს, სამწუხაროდ, ალბათ უკვე არც

არავის აკვირვებს. ის, რომ სახელმწიფო ქონების მართვა დიდი ხანია „უხილავი ხელს“ აქვს მინდობილი ესეც, სამწუხაროდ, საკამათო თემას კარგა ხანია არ წარმოადგენს; სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სტატუსის დამკვიდრება კი იმის აშკარა საფრთხეს ქმნის, რომ პრივატიზაციის პროცესის განხორციელებაც „უხილავი ხელის“ პრეროგატივა გახდება.

ასეა თუ ისე, „უხილავი ხელის“ ქართული მოდელი ქვეყნისათვის სიკეთის მომტანი აშკარად არ არის და ეკონომიკის ყველა სექტორში რაც უფრო მალე გადავალთ „უხილავი ხელის“ სმიტისეულ ან „ხი-

ლული ხელის“ ქეინზური მოდელიდან ერთერთზე, მით უფრო უკეთესი იქნება, თუმცა ეს შესაბამისი პოლიტიკური ნების გარეშე განუხორციელებელ ოცნებად დარჩება. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ არჩევნების (რა თქმა უნდა, საპარლამენტო) შემდეგ პრეზიდენტი აუცილებლად იტყვის (და თანაც სამჯერ!) ჯადოსნურ სიტყვებს: „ჩიმიქარდი“, „ჩიმიქარდი“, „ჩიმიქარდი“... და ხალხისათვის „გამიგანქარდებული“ სამთავრობო ეკონომიკური გუნდი „თვალმისანვდომი“ გახდება: ბოლოს და ბოლოს ჩვენს ხალხს სულაც არ აქვს „ავი თვალი“, რომ მას არ „დაენახებოდეს“.

ევროს შემოღება ბრიტანეთისათვის უდიდესი პეცდომა იქნება

მარტინ ფალდუხანი
პარკარდის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ-ის უნივერსიტეტი კალიფორნია უორენი ბიუროს დირექტორი

სანამ ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი გორდონ ბრაუნი თავისი ქვეყნის ევროზონაში შეყვანა-არშეყვანაზე ფიქრობს, ალბათ უპირანი იქნება მან გერმანიის მწარე გამოცდილება გაითვალისწინოს. უკვე აშკარაა, რომ ერთიან სავალუტო სივრცეში ევროპის უძლიერესი ქვეყნის ეკონომიკა უკიდურესად დასუსტდა და სწორედ ევროს დამსახურებაა, რომ ახლანდელი ქაობიდან გერმანიას ვერასდიდებით ვერ დაუღწევია თავი. მართალია, ქვეყანა უამრავ სტრუქტურულ პრობლემასაც განიცდის, მაგრამ ის სავალალო ფაქტი, რომ უმუშევრობამ თვით გერმანიაში 10,6 პროცენტს გადააჭარბა, უპირველესად, სწორედ ისევ ევროს დამსახურებაა.

გერმანიის მაგალითი მოწმობს, რომ ბრიტანეთის ორჭოფობა მნიშვნელოვნად სცდება ხელსაყრელი მომენტის შერჩევის მოსაზრებას. საქმე ის არაა, რომ ცოტა მოგვიანებით შესვლა ერთიან სავალუტო ზონაში შეიძლება უფრო მომგებიანი იყოს, ვიდრე - ახლა. არა, ბრიტანეთი ამის გამო არ უნდა აყოვნებდეს, რადგან აშკარაა, რომ ევროს შემოღება სამუდამო ტვირთია სამუდამო ვალდებულებებითა და სამუდამო შედეგებით. ჩემი აზრით, ერთიანი ვალუტის ჩარჩოებში მოქცევა არანაირად არ პასუხობს ბრიტანეთის გრძელვადიან ეკონომიკურ ინტერესს.

მოდით, ფაქტებით ვიმსჯელოთ. გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტი შარშან მხოლოდ ნახევარი პროცენტით გაიზარდა, რაც მთელ ევროპაში ერთ-ერთი

ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. შარშან ბოლო კვარტალში კი გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტი კლებისკენაც კი წავიდა. მართალია, ამის გარდა, გერმანიას ყველაზე დაბალი ინფლაციის მაჩვენებელი აქვს - 1,2 პროცენტი, მაგრამ ამასაც უარყოფითი მომენტი ახლავს: იმის გამო, რომ ერთიანი ვალუტა ევროზონის ყველა ქვეყნისათვის ერთნაირ ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს ნიშნავს, გერმანიის რეალური საპროცენტო განაკვეთი ახლა მთელ ევროზონაში ყველაზე მაღალია. ეს მეტად რთული და სახიფათო ვითარებაა - მაღალი საპროცენტო განაკვეთი ასუსტებს ეკონომიკას, აგდებს სამეწარმეო აქტივობას და კიდევ უფრო დაბლა სწევს ინფლაციას. აქედან კი ერთი ნაბიჯია დეფლაციამდე, რომელიც არანაკლებ საშიშია, ვიდრე მაღალი ინფლაცია.

სტაბილურობისა და ზრდის პაქტის გამოისობით, გერმანიას ასევე არ შეუძლია დროებითი ფისკალური სტიმულის პაკეტის გამოყოფა, რომელიც ხელს შეუწყობდა უმუშევრობის შემცირებასა და მრეწველობის ზრდას. მართალია, დეფიციტი შორეულ პერსპექტივაში მავნებელია, მაგრამ ახლო ვადაში (რაც გერმანიისათვის გაცილებით უფრო აქტუალურია) იგი ერთობ დიდი სტიმულის მიძემი იქნებოდა ეკონომიკისათვის. ზემოთაღნიშნული პაქტი კი ბიუჯეტის დეფიციტისათვის აწვევს ზღვარს იმ მოსაზრებით, რომ ერთიან ვალუტას პრობლემები არ შეექმნას.

რატომ არის ერთიანი ვალუტა მომგებიანი აშშ-ის დარი დიდი კონტინენტური ეკონომიკისათვის და რატომ არ ამართლებს იგი ევროპაში? პასუხი ასეთია, რომ აშშ-ის ეკონომიკას გააჩნია სამი ერთობ მნიშვნელოვანი თვისება, რომელთა ნეალობითაც ხერხდება იმ პრობლემათა თავიდან აცი-



ბუკინჰემის სასახლე ლონდონში

ევროპის ცენტრალური ბანკი ადგენს. მას კი ინფლაციისათვის მკაცრი ზედა ზღვარი აქვს დაწესებული - ორი პროცენტი.

სტაბილურობისა და ზრდის პაქტის გამოისობით, გერმანიას ასევე არ შეუძლია დროებითი ფისკალური სტიმულის პაკეტის გამოყოფა, რომელიც ხელს შეუწყობდა უმუშევრობის შემცირებასა და მრეწველობის ზრდას. მართალია, დეფიციტი შორეულ პერსპექტივაში მავნებელია, მაგრამ ახლო ვადაში (რაც გერმანიისათვის გაცილებით უფრო აქტუალურია) იგი ერთობ დიდი სტიმულის მიძემი იქნებოდა ეკონომიკისათვის. ზემოთაღნიშნული პაქტი კი ბიუჯეტის დეფიციტისათვის აწვევს ზღვარს იმ მოსაზრებით, რომ ერთიან ვალუტას პრობლემები არ შეექმნას.

რატომ არის ერთიანი ვალუტა მომგებიანი აშშ-ის დარი დიდი კონტინენტური ეკონომიკისათვის და რატომ არ ამართლებს იგი ევროპაში? პასუხი ასეთია, რომ აშშ-ის ეკონომიკას გააჩნია სამი ერთობ მნიშვნელოვანი თვისება, რომელთა ნეალობითაც ხერხდება იმ პრობლემათა თავიდან აცი-

ლება, ახლა ევროპას რომ აწუხებს: 1. ამერიკელი მუშა-ხელი ქვეყნის შიგნით რალაც გარკვეული რეგიონის მიმართულებით მაშინ გადაადგილდება, როცა მასზე მოთხოვნილება მწირია, და ამას ხელს უწყობს საერთო ენა და ერთიანი კულტურული გარემო, რის ხარჯზეც გადაადგილება და ადაპტირება ერთობ იოლია. გერმანელები კი დიდი ოდენობით არ (და ვერ) გადაადგილდებიან გერმანიის ფარგლებს გარეთ, როცა იქ უმუშევრობა იზრდება; 2. აშშ-ში ანაზღაურების გაცილებით უფრო მოქნილი სისტემაა, ვიდრე ევროპაში და ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ამა თუ იმ რეგიონში უმუშევრობის ზრდის რისკს; 3. აშშ-ს ფედერალური ფისკალური სისტემა გააჩნია, რომელიც დაახლოებით 40 პროცენტით ამცირებს ხოლმე ამა თუ იმ შტატში მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემას სავაჭრულ კონტინენტში გადისა და შტატისათვის უმუშალო დახმარებების გზით. ეს მაშინ, როცა ევროპაში ფისკალური სისტემები კვლავაც ნაციონალური ხასიათისაა.

გერმანელ ეკონომისტებს ევროს შემოღებამდე დიდი დრო არ დაუხარჯავს ამ ნაბიჯთან დაკავშირებულ ხარჯ-სარგებლების გათვლებში. ჰელმუტ კოლი თავის ქვეყანას ერთიან სავალუტო სივრცეში ერთი მოსაზრებით ექაჩებოდა - მას სურდა შეექმნა უფრო ძლიერი პოლიტიკური კავშირი ცენტრალურ ევროპაში, შეექმნა პოლიტიკური კავშირი ერთიანი ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო პოლიტიკით. ევრო კი ამ სოლიდარობის სიმბოლოდა და ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის მექანიზმად უნდა ქცეულიყო.

გერმანიაში ბევრი ელოდა, რომ მათი ქვეყანა, როგორც ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი, ბუნებრივად იქცეოდა გაერთიანებული კონტინენტის ლიდერად. ფრანგები ვარაუდობდნენ, რომ სავალუტო კავშირის შექმნა ბოლოს მოუღებდა საფრანგეთის ბანკის ბუნდესბანკზე დამოკიდებულებას. უფრო ზოგადად კი ფრანგთა უმრავლესობა უფრო ძლიერ პოლიტიკურ კავშირს განიხილავდა როგორც საპირწონეს აშშ-ის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების განწინასწორებისათვის.

ბრიტანეთში ევროს შემოღება გრძელვადიანი შეცდომა იქნება. საკუთარი ბედის ევროპის ცენტრალური ბანკისათვის მიწოდებას (რომელშიც ხმის მიძემი ნევრთარიცხვი 20-მდე გაიზრდება) ბრიტანეთში უმუშევრობის ზრდა და ფასების სტაბილურობის მოშლა მოჰყვება. ძნელად სავარაუდოა, რომ კონტინენტურ ევროპასთან პოლიტიკური სოლიდარობის განმტკიცებით გამოწვეული სარგებელი გადასწონის იმ ეკონომიკურ დანაკარგებს, რასაც ქვეყანას ევრო მოუტანს.

„ფაინანს ელ თაიმსი“

კორპორაციული კოლაფსების გაკვირვებები

DB გვარდნიან

გაკორტრებამდე სამი წლით ადრე კომისიის ყოფილი თავმჯდომარე არტურ ლევიტი თავის გახმაურებულ სიტყვაში „რიცხვების თამაში“ (რომელიც მან წარმოთქვა 1998 წლის 28 სექტემბერს, ნიუ-იორკის ბიზნესისა და სამართლის ცენტრში), მიუთითებდა ამერიკის კაპიტალის ბაზრის პრობლემებზე, ინვესტორთა დაცვის სისტემაში არსებულ ბზარებზე, გახმაურებულ მანიპულაციებზე აღრიცხვაში უოლ-სტრეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით. იგი წუხდა, რომ მრავალი კორპორაციის მენეჯერი, აუდიტორი თუ ანალიტიკოსი მონაწილეობს ე.წ. „თვალის ჩაკვრისა და თავის დაქნევის თამაშში“ და რომ ამდენი ნახევარსიმართლე და საბუღალტრო მაქინაცია გამოიწვევდა იმ ნდობის შეზღუდვას, რომლითაც ამერიკის ბაზარი სარგებლობს მსოფლიოს საინვესტიციო საზოგადოებაში. სამწუხაროდ, ეს პროგნოზები გამართლდა და ყველაზე დიდი კორპორაციუ-

ლი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა ბაზრის რეპუტაციის აღდგენის უმწვავესი პრობლემის წინაშე დგება.

ამერიკული კორპორაციული კოლაფსების სერია, ფინანსური მაქინაციების მასშტაბებმა, მათ ნინაალმდეგ ბრძოლაში ზედამხედველების მიერ დაშვებულ შეცდომებთან ერთად ინვესტორთა ნდობის კრიზისი გამოიწვია. როგორც სოციოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, გამოკითხულ რესპოდენტთა 57 პროცენტს საერთოდ არ სჯერა, რომ კორპორაციის აღმასრულებლები ან საბროკერო კომპანიები გასცემენ სწორ ინფორმაციას, ერთი მესამედი მიიჩნევს რომ „ენრონის“ პრობლემა ტიპიურია მრავალი კომპანიისათვის. რესპოდენტთა 72 პროცენტის აზრით, გავრცელებული პრაქტიკაა, რომ ბროკერების უმრავლესობა მოქმედებს საკუთარი და არა კლიენტის ინტერესებით; 73 პროცენტი მიიჩნევს, რომ კომპანიების შესახებ ინფორმა-

ციის შენიღბვა თვით აუდიტორების დახმარებით ხდება; 77 პროცენტის აზრით კი მაღალი რანგის აღმასრულებელთა არასწორი, ან პირადი ინტერესებით მოტივირებული ქმედებები საკმაოდ გავრცელებულია.

გამოძიებისა და მოსმენების პროცესში გამოვლენილი „ენრონის“ ფინანსური ზედამხედველობის სისტემაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების, მათ შორის ფინანსური სიყალბეების ნინაალმდეგ ბრძოლაში კომისიის არასათანადო აქტიურობის, დირექტორთა საბჭოებისა და აუდიტორების, ისევე როგორც საინვესტიციო ფირმების ანალიტიკოსებისა და სარეიტინგო კომპანიების რეალური დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის დეფიციტის (რაც მნიშვნელოვან ნილად დარგში განვითარებული ინტერესთა კონფლიქტებით აიხსნება) და მათი გამოწვევი გარემოებების გათვალისწინებით ამერიკის კაპიტალის ბაზრის რეპუტაციის აღდგენისა და ანალოგიური

პრობლემების თავიდან აცილების მიზნით აშშ-ს სენატის სამთავრობო საკითხთა კომიტეტის მიერ შემუშავებული იქნა რეკომენდაციები საკანონმდებლო მოთხოვნების გამოკაცრების, საზედამხედველო სისტემის ცალკეული რგოლების პასუხისმგებლობისა და საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების თაობაზე. შედეგად 2002 წლის ივლისში მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი - Sarbanes Oxley Act-ის სახით, რომელიც ითვალისწინებს კომისიის უფლებამოსილებების გაფართოებას და შესაბამის დამატებით რესურსულ უზრუნველყოფას, საზედამხედველო სისტემის კერძო ინსტიტუტებზე კონტროლის გამკაცრებას, მათ შორის, კომისიის ზედამხედველობის ქვეშ ახალი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას აუდიტორთა პრაქტიკის კონტროლისათვის (უკვე შექმნა), პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, უკრძალავს აუდიტორებს საკონსულტაციო მომსახუ-

რების (გარკვეული სახეობების) განევას იმ კორპორაციებისათვის, რომელთაც უწევს აუდიტორ მომსახურებას, აკისრებს დამატებით ვალდებულებებს კორპორაციის ოფიცრებსა და დირექტორებს და სხვა. საბუღალტრო ანგარიშებთან მიმართებაში კორპორაციის დირექტორთა პასუხისმგებლობის ამაღლებას ისახავს მიზნად ნიუ-იორკის საფონდო ბირჟისა სალისტინგო მოთხოვნებში შეტანილი ცვლილებებიც.

ზემოაღნიშნული ცხადჰყოფს, რომ ინვესტორი ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება აღმოჩნდეს ფინანსური მაქინაციებისა და თაღლითობის მსხვერპლი, თუ ბაზრის საზედამხედველო სისტემის ცალკეულ მონაწილეთა და, პირველ რიგში, შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ არ გატარდება ქმედითი ღონისძიებები საზოგადოებისათვის მინოდებული ინფორმაციისა და დაცვის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ყველაზე დიდი ხიფათები - ღარიბთა უმუშევრობა და მდიდართა კორუფცია

ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ხელისუფლება თუ გავლენიანი ბიზნესმენები დიდი მონდომებით სწავლობენ ყველაფრის მიმართ საზოგადოებაში გავრცელებულ განწყობებსა და დამოკიდებულებებს. საქართველოში მოსახლეობის გამოკითხვებზე დაყრდნობილი ინფორმაცია მეტად მწირია. ამას ერთხმად აღნიშნავენ როგორც ექსპერტები, ასევე ამა თუ იმ რანგის გადაწყვეტილებების მიმღებნი და სხვადასხვა საერთაშორისო დაწესებულების წარმომადგენლები.

ბირობი ბახალაძე

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა ახლახან დაასრულა საქართველოს მოსახლეობის მასშტაბური სოციოლოგიური გამოკვლევის კიდევ ერთი ეტაპი. მისი შედეგები ჯერ შეჯამებული არ არის, მაგრამ ზუსტად ნახევარი წლის წინ მათ ანალიზური კვლევა ჩაატარეს და პირველი შედეგები ცნობილია. სულ მალე ჩვენ შედარების საშუალება მოგვეცემა. გამოკვლევა გულისხმობს საქართველოს მოსახლეობის რეგულარულ საპანელო გამოკითხვას (ტარდება წელიწადში ორჯერ), რომელიც სწავლობს საქართველოს სოციალური, ეკონომიკური, და პოლიტიკური რეალობის საკვანძო საკითხების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებას.

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი (სპი) დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია საზოგადოებრივი პოლიტიკის თანამედროვე კონცეფციისა და პრაქტიკის გავრცელება და დანერგვა. ის თბილისში 2001 წლის დეკემბერში დაფუძნდა, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს თანადგომის შედეგად. ინსტიტუტი ამგვარი კვლევითი ცენტრების აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქსელის წევრია.

2002 წლის 14 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე საქართველოს მთელს ტერიტორიაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით სულ გამოკითხა 1100 პირი. გამოკვლევის საკითხები შეეხებოდა ოჯახის სტრუქტურას და ეკონომიკური სტატუსის თვითშეფასებას, სამსახურებრივ მდგომარეობას, დასაქმებას, ოჯახის მიერ მიღებულ და გაცემულ დახმარებას, საკუთრებას, შემოსავალს და დანახარჯებს. ზოგადად, გამოკვლევა მიზნად ისახავდა: მოსახლეობის დამოკიდებულებების გამოვლენას და შეფასებას პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სფეროებში. კვლევის საგანს ასევე შეადგენდა ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურის მიმართ ნდობისა და სოციალური სამსახურების ხარისხის შეფასება.

მოყვანილი მონაცემები, ძირითადად, განიხილება მოქალაქეების ეკონომიკური სტატუსის (ღარიბი და არა-ღარიბი) თვითშეფასების და დასახლების ტიპის (ქალაქის და სოფლის) მიხედვით, რადგან ეს ორი მახასიათებელი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მრავალი საკითხის მიმართ დამოკიდებულებას.




გამოკითხვამ კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რაოდენ ფართოდ არის გავრცელებული სიღარიბე საქართველოში. ამასთან აღსანიშნავია, რომ აუცილებელია სიფრთხილით მოვევიდოთ სიღარიბის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე გვაქვს განცხადებულ შემოსავლის ოდენობასთან. ოფიციალური ეკონომიკური სტატისტიკის მონაცემებთან თანხმობაში, რესპონდენტებმა დაასახელეს საკმაოდ დაბალი შემოსავლები. სექტემბერში გამოკითხულ ოჯახთა 54.8 პროცენტის შემოსავალი არ აღემატებოდა 100 ლარს, 31.2 პროცენტს 100-დან 300 ლარამდე შემოსავალი ჰქონდა და მხოლოდ 5.4 პროცენტმა აღიარა 500 ლარზე მეტი.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად მოსახლეობის 53 პროცენტი სიღარიბის დონის მიღმა ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის მიერ დასახელებული შემოსავალი ძალზე მცირეა და იგი ოფიციალურ სასიცოცხლო მინიმუმზე დაბალია, მოქალაქეების ბევრად უფრო მცირე ნაწილი - ერთ მესამედზე ოდნავ მეტი - მიიჩნევს თავს ღარიბად. განცხადებული დაბალი შემოსავლების ფონზე გასაკვირია, რომ რესპონდენტთა 62.7 პროცენტი საკუთარ ოჯახს მიიჩნევს საშუალო შეძლებისად, ხოლო 35 პროცენტი - ღარიბად. მხოლოდ 2.2 პროცენტი თვლის თავს შეძლებულად. ოჯახის ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობის ხუთი წლის წინანდელთან შედარებისას 45.2 პროცენტმა მიუთითა, რომ იგი გაუარესდა, 33.3 პროცენტის აზრით არ შეცვლილა, და მხოლოდ 21.5 პროცენტის აზრით გაუმჯობესდა.

სოფლის მაცხოვრებლებს ქალაქელთან შედარებით არა მხოლოდ უფრო დაბალი ფულადი შემოსავალი აქვთ, არამედ ეკონომიკური კეთილდღეობის შეფასების უფრო დაბალი კრიტერიუმიც. 100-დან 300 ლარამდე შემოსავლის მქონე სოფლის მაცხოვრებელ რესპონდენტთა 83.5 პროცენტმა და ქალაქის მაცხოვრებელთა 73.5 პროცენტმა საკუთარი ოჯახი საშუალო შეძლების მქონედ შეაფასა.

სიღარიბე ზეგავლენას ახდენს ფასეულობათა სისტემასა და განწყობების ფართო სპექტრზე, რაც ძირითადად გამოიხატება პესიმიზმში, დაქვეითებულ სოციალურ აქტიობაში, ცუდ ჯანმრთელობასა და სამედიცინო დახმარების იშვიათად გამოყენებაში; ასევე, სოციალური უთანასწორობის, კორუფციის და ხელისუფლების მხრიდან დისკრიმინაციის - მეტი სიმწვავეით განცდაში.

ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა ზემოქმედებას



ახდენს შეფასებებზე - ის, ვინც თავს ღარიბად მიიჩნევს, ფიქრობს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო ხუთ წელიწადში გაუარესდა და უახლოეს ხუთ წელიწადში არც მის გაუმჯობესებას ელოდება.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები ძალიან დიდ უიმედობას ამჟღავნებენ ზოგადად საქართველოს სახელმწიფოს მომავლის მიმართ. შეკითხვაზე, დგას თუ არა საქართველო განვითარების სწორ გზაზე, მხოლოდ 14.0 პროცენტმა გასცა დადებითი პასუხი, მაშინ როდესაც 54.0 პროცენტის აზრით, ეს გზა არ არის სწორი. შესაბამისად, არა-ღარიბი რესპონდენტები ღარიბებზე უფრო ნაკლებად კრიტიკულები არიან.

დემოკრატიული საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა გაპირობებული როგორც მოსახლეობის მხრი-

დან სახელმწიფო დანესებულებების და ოფიციალური სტრუქტურების მიმართ ნდობით, ასევე თვით მოქალაქეთა ურთიერთნდობით. საზოგადოდ, ნდობის დონე მოსახლეობაში ძალზე დაბალია. ნდობა ძალზე მცირეა სახელმწიფო დანესებულებების, პარლამენტის, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. რესპონდენტები შედარებით მეტად ენდობიან მედიას. ღარიბები საზოგადოდ არა-ღარიბებზე უფრო ნაკლებ ნდობას ამჟღავნებენ.

სიტუაციას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 90.4 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებაში მყოფნი თავიანთი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, და რომ მათ ნაკლებად აინტერესებთ მოსახლეობის კეთილდღეობა. ამგვარი დამოკიდებულება გამოხატა შესაბამისად ღარიბთა 93.7

პროცენტმა და არა-ღარიბთა 88.6 პროცენტმა.

გამოკითხვის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა მიაჩნია მოსახლეობას ქვეყნის ყველაზე მწვავე პრობლემად, და ასევე რა - მოსალოდნელ საფრთხედ. კითხვარში მოცემული სიიდან რესპონდენტებს უნდა შეერჩიათ საქართველოს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი პრობლემები. უმუშევრობა, კორუფცია და ხელფასების ოდენობა ყველაზე ხშირად დასახელდა ასეთებად (72.4, 62.7 და 52.9 პროცენტები შესაბამისად).

საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების სიმწვავეს განსხვავებულად აღიქვამენ ღარიბები და არა-ღარიბები. განსაკუთრებით დიდია ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება (27.6 პროცენტი) კორუფციასთან მიმართებაში.

გამოკითხულები ასევე აფასებდნენ იმ ხიფათებს, რომელიც შესაძლოა საქართველოს უახლოეს ხუთ წელიწადში დაემუქროს. ამავე დროს, განსხვავება ღარიბებსა და არა-ღარიბებს შორის ცალსახად მიუთითებს ღარიბების მიერ მოვლენების შედარებით პესიმიზმურ ხედვაზე.

კორუფცია ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული საქართველოს განვითარების ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ პირობად. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ გამოკითხულთა 62.7 პროცენტმა იგი საქართველოს ყველაზე მწვავე პრობლემად დასახელდა. კორუფციის საფუძველი უნდა ვეძიოთ როგორც საბჭოურ მემკვიდრეობაში, ასევე დღევანდელ ეკონომიკურ რეალობასა და მოსახლეობის კორუფციისადმი მიმტევებლურ დამოკიდებულებაში.

მართლაც, მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედს სჯერა, რომ დღევანდელ საქართველოში პატიოსანი შრომით შესაძლებელია ცხოვრების ნორმალური დონის მიღწევა, 62.1 პროცენტს კი ეს შეუძლებლად მიაჩნია. შესაბამისად, არა-ღარიბთა 72.4 პროცენტს შეუძლებლად მიაჩნია პატიოსანი შრომით ეკონომიკური წარმატების მიღწევა.

მოთხოვნაზე - ჩამოთვლილი ხუთი სტრუქტურული (საბაჟო, პოლიცია, სასამართლო, პროკურატურა და საავადმყოფო) - შეერჩიათ ერთი, რომელიც ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა, უმრავლესობამ (72.9 პროცენტი) შეარჩია საბაჟო, რაც ამ სტრუქტურაში ქრთამის მიღების საუკეთესო შესაძლებლობაზე მიუთითებს. მეორე სტრუქტურა, პოლიცია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება საბაჟოს.

მოსახლეობა ძალზე შემოკლებულია ურთიმინალური სიტუაციით და უპირველეს ყოვლისა კორუფციის მასშტაბებით. კორუფცია, სიღარიბესთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად (დაბალი ხელფასები, უმუშევრობა) საქართველოს განვითარების ყველაზე დიდ საფრთხედ არის აღქმული და მისი მოგვარება დაუყოვნებლივ მოქმედებებს მოითხოვს.

გერმანიის გამოცდილება

ვაგრძელებთ წერილების სერიას ლემუკ ბალცეროვიჩის წიგნიდან „თავისუფლება და განვითარება“. ამჯერად გვინდა გავაცნოთ ევროპის უდიდესი სამრეწველო ქვეყნის, გერმანიის გამოცდილება.

„საზოგადოებრივი საბაზრო ეკონომიკის“ კონცეფცია თავის პრაქტიკულ - ეკონომიკურ საქმიანობას საფუძვლად დაუდო 1949 წლიდან გფრ-ს ეკონომიკის მინისტრმა და ასევე კანცლერმა 1949-66 წლებში, ლუდვიგ ერჰარდმა. „საზოგადოებრივი საბაზრო ეკონომიკა“ არასოდეს ყოფილა ინტერპრეტირებული როგორც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის უარყოფა. ვალტერ ოიკენს, რომელიც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის ყველაზე დიდი გერმანელი ეკონომისტის სახელით სარგებლობდა, ამ ეკონომიკური თეორიის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნდა: კერძო საკუთრება, თავისუფალი კონკურენცია, ხელშეკრულებათა გაფორმების თავისუფლება და ეკონომიკური სტაბილიზაცია. მისთვის ყოველივე ეს წარმოადგენდა სწრაფი ეკონომიკური განვითარების საფუძველს. იგი სახელმწიფოს როლს ხედავდა მონოპოლიური გაერთიანებებისათვის წინ აღდგომაში, გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ. მისი აზრით, სახელმწიფომ უნდა შექმნას საწარმოების საქმიანობის ძირითადი ჩარჩოები, იზრუნოს ადამიანთა უფლებათა დაცვაზე, ქვეყანაში ისეთი წესრიგის დამყარებაზე, რომლის პირობებშიც საბაზრო ეკონომიკა წარმატებით განვითარდებოდა, ბაზრის გახსნაზე, რათა ხელი არ შეშლოდა კონკურენციის განვითარებას და ა.შ. ეროვნული ვალუტის სიმტკიცეზე ზრუნვა დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის ფუნქცია უნდა გამხდარიყო. ყოველივე ამის იქით სახელმწიფოს, ეუცეკის აზრით, ეკონომიკაში არაფერი უნდა ესაქმებოდეს, ეკონომიკური პროცესების დარეგულირება ბაზრის ფუნქცია უნდა გახდეს. ანალოგიური შეხედულებები ჰქონდა ლუდვიგ ერჰარდსაც.

„საზოგადოებრივი საბაზრო ეკონომიკის“ თავდაპირველი კონცეფცია შეიძლება დაყვანილი იქნეს ორ ძირითად პრინციპამდე: 1. კერძო ინიციატივისა და კონკურენციული საბაზრო ეკონომიკისათვის ინსტიტუციონალური და მონეტარული ხელშემწყობი პირობების შექმნა; 2. ეკონომიკური განვითარებისათვის უპირატესობის მიცემა რედისტრიბუციასთან შედარებით. მაშ, რაში მდგომარეობდა ამგვარი მეურნეობის „საზოგადოებრიობა“? ოიკენის აზრით, საბაზრო ეკონომიკა თავისი ბუნებით საზოგადოებრივია, რადგან მისი არსებობა შეუძლებელს ხდის მწარმოებელთა მონოპოლისტური პოზიციების შექმნასა და გამოყენებას, ხოლო ერჰარდისათვის საბაზრო ეკონომიკა მით უფრო საზოგადოებრივი ხდებოდა, რაც უფრო თავისუფალს წარმოადგენდა იგი. ამ

კონცეფციის მთავარი შემოქმედნი სახელმწიფოსათვის ეკონომიკაზე აქტიური მეურვის ფუნქციის მინიჭების წინააღმდეგნი იყვნენ. 1956 წელს ლუდვიგ ერჰარდი წერდა: „ეკონომიკური თავისუფლება და იძულებითი ხასიათის ტოტალური სოციალური უზრუნველყოფა, ერთმანეთს ვერ ეგუებიან“.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ „საზოგადოებრივი“ საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია არსებითად ნიშნავს თავისუფალ საბაზრო, ლიბერალურ კაპიტალიზმს, რომელსაც ავსებს სახელმწიფოს ისეთი ფორმით საქმიანობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი დინამიური განვითარება და შეარბილოს (თუ ბოლომდე ვერ აღმოფხვრის) თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებით გამოწვეული ზოგიერთი საზიანო შედეგი (მაგალითად, ბუნების დაუცველობა და სხვ.). ამასთან, სახელმწიფოს ამგვარი ჩარევა საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში უნდა ჩატეულიყო გონივრული ინტერვენციონალიზმის ფარგლებში. ლოგიკური თვალთახედვით, ეს ტერმინი ტიპიური ნიშნულია პლეონაზმისა, დაახლოებით ისეთი, როგორც არის მაგალითად, კარაქიანი კარაქი, წყლიანი წყალი და სხვ. იგი დასავლეთის ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის წლებში შემოვიდა ხმარებაში. მაშინ როგორც პოლიტიკოსების აზროვნებაში, ისე საერთოდ, საზოგადოების ცხოვრებაში, ძლიერ იყო გამჯდარი შეხედულება, რომლის მიხედვითაც კაპიტალიზმმა ვერ გაამართლა. ამგვარი შეხედულების ჩამოყალიბებაზე 30-იანი წლების დიდი კრიზისის ხსოვნაც ახდენდა თავის გავლენას, რომელსაც არასწორად მიახერხდნენ თავისუფალი, კონკურენტული კაპიტალიზმის მომხრეებს და არა სახელმწიფოს ინტერვენციის მცდარ პრაქტიკას. ამაზე არნაკლებ გავლენას ახდენდა საბჭოთა კავშირის თავბრუსხვევითი წარმატებები სამხედრო აღმშენებლობის სფეროში. ამგვარ სიტუაციაში ძალზე პოპულარული გახდა მრეწველობის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციისა და ეროვნული მეურნეობის მთელი მასშტაბით დაგეგმვის პრაქტიკის შემოღების მოთხოვნები. ამ პერიოდში სახელმწიფოსათვის მეურვის ფუნქციის გაძლიერება ძალზე შემოვიდა მოდაში. ასეთ პირობებში ლიბერალური ეკონომისტები იძულებულნი გახდნენ გარკვეულად დაყოლოდნენ დინებას და პრაქტიკაში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გადასარჩენად გადანყვიტეს, რომ, როგორც მე ვფიქრობ, ეკონომიკური კატეგორიებით ერთგვარი მანიპულაციისათვის მიემართათ. ეს, მათი აზრით, საზოგადოებრივ აზრს შეუქმნიდა ხელოვნურ დისტანციას მათ მიერ შეთავაზებულ კაპიტალიზმსა და უკვე რეალურად არსებულ კაპიტალიზმს შორის. ვფიქრობ, ანალოგიურ მეთოდს მიმართეს რეფორმატორებმა სოციალისტურ ქვეყნებშიც, როდესაც ისი-

ნი ტერმინით „სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა“, ცდილობდნენ ამ ქვეყნებში დაენერგათ კაპიტალისტური სისტემის ნამცეცები. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ „საზოგადოებრივი საბაზრო ეკონომიკის“ თავდაპირველმა კონცეფციამ საკუთარი ცხოვრება დაიწყო. ამასთან, ტერმინმა „საზოგადოებრივი“ სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია შეიძინა.

გერმანული ეკონომიკური სასწაული

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ გფრ-ს. 1948 წლის შემდგომ ამ ქვეყნის ეკონომიკაში მკვეთრი ცვლილებები განხორციელდა, თუმცა, მას კვლავინდებურად „საზოგადოებრივ საბაზრო ეკონომიკად“ მოიხსენიებდნენ. 1949-1962 წლებში იგი განსაკუთრებით ახლოს იყო იმ თავდაპირველ ფორმასთან, რომელიც მას მისმა ავტორებმა მიაჩნტეს. ეკონომიკა მკაცრად ლიბერალური კანონების შესაბამისად ფუნქციონირებდა, იყო მსოფლიოს მიმართ გახსნილი, სოციალური ტვირთი გაცილებით ნაკლებ ამძიმებდა ეკონომიკას, ტარდებოდა უჩვეულოდ დისციპლინირებული და მკაცრი საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკა, გაცილებით გონივრულად და თავდაჭერილად იქცეოდნენ პროფკავშირები, რეალური ხელფასი იზრდებოდა გაცილებით ნელი ტემპებით, ვიდრე შრომის ნაყოფიერება. ყოველივე ეს კი საშუალებას აძლევდა სანარმოებო გაეზარდათ მოგება, შეექმნათ ახალ-ახალი სამუშაო ადგილები და დაესაქმებინათ მუშა-ხელი. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკური ზენოლის შედეგად, ეკონომიკაში გამოჩნდა ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომლებიც მკვეთრად აფერხებდნენ მის წინსვლას და რომელთა წინააღმდეგაც მკვეთრად გამოდიოდა ერჰარდი. იგი მაგალითად, ეწინააღმდეგებოდა იმას, რომ გერმანულ სანარმოებში ჩამოყალიბებულიყო მუშათა კომიტეტები. ერჰარდი მომხრე იყო მეტი თავისუფლება მისცემოდა საცხოვრებელი ბინების ბაზარს და მხარს არ უჭერდა ამ სფეროში ძლიერ სახელმწიფო კონტროლს, რომელიც აფერხებდა კერძო ინვესტიციებს სამშენებლო სექტორში და ა. შ.

გერმანული ეკონომიკის სოციალური ასპექტებით დატვირთვა 1949-62 წლებში ჯერ კიდევ არ ყოფილა ასე თვალსაჩინო, ამასთან იმანაც, რაც იყო, თავისი უარყოფითი გავლენა უფრო გვიან მოახდინა. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ზემოთ აღნიშნულ პერიოდში გფრ ეკონომიკა ისეთი მაღალი ტემპებით ვითარდებოდა, რომ „გერმანული ეკონომიკური სასწაულის“ სახელიც კი დაიმკვიდრა. კერძოდ, ამ პერიოდში ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) გაიზარდა წელიწადში საშუალოდ რვა პროცენტით (ამ პერიოდში მხოლოდ იაპონია ვითარდებოდა უფრო სწრაფი ტემპებით), ინფლაცია ორ პროცენტს არ აღემატებოდა, ხოლო უმუშევრობა 2,2 პროცენ-

ტის ტოლი იყო.

ამგვარი განმაცვიფრებელი მაჩვენებლები მხოლოდ ქვეყნის შიდა პოტენციალის შედეგი როდი იყო. მას თავისი სერიოზული საგარეო წყაროებიც გააჩნდა. კერძოდ, ეს იყო ფინანსური და მატერიალური დახმარებები, რომელიც ხორციელდებოდა მარშალის გეგმის საფუძველზე (ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით ეს გაცილებით მცირე იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მცხოვრებთათვის განეული დახმარებები). გერმანიის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ასევე მსოფლიოში გაუმჯობესებული კონიუნქტურაც, რაც ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში აღინიშნებოდა. თუმცა, არავინ არ კამათობს იმაზე, რომ გფრ ამ წარმატებებში უპირატესი წვლილი მიუძღვის თავად ამ ქვეყნის სამეურნეო სისტემას, ანუ ეგრეთწოდებულ „საზოგადოებრივს“, თუმცა პრინციპში - ლიბერალურ კაპიტალიზმს.

ეკონომიკური სასწაულის დასასრული

თუკი „ეკონომიკური სასწაულის“ ქვეშ ვიგულისხმებთ ეკონომიკის სწრაფი ტემპებით ზრდას, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ეს სასწაული გფრ-ში 60-იანი წლების დასაწყისში დასრულდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 50-იან წლებში ამ ქვეყნის მშპ იზრდებოდა წელიწადში საშუალოდ რვა პროცენტით (ამ პერიოდში მხოლოდ იაპონია ვითარდებოდა უფრო სწრაფი ტემპებით), შემდგომ პერიოდში, ანუ 1960-69 წლებში ეკონომიკურმა ზრდამ აქ მხოლოდ 4,8 პროცენტი შეადგინა. გფრ-ს ამ პერიოდშიც უსწრებდა იაპონია (10,5%), მაგრამ მასთან ერთად გფრ-ს უსწრებდნენ ევროპის და ამერიკის სხვა ქვეყნებიც: ესპანეთი (7,5%), საფრანგეთი (5,8%), იტალია (5,7%), კანადა (5,6%) და ჰოლანდია (5,1%). 70-იან წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპები შენედა და 2,8 პროცენტს გაუტოლდა. ახლა ამ მაჩვენებლით გფრ ჩამორჩებოდა იაპონიას (4,9%), კანადას (5,6%),

ესპანეთს (3,8%), საფრანგეთს (3,7%), იტალიასა და ჰოლანდიას (3,2%) და შეერთებულ შტატებს (3%). 80-იან წლებში გერმანიაში თითქოს გარკვეულად გამოსწორდა ეკონომიკური ვითარება, თუმცა მისი ეკონომიკური ზრდის ტემპები კვლავ ჩამორჩებოდა იაპონიისა და დიდი ბრიტანეთის ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს უკანასკნელი ამ პერიოდამდე მიჩნეული იყო დასავლეთ ევროპის ავადმყოფ ნევრად და მხოლოდ მარგარეტ ტეტჩერის რეფორმების შედეგად დაჩქარდა მისი ეკონომიკური ზრდის ტემპები. 1992-1993 წლებში გერმანიაში მკვეთრი ეკონომიკური დაცემა შეინიშნებოდა.

ორმოცდაათიანი წლების დასავლეთ გერმანიის სამეურნეო განვითარებაში დაფიქსირებული „ეკონომიკური სასწაულის“ პირველ ეტაპზე შესამჩნევი იყო სამი ეტაპი. 60-იანი წლების დასაწყისიდან 1982 წლამდე თვალშისაცემი იყო ლიბერალური ეკონომიკის თავდაპირველი მოდელის გარკვეული ეროზია. ნაცვლად სტრატეგიისა, რომელიც სახელმწიფოს მიერ მეურნეობის განვითარებისათვის შესაბამისი ინსტიტუციონალური ჩარჩოების ფორმირებას გულისხმობდა, წინა პლანზე წამოიწია გლობალური მოთხოვნილების მართვის კეისისიანურმა თეორიამ. ამგვარი რადიკალური ცვლილებების ავტორი იყო პროფესორი კარლ შილერი, 1966-72 წლებში ამ ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი. თავდაპირველად იგი სოციალური მიზნებისათვის საბიუჯეტო ხარჯების გაზრდის წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდეგ, 1972 წელს, იგი დაჰყვა ხელისუფლების ნებას. ამის შედეგად მკვეთრად გაიზარდა საბიუჯეტო ხარჯები. კერძოდ, თუ 1950 წელს საბიუჯეტო ხარჯები ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მიმართ 31,3 პროცენტს შეადგენდა, 1965 წელს იგი 37,1 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 1965 წელს მან 50 პროცენტს მიაღწია. ახლა საბიუჯეტო შემოსავლების უდიდეს ნაწილს პოლიტიკოსები და ბიუროკრატები ანაწილებდნენ. ეს განსაკუთრე-

ბაზრძილება D12 გვირდვა



გერმანიის გამოცდილება

011 გვირგვინი

ბით სოციალური ხარჯების ზრდის გამო ხდებოდა. თუმცა, ამ პერიოდში იზრდება ასევე სხვა საბიუჯეტო ხარჯებიც, მაგალითად, აგრარული სექტორის, ქვანახშირის მოპოვება-გადამუშავების, გემთმშენებლობის და ა. შ. სუბსიდირება (კერძოდ, ეს მაჩვენებელი 1960 წლის 1,8 პროცენტთან 1980 წელს ბიუჯეტის ოთხ პროცენტამდე გაიზარდა). ყოველივე ეს აფერხებდა სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში, რაც გარკვეულწილად გახდა 70-იანი წლების მეორე ნახევარში უმუშევრობის ზრდის მიზეზი.

ყოველივე ამან აიძულა ქვეყნის მთავრობა გადაეხედა და შეეცვალა ეკონომიკური პოლიტიკა. შედეგად, მსგავსად სხვა დასავლეთ ევროპული ქვეყნებისა, აქაც უარი თქვეს კეინსიანურ თეორიაზე, რომლის მიხედვითაც მოთხოვნა სახელმწიფო მასშტაბით უნდა დარეგულირებულიყო, რაც აშკარად ხელს უშლიდა სათანადო მონეტარისტული პოლიტიკის გატარებას. აღნიშნულის და ზოგიერთი სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მშპ-ს მიმართ 50 პროცენტთან 1982 წელს 45,3 პროცენტამდე დაეცა 1989 წელს. ამასთან, გადასახადების ასეთმა მოულოდნელმა შემცირებამ ბიუჯეტის დეფიციტი გამოიწვია. მოკლედ, გატარებული ღონისძიებების შედეგად 1990 წელს, ანუ დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანიის გაერთიანების წელს, წარმოშობილი საბაზრო ეკონომიკა უკვე ნაკლებად ჰგავდა 50-იანი წლების „საზოგადოებრივ“ ეკონომიკას, რომელმაც ამ ქვეყანაში „ეკონომიკური სასწაული“ გამოიწვია. ამასთან ერთად, ხელსაყრელმა გარეგანმა პირობებმა, და განსაკუთრებით დოლარის მაღალმა კურსმა, რომელმაც აამაღლა გერმანული საქონლის კონკურენტუნარიანობა, მნიშვნელოვანწილად გადაფარა ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური, განსაკუთრებით სტრუქტურული, პრობლემები.

გაერთიანების „შოკი“

გერმანული ეკონომიკის ზემოაღნიშნული სისუსტეები დღის სინათლეზე გამოვიდა „გაერთიანების შოკთან“ დაკავშირებით 1989 წლის შემდეგ. ამ პერიოდში აღმოსავლეთ გერმანიაში ამოქმედდა თავდაპირველი ვერსიისაგან სრულიად განსხვავებული „საზოგადოებრივი“ საბაზრო ეკონომიკის ვერსია. კერძოდ, იგი გულსისხმობდა სოციალური ხარჯების ზრდას, რომლის უმთავრეს წყაროსაც დასავლეთ გერმანიის ეკონომიკა, ამ ქვეყნის გადასახადის გადამხდელები წარმოადგენდნენ. წარმოშობილ სიტუაციაში გფრ ხელისუფლებას მანევრირების ძალზე შეზღუდული სივრცე ჰქონდა: სოციალური დახმარებების მასშტაბების შემცირება გერმანიაში ემიგრაციის ტალღების შენელებას გამოიწვევდა,

ხოლო სპეციალური ბარიერების შექმნა მათ წინააღმდეგ პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებელი იყო გერმანიის ხელისუფლებისათვის. ყოველივე ამან შედეგად გერმანიის ეკონომიკის „გადაჭარბებული სოციალიზაცია“ გამოიწვია. ეს განსაკუთრებით იმის გამო მოხდა, რომ ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (გდრ) გადატანილი იქნა მოდელი, რომელმაც მანამდე არც ერთ ქვეყანაში არ გაამართლა.

გარდა ამისა, ჯერ ყოფილ გდრ-ს, ხოლო შემდეგ ფფრ-ს, ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა შრომის ანაზღაურების მკვეთრმა ზრდამ. ამას თან დაერთო ასევე აღმოსავლეთგერმანული ეკონომიკისათვის მიუღებელი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ფულის ერთეულის 1:1-ზე გადაცვლა. სხვა ნორმალურ პირობებში ეს აუცილებლად გამოიწვევდა უეცარ ინფლაციას და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკის დესტაბილიზაციას. მაგრამ აღმოსავლეთ გერმანიაში გატარდა მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, რომელსაც ბუნდესბანკი უმაგრებდა ზურგს. ასე გარემოებაში შრომის ანაზღაურების მაჩვენებლის გაზრდას, რომელიც სრულიად მოწყვეტილი იყო შრომის ნაყოფიერების ზრდის დინამიკას, შეეძლო ამ ქვეყნის ეკონომიკის განადგურება გამოეწვია. ყოფილ გდრ-ში ეს ასე იმიტომ არ მოხდა, რომ გფრ უდიდესი მოცულობის ფინანსური სახსრები გადაურიცხა აღმოსავლეთ გერმანიას – წელიწადში 180 მილიარდი გერმანული მარკა!..

ცხადია, ყოველივე ამის საფასური დასავლეთგერმანელ მოქალაქეებს უნდა გადაეხადათ. ამიტომ მიუხედავად კანცლერ კოლის წინასაარჩევნო დაპირებებისა, რომელიც მან თანამოქალაქეებს 1989 წელს მისცა, შეუძლებელი იყო გადასახადების გაზრდის გარეშე ამგვარი ღონისძიებების გატარება. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის დეფიციტი ჰელმუტ კოლის მთავრობამ მაინც ვერ აირიდა თავიდან 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც ეს მაჩვენებელი ნული პროცენტთან 1993 წელს შვიდ პროცენტამდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანიის მთავრობას დიდი მოცულობით სესხები უნდა აეღო ქვეყნის შიგნითა თუ საზღვარგარეთ. 1990-1991 წლების ეკონომიკური ზრდის გამოცოცხლების შედეგად, რაც ძირითადად გამოიწვია სწრაფად გამდიდრებული აღმოსავლეთ გერმანელების (დასავლეთ გერმანელების ხარჯზე) მიერ მოხმარების მაჩვენებლების გაზრდამ, 1992-93 წლებში გერმანიაში ეკონომიკური დაქვეითების პროცესები დაიწყო.

მაშინ გერმანელმა მეცნიერ-ეკონომისტებმა კვლავ დაიწყეს ფიქრი და საუბარი იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკა ზედმეტად „სოციალიზირებული“ და „დარეგულირებული“ იყო. ყოველივე ამის უმთავრეს მიზეზებად მიჩნეული იქნა მეტისმეტად მაღალი შრომის ანაზღაურება, საგა-



ჰელმუტ კოლი

დასახადო დანარიცხები ხელფასებზე, საპენსიო სისტემით გამოწვეული ფისკალური კრიზისი, ხისტი შრომის ბაზარი და სხვ. რედისტრიბუციის დონემ ისეთ სიმალლეს მიაღწია, რომ ლუდვიგ ერჰარდის ფრთოვანი გამოთქმა რომ ვისმართ: „თითოეულ ადამიანს სხვა ადამიანის ჯიბეში აქვს გამოდმებით ხელი ჩაყოფილი“. ამის შედეგი იყო ის, რომ 1980 წლიდან 1993 წლამდე გერმანიის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო დასავლეთის შვიდ ყველაზე განვითარებულ ქვეყანას შორის.

გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, გერმანიის ეკონომიკის ნელი ტემპებით განვითარებას ხელს უწყობდა ისეთი მიზეზებიც, როგორცაა გარკვეული ბანკების მჭიდრო კავშირები საწარმოთა ჯგუფთან, ბირჟების დაკნინებული როლი ეკონომიკაში, პროფესიონალური განათლების განვითარების დაბალი დონე და ა.შ. თუმცა არავინ არ დავობს იმაზე, თუ როგორ დადებით როლს ასრულებს გერმანიის ეკონომიკის განვითარებაში ბუნდესბანკის დამოუკიდებლობა და მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობა.

სოციალური დახმარებების სისტემის მასშტაბების მეტისმეტად გაფართოებამ როგორც საერთოდ და ყველგან, - მიუხედავად შრომის კულტურის მაღალი დონის და მკაცრი დისციპლინირებულებისა, გერმანიაშიც თითქმის პათოლოგიამდე მისული მოვლენები გამოიწვია. ამან გერმანულ ენაში ახალი ტერმინიც კი დაამკვიდრა Sozialbetrun, რაც დაუმსახურებელი სოციალური დახმარებების მიღებას ნიშნავს. ამგვარად სახელმწიფო

წელიწადში საშუალოდ 10 მილიარდ მარკამდე კარგავს. გარდა ამისა, მაღალი გადასახადების მიზეზით გერმანიიდან საზღვარგარეთ გადის დიდი რაოდენობით კაპიტალი. ამასთან, გერმანელ გადასახადის გადამხდელთა მაღალი პროტესტის ფორმას ქვეყნის საგადასახო სისტემის მიმართ წარმოადგენს ისიც, რომ მათ ჩანთებითა და ჩემოდნებით გერმანული მარკები ლუქსემბურგის ბანკებში გადააქვთ, სადაც ჯერჯერობით დაცულია საბანკო საიდუმლოება. გამოთვლილია, რომ გერმანელებს ლუქსემბურგის ბანკებში დეპონირებული აქვთ 150 მილიარდი მარკა. როგორც ანკეტური გამოკვლევებით ირკვევა, გერმანელთა ორ მესამედს ფულის ამგვარი შენახვა არა დანაშაულებად მიაჩნია. ყოველივე გერმანელ ობიგატელთა იმ მენტალიტეტის შედეგია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ადამიანების ცხოვრებისათვის ყველა აუცილებელი სახსარის მოსაპოვებლად.

წყაროებისაკენ დაბრუნება?

გერმანიაში უკვე შეინიშნება არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებისადმი სწრაფვა. ეს იმაში გამოიხატება, რომ სისტემატურად მცირდება უმუშევართათვის სოციალური დახმარებების ზომები და მასშტაბები, გაიზარდა საპენსიო ასაკი, სრულიად სხვა შეხედულებაა დამკვიდრებული ეკონომიკის იმ სფეროების მიმართ, რომლებიც ადრე თავისუფალ კონკურენციას არ ექვემდებარებოდნენ (მაგალითად, კავშირგაბმულობა), მიმდინარეობს პრივატიზების

პროცესები ტელეკომუნიკაციების სფეროში. თუ აღნიშნული პროცესები მომავალში შეწყდება, როგორც გერმანელი ექსპერტები აცხადებენ, ქვეყნის ეკონომიკას სული აღმოხდება „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ სიმძიმის ქვეშ.

კიდევ უფრო რადიკალური რეფორმები ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკის მიკრო დონეზე. ახლა გაცილებით მოზომილად მოქმედებენ ამ ქვეყნის პროფკავშირები. ამის შედეგად, 1993 წლიდან დაიწყო გერმანიაში დამზადებული საქონლის შრომატევადობის მაჩვენებლის შემცირება, რაც სასიკეთოდ წაადგა გერმანული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ასევე სანარმოების მოგების ზრდას.

როგორც ჩანს, გერმანელები, უკვე მდიდრები და ძლიერნი, ამაღლებენ თავიანთი ეკონომიკის ეფექტურობის დონეს და ცდილობენ დაუბრუნდნენ იმ ლიბერალურ პრინციპებს, რომლებმაც მათ წლების წინათ „ეკონომიკური სასწაულის“ განხორციელება შეაძლებინა.

სოციალიზმი გდრ-შიც გაკოტრდა

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მრავალი დამკვირვებლისათვის გდრ იყო იმის მაგალითი, რომ სოციალიზმს ასე თუ ისე შეუძლია არათუ მხოლოდ წინსვლა-განვითარება, არამედ ისეთი სარგებლობის მოტანაც კი, რომელიც არ ხელეწიფება კაპიტალიზმს: ძალზე იაფი (დისლურსათო პროდუქტი, თითქმის მუქი დასვენება, სოციალური დახმარებების ფართო ქსელი და ა. შ. გდრ ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რაც თვალსაჩინო გახდა ამ სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, გამოავლინა, რომ საქმე ნამდვილად ასე არ ყოფილა. აღმოჩნდა, რომ გდრ-ს წარმატებები მხოლოდ ქალაქებზე ყოფილა დაფიქსირებული ერთ-ერთი ყველაზე ყალბი სტატისტიკური სამსახურის (რუმინეთის მსგავსად) მიერ. ამ მხრივ გდრ ნამდვილი „ქალაქის ვეფხვი“ იყო. გდრ-ში სოციალიზმი ძირმომარებელი იყო დასავლეთ გერმანიის ძლიერი, კაპიტალისტური მარკის მიერ. მათ გდრ-ში გზავნიდნენ ამ ქვეყნის ყოფილი მოქალაქეები, რომელთაც ემიგრაციის შემდეგ აქ ნათესავები დარჩენოდნენ. რომ არა ეს ფაქტორი, გდრ არანაკლებ გაკოტრებული ქვეყანა იქნებოდა, ვიდრე სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები. გდრ მომავლის ხარჯზე ცხოვრობდა. ამაზე მეტყველებდა კერძოდ ის, რომ აქ თითქმის არ რემონტდებოდა შენობები, ამის ნათელი მაგალითი იყო ისიც, რომ მიმდინარე ხარჯების დასაფარად, ქვეყანა იღებდა უდიდეს ვალს, რომელიც მომავალში იყო გადასახდელი (აღნიშნულმა მოვლენამ ფართო მასშტაბები მიიღო ოთხმოცდამეორე წლების პოლონეთშიც) და ა. შ.

კომიქსი - მასობრივი კულტურა თუ ხელოვნება ელიტიზმისთვის?

რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ფიზიკის სახელმძღვანელოს, დოსტოევსკის "იდიოტს", მაცივრით სარგებლობის ინსტრუქციას და სადომაზობისტურ პორნოჟურნალს? ამ კითხვაზე ყველაზე იოლად იაპონელები გასცემენ პასუხს, რადგანაც მათ ქვეყანაში იმდენად უყვართ კომიქსები, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილ ბეჭდვით პროდუქციას დიდი ხალისით აფორმებენ ამგვარი ნახატებით. მიუხედავად ამისა, კომიქსი ამომავალი მზის ქვეყნის შვილი სულაც არ გახლავთ. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში ორმა სახელგანთქმულმა გამოცემამ ერთდროულად დაუდო სათავე ყვითელი პრესისა და კომიქსების დაბადებას. ეს ნიუ-იორკში, 1895 წლის 17 თებერვალს მოხდა.

სოფო კვინტრადი

კომიქსის ადრეული წლები

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს კომიქსები პირველად გამოჩნდა ამერიკული პრესის საკვირაო დამატებების ფურცლებზე. 1895 წლის 17 თებერვალს სახელგანთქმული ჟურნალისტისა და გამომცემლის ჯოზეფ პულიტცერის გაზეთმა New York World-მა პირველად დაბეჭდა მხატვარ რიჩარდ ფელტონ აუთოქოლტის სასაცილო გმირის, "ყვითელი ბიჭის" (Yellow Kids) ნახატებით მოთხრობილი ისტორია. Yellow Kids-მა პირველივე დღიდან მკითხველის დიდი მონონება დაიმსახურა. მოგვიანებით, პულიტცერის კონკურენტმა გაზეთმა New York Journal-მა, რომელსაც უილიამ რენდოლფ ჰარსტი რედაქტორობდა, რიჩარდ აუთოქოლტის გადაბირება მოახერხა, ასე რომ, "ყვითელი ბიჭის" თავგადასავლები ახლა ამ გაზეთის ფურცლებზე გაჩნდა. ამგვარად, ეს ორი გაზეთი ერთმანეთს ეჯიბრებოდა. პულიტცერსა და ჰარსტს სასამართლო დავაც კი ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ რომელ გაზეთს ეკუთვნოდა "ყვითელი ბიჭი". სასამართლო იგი ორივეს კუთვნილებად გამოაცხადა, ამდენად, 1898 წლამდე ეს პერსონაჟი ნიუ-იორკის ნამყვანი გაზეთების ფურცლებს ამშვენებდა და არნახული პოპულარობით სარგებლობდა მკითხველში. სხვათა შორის, სახელი "ყვითელი პრესა", რაც სკანდალებსა და მსუბუქი გასართობი სტატიების მოყვარული პერიოდული გამოცემების მიმართ იხმარება, სწორედ ამ დროიდან მომდინარეობს. გაზეთებს, რომლებსაც "ყვითელი ბიჭის" თავგადასავლებს ბეჭდავენ, ყვითელი პრესა შეარქვეს. 1897 წელს, უილიამ რენდოლფ ჰარსტმა სპეციალური საკვირაო გაზეთი Sunday Journal-ი გამოუშვა, სადაც მხოლოდ კომიქსები ბეჭდებოდა და მისი ფასი ხუთი ცენტი გახლდა. ამ დროიდან მოყოლებული 1930-იან წლებამდე, ბევრი გამოცემა ბეჭდავდა თავის ფურცლებზე კომიქსებს – სასაცილო ნახატებით მოყოლილი ისტორიები, რომლებიც ძირითადად თანამედროვე ცხოვრებას ასახავდნენ. თანდათან, კომიქსები შინაარსობრივად უფრო მრავალფეროვანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან ბევრი მალევე დაიხურა, მათი პერსონაჟები დღემდე ახსოვთ,

ასეთები არიან პატარა ორფანანი, დიკ ტრეისი, პოპეი, მათი და ჯეფი, პატარა ნემო, ბასტერ ბრაუნი, რომელთა ისტორიებიც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ამავე პერიოდში გამოჩნდა ერთ-ერთი პირველი პერსონაჟი "სასაცილო ცხოველების" სერიიდან ეს გახლდათ ე.წ. "გადარეული კატა" (Krazy Kat), რომლის დებიუტი 1916 წელს ჯორჯ ჰერიმანის ყოველდღიურ გაზეთში The Family Upstairs-ში შედგა. ამის შემდეგ Chicago American-მა მათი და ჯეფის კომიქსების ბეჭდვა დაიწყო. ამ გმირებს არნახული წარმატება ხვდათ წილად.

პირველი კომერციული ცდები

1929 წლის იანვარში ჯორჯ დელაკორტემ, რომელიც გამომცემლად მუშაობდა New Fiction Company-ში, გამოუშვა The Funnies – კომიქსების ყოველკვირეული ჟურნალი, სადაც პირველად დაიბეჭდა პირველი ოთხფეროვანი კომიქსი. ჟურნალის ფასი 10 ცენტი იყო, მოგვიანებით, დელაკორტემ ფასი ხუთ ცენტამდე შეამცირა, თუმცა, ამ კომიქსის გამოცემა 36-ე ნომერზე შეწყდა. The Funnies-ის კომიქსების ერთ-ერთი ავტორი გახლდათ პირველი ქალი კომიქსების მხატვარი ვიქტორია პაზმინო. დელაკორტეს ჰქონდა პირველი ცდები დიდი რაოდენობით კომიქსების გაყიდვისა, მაგრამ პირველ ჯერზე ეს არც თუ ისე წარმატებული ბიზნესი აღმოჩნდა. თუმცა, ყველაფერი წინ იყო.

ამავე პერიოდში პრესაში უამრავი პოპულარული პერსონაჟი გაჩნდა. 1929 წელს მხატვარმა ჰალ ფოსტერმა ტარზანის კომიქსები დახატა. 1930 წელს კი, ორი წლის შემდეგ, რაც ხმოვან მულტფილმში გამოჩნდა, უოლტ დისნეის მიკი მაუსმა გაზეთის ფურცლებზეც გადაინაცვლა. დისნეის სტუდიის მხატვარი ფლოიდ გოტფრედსონი მიკი მაუსის კომიქსებს მთელი ოცი წლის მანძილზე ხატავდა, თუმცა, ყველა ნახატზე დისნეის ხელმოწერა იყო დატანილი. როგორც ამბობენ, მან 15 ათასზე მეტი კომიქსი დახატა. ასე დაედო სათავე საბავშვო კომიქსების ჟურნალებს, რომლებიც დღემდე დიდი წარმატებით გამოდის ევროპასა და ამერიკაში. 1931 წლის ოქტომბერში კი Chicago Tribune-მა დაიწყო ჩესტერ გულდის გმირის დიკ ტრეისის კომიქსების ბეჭდვა, რომელიც შთაგონებული იყო ადგილობრი-



პირველი კომიქსის პერსონაჟი - "ყვითელი ბიჭი"

ვი ბანდების ბრძოლებით. მეოცე საუკუნის ბოლოსათვის კომიქსები, რომლებიც მეომარი გმირების თავგადასავლებს ეძღვნება, აშშ-ში ძალიან მომრავლდა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. ამავე პერიოდში გაჩნდა სამეცნიერო-ფანტასტიკური შინაარსის კომიქსები სახელგანთქმული გმირით - ფლემ გორდონი. ასევე მომრავლდა დეტექტიური შინაარსის კომიქსებიც.

ბოლოს და ბოლოს კომერციული წარმატება

Eastern Color Printing Company-ს თანამშრომლებმა მაქს გეინსმა და ჰარი ვილდენბერგმა ტაბლოიდის ფორმატზე დიდი ზომის კომიქსები დაბეჭდეს და 32 გვერდიანი კომიქსების წიგნი გამოუშვეს. იგი 10 000 ეგზემპლარად გამოვიდა და Proctor and Gamble-ის პროდუქციასთან ერთად საჩუქრის სახით ვრცელდებოდა. ამ წარმატებით ნახალისებულმა გეინსმა დაარწმუნა Eastern Color Printing Company-ს ხელმძღვანელობა, რომ კვლავ გაეგრძელებინათ აქცია. მართლაც მათ 250 ათასამდე ეგზემპლარი გაავრცელეს რადიოსა და სხვადასხვა ფირმების საშუალებით. გამოცემას "კომიქსების საუკუნე" ერქვა, ეს იყო პირველი 100-გვერდიანი კომიქსების წიგნი. ამ წარმატებით ნახალისებულმა გეინსმა გადაწყვიტა, რომ უშუალოდ გაეყიდა "კომიქსების საუკუნე". მან აიღო რამდენიმე ასეთი საჩუქრად განკუთვნილი წიგნი, რომელსაც ფასი 10 ცენტი დაანერა და გასაყიდად გავცელების ცენტრში პარასკევს გაიტანა, როცა ორმაბათს მიაკითხა ყველა ეგზემპლარი გაყიდული დახვდა. Eastern Color-ი მიხვდა, რომ ამ ახალ პროდუქციას მყიდველი ნამდვილად გამოუჩნდებოდა. თუმცა, მარკეტინგში გამოუცდელეებმა ისევ ჯორჯ დელაკორტეს მიაკითხეს, რომელსაც პირველად ჰქონდა კომიქსების წიგნების გაყიდვის მცდელობა.



პოპულარული თანამედროვე კომიქსები

Eastern Color-მა Famous Funnies-ის ახალი სერია 35 ათას ეგზემპლარად დაბეჭდა. თითოეულის ფასი 10 ცენტი გახლდათ, მათი გაყიდვა კი დელაკორტეს მიანდეს. პირველ ხანებში დელაკორტე დამოუკიდებლად მუშაობდა კომიქსების გავრცელებაზე და საკმაოდ წარმატებითაც. შემდეგ კი უდიდესმა კომპანიამ "American News"-მა Eastern Color-თან კონტრაქტი დადო და ერთობლივი მუშაობაც დაიწყო. 1934 წლიდან ეს იყო პირველი ყოველთვიური კომიქსების ჟურნალი, რომელსაც Famous Funnies ერქვა. მეშვიდე ნომრის შემდეგ მან უკვე კომპანიისთვის მოგების

მოტანა დაიწყო. Famous Funnies ოცი წლის მანძილზე, 1955 წლამდე გამოდიოდა, მისი მაქსიმალური ტირაჟი 400 ათასი ეგზემპლარი გახლდათ.

მასობრივი კულტურიდან ხელოვნებამდე

კომიქსები, რომლებიც თავდაპირველად მასობრივი კულტურის ნაწილს შეადგენდნენ, ბევრ ქვეყანაში უკვე ელიტარულ ხელოვნებად გადაიქცა. რუსეთში კი კომიქსი ეს-ესაა ფეხს იკიდებს. სახაროვის სახელობის ბაზრძილვა D14 ბავარდვა

კომიქსი - მასობრივი კულტურა თუ ხელოვნება ელიტიზმის?

D13 ბავარდიდან

საგამოფენო დარბაზში რუსული კომიქსების ფესტივალი "კომიქსია-2003" წელს მეორედ ტარდება. შარშანდელი ფესტივალი საკმაოდ სპონტანურად და მოუზადებლად ჩატარდა, მოყვარულმა მხატვრებმა, პატარა საგამოფენო დარბაზში კედლებზე თავიანთი კომიქსები გამოფინეს, ეს იყო და ეს. წელს მდგომარეობა შეიცვალა, ფესტივალმა ფიურიც კი გაიჩინა, რომელმაც 120 ნამუშევრიდან მხოლოდ 70 შეარჩია საკონკურსოდ. ფესტივალს საფრანგეთიდან სტუმრები ეყოლება, რომელთა შორის კომიქსების ფრანგული სკოლის დიდოსტატებიც იქნებიან. სტუმრები თავიანთ გამოცდილებასა და მიღწევებს გააცნობენ და რუს თვითნასწავლ მხატვრებს მასტერ კლასებს ჩაუტარებენ. ამგვარი ფესტივალები კარგა ხანია მსოფლიოში მსხვილ კულტურულ ღონისძიებებად იქცა.

რუსეთში კომიქსი ჯერ კიდევ ალიქმება, როგორც კარიკატურისა და ანიმაციის სახეობა. დასავლეთში კი იგი დიდი ხანია ხელოვნების დამოუკიდებელ ჟანრად ითვლება. ეს 60-იანი წლების ბოლოს მოხდა, როცა პოსტ-მოდერნიზმმა ყველა ჟანრობრივი საზღვრები გადალახა და მასობრივ კულტურას გზა გაუხსნა ელიტარული ხელოვნებისაკენ. 50-იანი წლების ბოლოს ამერიკაში გამოჩნდა ე.წ. იატაკქვეშა კომიქსი, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ეროტიკული სცენებისა და ძალადობის შემცველ ნახატებზე მკაცრი ცენზურა შემოიღეს. მინისქვეშა კომიქსი დამოუკიდებლად ვითარდებოდა სამომხმარებლო გემოვნების გათვალისწინების გარეშე და ამდენად საკმაოდ დაშორდა იმ სტანდარტულ პროდუქციას, რასაც ბაზრის მონსტრები DC Comics-ი და Marvel-ი ქმნიდნენ. კომიქსი შინაარსობრივად გაიზარდა და აქტუალური კულტურის შემადგე-

ნელ ნაწილად იქცა. მხატვარმა რობერტ კრამბმა, რომელიც გახლავთ ავტორი ცნობილი კომიქსისა კატა ფრიცი, თავისი კომიქსებით ჯენის ჯოპლინის ფირფიტა Cheap Thrills-ი გააფორმა. ასევე შექმნა ჯიმი ჰენდრიქსის ჰიტის Purple Haze-ის კომიქს-ვერსია. კომიქსების აღქმა მთელი სერიოზულობით დაიწყო მას შემდეგ, რაც 70-იანი წლებში გამოვიდა არტ შიგელმანის სერიალი "თავი". ეს იყო პოლონელი ებრაელი მხატვარი, რომელმაც გერმანული საკონცენტრაციო ბანაკები გამოიარა, მან შექმნა მთელი ეპოპეა ჰოლოკასტისა, სადაც ებრაელ თავგებზე გერმანელი კატები ნადირობენ, რომელთაც პოლონელი ღორები ეხმარებიან. მოგვიანებით კომიქსმა დატოვა ჟურნალ-გაზეთები და არტ სალონებსა და სერიოზულ გამოცემებში გადაინაცვლა. ამჟამინდელი კომიქსები გამოიცემება მსხვილი ალბომების სა-

ხით, იყიდება ხელოვნების მაღაზიებსა და ინახება სპეციალურ ბიბლიოთეკებში. 80-იანი წლების ბოლოს სერიოზული კომიქსური კულტურის ცენტრები ამერიკიდან ევროპაში გადმოვიდა, სადაც ჟანრის უდიდესი წარმომადგენლები მოღვაწეობენ: იტალიელი მილო მანარი, ფრანგები მეტიუსი და ლუაზელი. საფრანგეთში კომიქსების ინდუსტრიას სახელმწიფო დონეზე უჭერენ მხარს, მაგალითად, ცნობილი ოსტატების ნამუშევრებს სახელმწიფო ყიდულობს და სპეციალურ მუზეუმებში ათავსებენ. საფრანგეთში კომიქსი სოლიდურ კულტურად ითვლება, იმდენად რომ მეტიუსს სცენარებს თვით ფედერაციო ფელინი უწერდა. არსებობენ ქვეყნები, სადაც კომიქსი ხელოვნების მთავარ ჟანრადაც კი იქცა. იაპონიაში კომიქსებს მანგებს ეძახიან. აქ მანგებით აფორმებენ, როგორც ფიზიკის სახელმძღვანელოს,

ასევე დოსტოევსკის ნაწარმოებებს, ინსტრუქციებს მაცივრით სარგებლობისათვის, სადომაზოხისტურ პორნოჟურნალებს და უამრავ სხვა სახის ბეჭდვით პროდუქციას. როგორც ამბობენ, მანგები ნაბეჭდი პროდუქციის 80 პროცენტს შეადგენენ. ასე რომ, სამი შემადგენელი ნაწილი კომიქსური კულტურისა - ამერიკული სუპერმენული სერიები, ევროპული არტ-პროექტები და იაპონური მანგები - მშვენივრად ეწყობიან ერთმანეთს. სამწუხაროდ დამოუკიდებელ საქართველოში რამდენიმე ხანმოკლე მცდელობის გარდა, კომიქსების ისტორიაში არაფერი მოგვეპოვება. საბჭოთა პერიოდში კი კომიქსებს ძირითადად საბავშვო ჟურნალებში ბეჭდავენ. სწორედ იმ დროიდან, შეიძლება, ბევრ თქვენთაგანს ახსოვდეს კომიქს გმირების ბოცოსა და გვანცას თავგადასავლები, რომლებიც უკვალოდ გაქრა ქართული პრესის ფურცლებიდან.

ბერმანიის გამოცდილება

D12 ბავარდიდან

მძიმე გამოფინილება

გდრ-ში სოციალიზმის დაცემამ მაშინვე როდი გამოავლინა აღმოსავლეთი გერმანიის ეკონომიკის გაკოტრების ნიშნები. არც იმის დრო და მცდელობა ყოფილა, რომ დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანების სოლიდური გეგმა შემუშავებულიყო. ჯერ ერთი, გერმანელი ხალხი აღნიშნული მოვლენების გამო ეიფორიამ მოიცვა და მეორეც, არჩევნები კარზე იყო მომდგარი. ამგვარ სიტუაციაში გერმანიის ორი ნაწილის გაერთიანება ძალზე იოლად და უმტკივნეულოდ გამოიყურებოდა. კანცლერმა კოლმა ნინას-არჩევნო დაპირებაში განაცხადა, რომ არც ერთი დასავლეთელი გერმანელი არ გრძნობდა ამ პროცესისაგან რაიმე დანაკლისს.

რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ რეალურობა ძალზე განსხვავდება დაპირებებისაგან. შემოსავლებისა და წარმოების მოცულობების ტემპები ყოფილ გდრ-ში გაცილებით მეტად დაეცა, ვიდრე მაგალითად, პოლონეთში. 1993 წელს აღმოსავლეთ გერმანიის მრეწველობა აწარმოებდა საერთო-გერმანული სამრეწველო პროდუქციის სამ-ოთხ პროცენტს. გდრ-ს სამრეწველო ქარხნების 90 პროცენტს მხოლოდ ადგილობრივი ბაზრებისათვის შეეძლო პროდუქციის გამოშვება. მკვეთრად შემცირდა მათი ექსპორტის მაჩვენებლებიც. გდრ-ს მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტი სოციალური დახმარების წყალობით ცხოვრობს. თუ ამას დაემატებთ იმ ადამიანების რაოდენობასაც, რომელთაც აუცილებლად სჭირდებათ გადამზადება ან მუშაობენ შემოკლებულ სამუშაო საათებში, მაშინ

აღმოჩნდება, რომ აქ უმუშევრობის დონე 35 პროცენტს შეადგენს. ეროვნული შემოსავლის სწრაფი დაცემისა და უმუშევართა რიცხოვნობის მატების მიუხედავად ყოფილ გდრ-ში სწრაფად იზრდებოდა მოხმარება. ეს კი ხდებოდა დასავლეთ გერმანიის ბიუჯეტის წყალობით. მაგალითად, 1993 წელს ამ ბიუჯეტიდან აღმოსავლეთ გერმანიას 180 მილიარდი მარკა გადაეგზავნა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მთელი პოლონეთის ეროვნული შემოსავალი. ყოფილი გდრ-ის მოქალაქე მოიხმარს ორჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე აწარმოებს. მიუხედავად მოხმარების ასეთი ტემპებით ზრდისა, ჯერ კიდევ ბევრია ამ რეგიონში უკმაყოფილო, იგრძნობა ასევე საზოგადოებრივი დაძაბულობა. გაერთიანებამ დიდი უკმაყოფილება წარმოშვა ასევე დასავლეთ გერმანიაშიც. ასეთი დიდი მოცულობის სუბსიდიების გასაღებად მათთვის ხომ მკვეთრად გაიზარდა გადასახადები. და ეს მაშინ, როდესაც პოლიტიკოსებმა მათ პირობა მისცეს, გაერთიანება არავითარ ზიანს არ მოგაყენებთო. ამ ფონზე გაძლიერდა დაძაბულობა მდიდარ დასავლეთსა (იგულისხმება დასავლეთი გერმანია Wessis) და აღმოსავლეთს (იგულისხმება აღმოსავლეთი გერმანია Ossis) შორის. შედარებით მეტი წარმატებები იყო მიღწეული პრივატიზაციის სფეროში. 13000 სახელმწიფო საწარმოდან პრივატიზირებულია 10000 საწარმო, დაიხურა 2500, ხოლო პრივატიზაციისათვის მომზადებულია 500 საწარმო. ასეთი სწრაფი პრივატიზაცია ტექნიკურად გატარებულია უაღრესად მომზადებული, ძირითადად დასავლეთ გერმანელი სპეციალისტების მთელი არმიის მი-

ერ. ამასთან, წარმატებები პრივატიზაციის სფეროში ჯერ კიდევ არ ნიშნავს პრივატიზირებული საწარმოების წარმატებებს.

დიდი პრობლემები მცდარი თეორიები

დიდი პრობლემები მრავალი მცდარი თეორიების წარმოშობის მიზეზი ხდება. ახლა როდი იგრძნობა ისეთი ადამიანების ნაკლებობა, რომლებიც, გდრ-ს მაგალითის მოშველიებით, ამტკიცებენ, რომ სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე სწრაფი გადასვლა მცდარი გზაა. ასეთი ინტერპრეტაციის უკან იმალება უბრალო, მაგრამ მცდარი თეორია იმის შესახებ, რომ რადიკალური მეთოდების გამოყენება სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში, მიუღებელია. ამ თეორიის ავტორები „შოკური“ მეთოდის საპირისპიროდ „თანდათანობით“ გადასვლის თეორიას აყენებენ. სინამდვილეში კი, თუ ერთმანეთს დავეუპირისპირებთ იმ ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას, რომლებმაც განვითარების სწორედ აღნიშნული გზა აირჩიეს (პოლონეთი, ლატვია, ჩეხეთი, ესტონეთი), იმ ქვეყნების განვითარების მდგომარეობას, რომლებიც სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე თანდათანობით გადადიან, ვნახავთ, თუ როგორი დიდი განსხვავებაა პირველი ჯგუფის ქვეყნების სასარგებლოდ. ამ ბოლო ჯგუფის ქვეყნებში არიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ (მაგალითად, უკრაინა). როგორც წერს ცნობილი გერმანელი მეცნიერი ტომას მაიერი „გაერთიანების შემდეგ გერმანიის ეროვნულ მეურნეობაში მოვლენები ბერძნული ტრაგედიის მწუხარე ლოგიკის

თანახმად წარიმართა“. მას კიდევ უფრო დიდი ზიანი მიაყენა 1990 წელს მიღებულმა ფატალურმა გადაწყვეტილებამ დასავლეთ გერმანიაში შრომის ანაზღაურების მკვეთრი გაზრდისა და აღმოსავლეთ გერმანიაში შრომის ანაზღაურების მაჩვენებლის მასთან გათანაბრების თაობაზე. მრავალ ეკონომისტს უკვე მაშინ ეპარებოდა ეჭვი ამგვარი გადაწყვეტილების რაციონალურობაში. მაგრამ აქაურ პროფკავშირებს ხელფასების გაზრდის შესახებ (უფრო სწორედ, ამის საწინააღმდეგოდ) არაფრის მოსმენა არ სურდა. მით უმეტეს, რომ მათთვის ცნობილი იყო გერმანიის მთავრობის განზრახულობანი აღმოსავლეთ გერმანიაში დიდი მოცულობის სუბსიდიების განხორციელების თაობაზე (ეს ითვალისწინებდა დიდი დახმარებების აღმოჩენას უმუშევართათვის, ეკონომიკის წარუმატებელი დარგებისათვის დახმარებას და სხვ.). ცხადია, ყველაფერი ეს უნდა განხორციელებულიყო დასავლეთ გერმანელი გადასახადის გადამხდელის ხარჯზე. შრომის ანაზღაურების გაზრდას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები, რისი განხორციელებაც დროის ასეთ მოკლე პერიოდში შეუძლებელია. ხელფასების მაღალი ტემპებით წინმსწრები ზრდა შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით მოგვაგონებს წყლის სწრაფ მატებას წყალსაცავში, რომელსაც ორი ონკანი აქვს: მათგან ერთს აწერია „ინფლაცია“, ხოლო მეორეს „უმუშევრობა“. როდესაც ხელისუფლება ცენტრალური ბანკის მეშვეობით ატარებს ფულადი ემისიის რბილ პოლიტიკას

გაზრდილი ხელფასების დასაფინანსებლად, მაშინ, ერთი პერიოდი თითქოს იკეტება ონკანი „უმუშევრობა“ და წყალი გამოდის ონკანიდან, რომელსაც „ინფლაცია“ ეწოდება: ფასები მყისიერად იზრდება, ხელფასების გაზრდის საბოლოო დადებითი ეფექტი მხოლოდ ქალაქზე რჩება. ამასთან, მთელი ქვეყანა აღმოჩნდება ჰიპერინფლაციის კატასტროფის წინაშე. აღმოსავლეთი გერმანია მოექცა ბუნდესბანკის მკაცრი ანტიინფლაციური წნეხის ქვეშ. ამან, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანიის საწარმოებს საკმაოდ სოლიდური დახმარება ჰქონდათ მიღებული დასავლეთიდან, ისინი ძალზე მძიმე პირობებში მოაქცია. შრომის ანაზღაურების მკვეთრი ზრდა, რომელიც აღემატება რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, ანადგურებს ფირმათა მოგებას. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ მშვიდობიანობის დროს დაბომბონ ფაბრიკა. სახელდობრ შრომის ანაზღაურების მკვეთრი გაზრდის მიზეზით ხდება, რომ პრივატიზებული საწარმოები აღმოსავლეთ გერმანიაში ზარალს განიცდიან პრივატიზების შემდეგაც. შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე აქ 1993 წელს 70 პროცენტით აღემატებოდა დასავლეთ გერმანიის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამ მაკროეკონომიკური კატასტროფის დანახარჯები გდრ-ში დასავლეთ გერმანიიდან მიღებული სუბსიდიების ხარჯზე რეგულირდებოდა. ეს კი იწვევდა დასავლეთ გერმანიაში ბიუჯეტის დეფიციტს, ეკონომიკური ტემპების დაქვეითებას და ა. შ. **პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშკაშვილი**

სილამაზის სალონები „ ჩრდილში მყოფი მომსახურების ბიზნესი

სილამაზის სალონების მომსახურებაზე მოთხოვნილება უფრო და უფრო იზრდება. დღეს უკვე ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით წარწერებს - თმის შეჭრა-დავარცხნა, მანიკური, პედიკური, კოსმეტოლოგიური მომსახურება და სხვა, მაგრამ სიმრავლის მიუხედავად, იშვითად თუ ნახავთ თბილისში სილამაზის ისეთ ცენტრებს, რომლებიც ევროპის პარამეტრებს და სტანდარტებს უახლოვდება. ამის მიუხედავად, თბილისის სილამაზის სალონები ნამდვილად არ უჩივიან კლიენტების ნაკლებობას, პირიქით, ხშირად მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ მომსახურე პერსონალს საქმე თავზე საყრელად აქვს.

სოფიკო ოხანაშვილი

თბილისში სილამაზის სალონების ბუმი. დანესებულებები, რომლებიც მომხმარებელს სხვადასხვა სპექტრის და დონის კოსმეტიკურ და პარიკმახერულ მომსახურებას სთავაზობენ, (სალონები, იმიჯ-სტუდიები, სილამაზის კაბინეტები) დედაქალაქში თითქმის ყველა ნაბიჯზე იხსნება. თუმცა, ამ საქმოდ მომგებიანი და მიმზიდველი ბიზნესის ბაზრის დიდი წილი, ძირითადად, იაფფასიანი სალონების სეგმენტზე მოდის. იაფფასიანი ე.წ. “ბუტკა, ტაბურეტა, მაკარტელის” ტიპის სალონების გარდა, ბაზარზე, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არის საშუალო და მაღალი დონის სალონები, რომლებიც აქცენტს პროფესიულ მომსახურებაზე და მაღალხარისხიან პროდუქციას აკეთებენ. სილამაზის სალონების ბიზნესის ასეთ მზარდ დინამიკას მზარდი მოთხოვნილება განაპირობებს: პარიკმახერულ თუ კოსმეტიკურ მომსახურებას ყოველი მათე თბილისელი თვეში ერთხელ მაინც მიმართავს. სილამაზის მფლობელების განმარტებით, მათ მომსახურებაზე მოთხოვნა ყოველწლიურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

მომსახურების ფართო სპექტრის სილამაზის სალონებმა თბილისში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, გამოჩინა საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ დაიწყეს. მანამდე, მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ რამდენიმე დანესებულება არსებობდა, სადაც გარეგნობის შელამაზებისა და კორექტურების მსურველებს შეეძლოთ შესაბამისი მომსახურების მიღება. მაგრამ მაშინ, როგორც სილამაზის სალონების რაოდენობა, ასევე მომსახურების არეალიც ძალიან შეზღუდული იყო. ასეთი დანესებულებების მომსახურება, ძირითადად, თმის შესწორებით, მანიკურ-პედიკურითა და კანის გაწმენდით შემოიფარგლებოდა.

დღესდღეობით თბილისში დაახლოებით ოთხ ათასამდე სილამაზის სალონია, აქედან გასული წლის მონაცემებით ოფიციალურად მხოლოდ 158 სილამაზის სალონია რეგისტრირებული. ბაზარზე მოქმედი სილამაზის სალონები სამ კატეგორიად იყოფიან: დაბალი, საშუალო და მაღალი დონის სალონები. პროცენტულად ძალიან ცოტაა კომფორტული და მაღალი კატეგორიის სალონები, ბაზრის 90 პროცენტს იაფფასიანი სალონები შეადგენს.

სალონების კატეგორიებად დაყოფა ძირითადად მომსახურების სპექტრის, დონისა და ფასის მიხედვით ხდება. ე.წ. იაფფასიანი სალონები კლიენტებს მომსახურების შეზღუდულ სპექტრს სთავაზობენ. საშუალო დონის სალონების მომსახურების სპექტრში საპარიკმახერო მომსახურების გარდა, დამატებით მანიკური, პედიკური და კოსმეტოლოგიური მომსახურებაც შედის. მაღალი დონის ელიტარული სალონები, ვიზუალური გაფორმების, ევრორემონტის, ახალი თაობის აღჭურვილობისა და კომფორტის გარდა, მომხმარებელს მაღალი ხარისხის პროდუქციასა და მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობენ. ელიტარულ სალონებში, კლიენტებს, სტანდარტული საპარიკმახერო და კოსმეტოლოგიური მომსახურების გარდა, უკვე სოლარიუმით და გამაჯანსაღებელი კომპლექსით სარგებლობაც შეუძლიათ. მომსახურების სპექტრში ასევე შედის, ჩაი და ყავა. სილამაზის სალონების მფლობელების განმარტებით, მომსახურების აღნიშნული სპექტრი სავსებით აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნილებას. თუმცა, ჩვენს ბაზარზე არსებული პარამეტრები და შეთავაზებული მომსახურების არეალი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩება ევროპის მაჩვენებლებს.

დღესდღეობით, მაღალი დონის სილამაზის სალონების ქართულ ბაზარზე “ველასა” და “შვარცკოფის” პროდუქცია დომინირებს.

სილამაზის სალონების ქართული ბაზარი მაღალი რენტაბელობით არ ხასიათდება. ბიზნეს-პროექტები, ძირითადად, ორიენტირებული არიან იმაზე, რომ სალონებმა ნაგებობით არ იმუშაონ, და ნაკლებ ზრუნავენ ბიზნესის გაფართოებაზე. მომსახურებიდან ამოღებული თანხა, ძირითადად, მომსახურე პერსონალის ხელფასებს, აპარატურის შეძენასა და გადასახადებს ხმარდება. განვითარების დონის მიხედვით სილამაზის სალონების ბიზნესი შეიძლება ითქვას, რომ განვითარების სანყის ეტაპზეა. ამაზე მეტყველებს, პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ ბაზარი ძალიან ლოკალურია – სალონები, ძირითადად, თბილისში იხსნება, მეორე მიზეზი ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში ფასი არ შეესაბამება შეთავაზებულ მომსახურებას. ხარისხისა და ფასის არაედეკვატურობის გამო, ძვირადღირებული სალონები კლიენტებს კარგავენ - მომხმარებელი იაფფასიანი სალონებისკენ “გარბის”. ბოლო დროს კი, ფაქტობრივად, სოკოე-



სილამაზის სალონების ბაზარი მაღალი რენტაბელობით არ ხასიათდება

ბივით მომრავლდნენ სამ-ხუთ ლარიანი სალონები, რამაც არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა საშუალო და მაღალი დონის სილამაზის სალონები. პროფესიონალიზმის დეფიციტს სილამაზის მფლობელებიც აღიარებენ. თუმცა, მათი მტკიცებით, ძვირადღირებული სალონები მაღალი ფასის სანაცვლოდ მრავალფეროვან მომსახურებასა და მაღალხარისხიან პროდუქციას სთავაზობენ კლიენტებს. მრავალფეროვანი მომსახურების მიუხედავად, არაერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ელიტარული სალონების მომსახურებით უკმაყოფილო კლიენტს იაფფასიანი და შედარებით დაბალდონიანი სალონისთვის მიუმართავს. ამის მიზეზი კი მარტივია – ევრორემონტის და უახლოესი აპარატურით აღჭურვილი სილამაზის სალონები პროფესიონალი კადრების ნაკლებობას განიცდიან.

სილამაზის სალონების მფლობელები ერთხმად აღიარებენ, რომ სილამაზის სალონის წარმატებას, პირველ რიგში, მომსახურე პერსონალის მაღალი დონე და პროფესიონალიზმი განაპირობებს. ამიტომ სილამაზის მფლობელები აქცენტს სწორედ მომსახურე პერსონალის დონის ამაღლებაზე აკეთებენ. ისინი არც თანხას იმურებენ ნიჭიერი სტილისტების საზღვარგარეთ

კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაშვებისთვის. ამას კი მარტივი მიზეზით ხსნიან - მაღალი დონის სტილისტი კლიენტების მოზიდვის და შენარჩუნების გარანტიცაა. **“რაც არ უნდა გრანდიოზული სალონი გააკეთო, თუ მაღალი დონის სტილისტი არ გყავს, ვიზუალურ მხარეს აზრი არ აქვს, იმიტომ რომ ერთხელ რომ მოვა კლიენტი და უკმაყოფილო წავა, ეს უკვე სალონის ანტირეკლამაა”**, - აცხადებს “ლედი დის” გენერალური დირექტორი კოტე დალაქიშვილი.

სილამაზის სალონების ბიზნესის განვითარების ერთ დროს მზარდი და პროგრესული ტემპი, სილამაზის მფლობელების თქმით, დღესდღეობით ერთ ადგილზეა გაყინული. ამიტომ მნიშვნელოვანი სიახლეები ამ ბაზარზე ჯერჯერობით არ შეინიშნება.

სალონების მსგავსად მომხმარებელიც, ძირითადად, სამ კატეგორიად იყოფა: ადამიანები, რომლებიც იაფფასიან სალონებში დადიან; ადამიანები, რომლებიც ელიტარული სილამაზის სალონების მუდმივი კლიენტები არიან და ადამიანები, რომლებიც მონაცვლეობით სტუმრობენ ხან ელიტარულ და ხან იაფფასიან სალონებს.

თბილისის სილამაზის სალონების მფლობელები აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ აუცილებელია სალონში იყოს ერთი ვარსკვ-

ლავი ოსტატი, თუმცა მთელი იმედების დამყარება მხოლოდ ამ ერთ ოსტატზე არ ხდება, რადგან სავსებით შესაძლებელია, რომ მისი წასვლის შემდეგ სალონი დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ამიტომ მფობელები სალონის მოსამსახურე პერსონალის დონის ამაღლებაზეც და აღზრდაზე ზრუნავენ. ძვირადღირებული სალონების მფლობელების განმარტებით, იმის გარდა, რომ ერთი ოსტატის ყოლა ყოველთვის გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, ადამიანი როცა მაღალი დონის სალონში შედის, ნებისმიერ ხელსაწილს დაჯდომის შემთხვევაში გარანტირებული უნდა იყოს მაღალი დონის მომსახურებით.



სილამაზის სალონების ბიზნესის წარმატებისთვის, ხარისხიანი მომსახურების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია კლიენტისთვის მაქსიმალურად კომფორტული სიტუაციის შექმნა, რომლის ერთ-ერთ განუყრელ კომპონენტს კარგად შერჩეული მუსიკა წარმოადგენს. სილამაზის სალონის მფლობელები ყველანაირად ცდილობენ რომ მომხმარებელს მყუდრო გარემო შეუქმნან, რადგან დარწმუნებული არიან, რომ “კარგად შეფუთული პროდუქცია” ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა.

„კონკორდის“ ერის დასასრული

2003 წელი უკანასკნელი იქნება ყველაზე წარმატებული და, პრაქტიკულად, მსოფლიოში ერთადერთი ზებგერითი ლაინერებისათვის. „კონკორდები“ ოქტომბრიდან შეწყვეტენ ფრენას. ამ ცნობამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია მომხმარებლებსა და საავიაციო სამყაროში. პილოტთა უმრავლესობამ გულწრფელად გამოიტირა ლაინერი, რომლის ტარებაც როგორც დიდი პროფესიონალური გამოწვევა და პატივი, ასევე არნახული სიამოვნება იყო. „კონკორდს“ მოისაკლისებენ საქმიანი ადამიანები, რომელთა დრო ერთობ ძვირია. ერთადერთი, ვინც „კონკორდის“ აღსასრულმა გაახარა, საავიაციო „ჰიგიენის“ მომხრეები არიან და კიდევ კოლექციონერები, რომლებიც უკვე შეუდგნენ ლაინერის ნაწილების ხელში ჩასაგდებად მუშაობას. ხუმრობა ხომ არ არის – სულ მალე 24-წლიანი ეპოქა ისტორიას ჩაბარდება. ისტორია კი ერთობ ძვირი სიამოვნებაა და რაც უფრო მეტი დრო გავა, „კონკორდი“ კიდევ უფრო გაძვირდება.

„კონკორდის“ ბოლო ჩვენმა დრომ განაპირობა. ეს ლაინერი ერთობ ხმაურიანია, ერთობ მოუწესრიგებელი. ზებგერითი სიჩქარის გამო „კონკორდის“ მიერ გამოცემული ხმაური სხვა ლაინერებისა ერთობ აჭარბებს და ამის გამო ხმელეთთან მიახლოებისას „კონკორდი“ ყოველთვის იძულებული ხდებოდა სიჩქარე დაეგდო – უარი ეთქვა თავის კოზირზე. ამის გამო ლაინერი ვერასოდეს ფარავდა მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე მაქსიმალურ მანძილს – 4500 მილს. გარდა ამისა, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია, „კონკორდი“ ავიაკომპანიებს მეტად ძვირი უჯდებოდათ და დღემდე უჯდებათ. ამ ზებგერითი ლაინერით ერთი გაფრენა-გამოფრენა სულ ცოტა 3500 გირვანქა მაინც ღირს. ფასი არც ადრე იყო დაბალი, მაგრამ 11 სექტემბრის შემდეგ იძულებით შემოღებულმა უსაფრთხოების ზომებმა კიდევ უფრო ასწია. ასეთი ფასის გადამხდელი კი ბოლო ხანებში არც ისე ბევრია. 11 სექტემბრის შემდეგ ავიაკომპანიები ისედაც ძლივს აუდიან ხარჯებს და დამატებითი თავსატეხი ნამდვილად არ სჭირდებათ. მითუმეტეს, რომ „კონკორდის“ ერთ-ერთი კლიენტი „ბრიტიშ ეარვეიზი“ ვალდებულია ჩავარდნილი.

ძნელი სათქმელია, რა იქნებოდა, რომ არა 2000 წელს პარიზთან მომხდარი „კონკორდის“ კატასტროფა. მაშინდელმა მოვლენამ გვარიანად დასცა ზებგერითი ლაინერის რეპუტაცია და ავიაკომპანიებმა („ბრიტიშ ეარვეიზმა“ და „აირ ფრანსმა“) ავარიის მიზეზების გამოკვლევამდე „კონკორდებით“ ფრენა შეაჩერეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა – საფრენი ზონიდან ბორბალს ლითონის ნა-



ჭერი აჰყვა, რომელიც სანავის ავზს მოხვდა და ეს უკანასკნელი გახეტია. ავზებს დამატებითი დამცავი შრე შემოარტყეს, ბორბლებიც გადააკეთეს და თითქოსდა ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ შემდეგ 11 სექტემბერი და... „კონკორდისადმი“ ნდობა იმ დროს უკვე შერყეული იყო.

მომხდარი იმას ნიშნავს, რომ მშვიდობიანი კაცობრიობა – ანუ რიგითი მგზავრები და არა ავიაგამანადგურებელთა პილოტები – კარგა ხანს უნდა დაემშვიდობონ ზებგერით ლაინერს. სპეცი-ალისტთა შეფასებით ავიასფეროში გამეფებული კრიზისის გათვალისწინებით „კონკორდის“ შემცველს 2025 წლამდე არ უნდა ველოდოთ – მისი რუსული კლონი „ტუ 144“ კატასტროფებს განიცდიდა, ვერც „ბოინგმა“ ივარგა ზებგერითებში. ასე რომ, საქმიან ხალხს მალე ტკბილად მოაგონდება ის დრო, როცა ლონდონიდან ნიუ იორკში ოთხ საათში აღწევდნენ.

არადა, „კონკორდი“ არა მხოლოდ სწრაფი ლაინერი იყო. ფრანგების ისტორიაში იგი დიდი დე გოლის სახელს უკავშირდება, რომელიც 1963 წელს ზებგერითი თვითმფრინავის შექმნის იდეით გამოვიდა. პროექტზე მუშაობა ინგლისელებთან ერთად წარიმართა, რაც ცალკე აღსანიშნავი მომენტია. ინგლისელები იმ დროს ერთობ იმედგაცრუებულნი იყვნენ საკუთარი მთავრობის მიერ ავიაციის სფეროში ფულის არაეფექტური ხარჯვით და 1969 წელს „კონკორდის“ პირველი აფრენა მთელი ერი-სათვის სასიამოვნო შოკი იყო. შოკი ახლაც არის, მაგრამ სხვა ხასიათის.